



# საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა



1239  
2002



N4 2002

**ჟურნალის თანმდგომთა საბჭო**

ნოდარ ამბლლობელი  
 შოთა აფაქიძე  
 ლევან ბერძენიშვილი  
 თამაზ გამყრელიძე  
 სესილი გოგობერიძე  
 მალხაზ მაალიშვილი  
 დავით თარხან-მოურავი  
 ნანა კანდელაკი  
 ალექსანდრე კარგოზია  
 თეიმურაზ კომახიძე  
 ლია ნადარეიშვილი  
 თემურ ქლენგი  
 ვახტანგ სართანია  
 აკაკი სიხარულიძე  
 ბაკურ სულაკაური  
 ირაკლი ღარიბაშვილი  
 რევაზ ღლონგი  
 თეიმურაზ ჩხენკელი  
 ირინა ჭანგურიშვილი



**ჟურნალის რედაქცია**

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი  
 გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის  
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
 მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი  
 გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და  
 კორექსპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-  
 კოორდინატორი  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა - გიორგი  
 თაყნიაშვილისა.

დიბანი-რაგი თორღიაძე.

**ინფორმაციური "ალი"**

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია  
 ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;  
 საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

**რედაქციის მისამართი:**

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7  
 საქართველოს პარლამენტის  
 ეროვნული ბიბლიოთეკა  
 ტელ. 93-26-82



ლიტვური მოტივები



სავალდებულო ცალი	-----	4
ოფიციალური განყოფილება	-----	
თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე “უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე” (რეკომენდაციები)	-----	6
ჩვენი ბიბლიოთეკები	-----	
მაია არაგიაშვილი – თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	-----	9
ნანა ფირცხალავა-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფცია	-----	12
ინგა ზარიძე – ჩემი მშობლიური ბიბლიოთეკა	-----	17
გამოცდილების გაცხადება – საქართველოს კონტაქტები	-----	
მზია რაზმაძე – ურთიერთობების აღდგენის საწინდარი	-----	18
ჯამილა გაჯიევა – ბიბლიოთეკები სახეს იცვლიან	-----	20
ცისანა წერეთელი – სამი დღე ევროპისა და მსოფლიოს ბიბლიოთეკების ირგვლივ	-----	22
ახალი ტექნოლოგიები	-----	
თორნიკე გურული-PR და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	-----	24
გაგვიტყვი კითხვა	-----	
ალექსანდრე ლორია – დიმიტრი უზნაძე ბავშვთა კითხვის შესახებ	-----	27
პროფესორნალის თვალში	-----	
გურამ თაყნიაშვილი – დაკომპლექტების საიმედო წესი	-----	33
ნელი ბერია-ხიგალაშვილი – წიგნი და დამგვიანებული მკითხველი	-----	35
კორესპონდენციები ბიბლიოთეკებიდან	-----	
ლუიზა ქუმელაშვილი – რემო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი საღამო	-----	37
ჩიტო კალანდარიშვილი – იქ სადაც სიყვარულია	-----	38
გულთამზე ფერგენაძე – მამაშვილური საქმე	-----	39
ე. კასრაძე – ვიზიტი ლიგველ კოლეგებთან	-----	40
დარეჯან მაყიშვილი-საათაშვილი – სვენეთელების სიხარული და საწუხარი	-----	40
გუგული ჯინჭარაძე – სემინარი “ბიბლიოთეკები საზღვარ გარეთ”	-----	41
თამარ ოქრუაშვილი – ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკა	-----	42
კახაბერ ღონღაძე- ბიბლიოთეკა-ინტელექტუალურ ფასეულობათა საუნჯე	-----	43
გვესაუბრება შურნალისტი	-----	
ოთარ ცინარიძე – წიგნს არ ეღება არასდროს ხავსი	-----	44
რეცენზია	-----	
ფრიდონ სიხარულიძე – თბილისი – პირველი სამეცნიერო ენციკლოპედია	-----	47
საოჯახო არქივიდან	-----	
იოსებ კაპანაძე – იქნებ საჭიროა მეტი ვიცოდეთ	-----	49
იუბილე	-----	
ღვაწლმოსილი მწიგნობარი და პედაგოგი	-----	50
ინფორმაცია	-----	
ნინო ქორჩილავა – ქართული ლექსის აღიარება ამერიკაში	-----	51
წიგნი სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის	-----	52
გურამ თაყნიაშვილი – ბრძნულ აზრთა დამაუნჯებელი	-----	54
მარიკა კალანდარიშვილი – სიამაყის გრძნობით აღვსებული ნაშრომი	-----	55
დარეჯან კოტეგიშვილი – საყურადღებო ნაშრომი	-----	56
კოლეგია	-----	
ხათუნა რამიშვილი – ღია წერილი ქურნალ “საქართველო ბიბლიოთეკის” რედაქციას	-----	57
გამოსამაშრება	-----	
ნუნუ გურაბანიძე – ქურნალ “საქართველო ბიბლიოთეკის” რედაქციას	-----	59
ქრონიკა	-----	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	-----	60
გაცხადება	-----	
თინა სალაყაია – ვინ მართავდა ქ. ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას	-----	61
რევიუ – კინო და მუსიკა	-----	
დავით გიგინეიშვილი – ჩეჩილია ბარგოლი – გლუკის იტალიური არიები, მაგდალინა კოქე	-----	62
ნა – შესანიშნავი სახეები	-----	

LEGAL DEPOSIT COPY

OFFICIAL SECTION

<b>The Scientific-Technical Conference Of Tbilisi University Libraries On "The Management Of University Libraries At The Modern Stage". (Recommendations) .....</b>	<b>6</b>
<b>OUR LIBRARIES</b>	
<b>Maia Aravishvili- The Library Of Telavi State University By I. Gogebashvili .....</b>	<b>12</b>
<b>Nana Pirxalava- The concept of development of the Central Scientific Library of Georgian Academy of Sciences.....</b>	<b>17</b>
<b>Inga Zaridze - My nation Library .....</b>	<b>18</b>
<b>SHARING EXPERIENCE—INTERNATIONAL CONTACTS</b>	
<b>Mzia Razmadze- The Basis For Restoring Contacts .....</b>	<b>20</b>
<b>Jamila Gajieva- Libraries Are Changing .....</b>	<b>22</b>
<b>Tsisana Tsereteli- Three Days Round European And World Libraries .....</b>	<b>27</b>
<b>NEW TEXNOLOGY</b>	
<b>Tornike Guruli - PR and new communication technologies .....</b>	<b>33</b>
<b>CHILDREN'S READING</b>	
<b>Aleksandre Loris-Dimitri Uznadze About Children's Reading .....</b>	<b>35</b>
<b>PROFESSIONAL'S POINT OF VIEW</b>	
<b>Guram Takniashvili- Reliable Practice Of Acquisition .....</b>	<b>37</b>
<b>Neli Beria-Khitalishvili- Book And Late-Return-Reader.....</b>	<b>38</b>
<b>Reader.....</b>	<b>39</b>
<b>Reader.....</b>	<b>40</b>
<b>CORRESPONDENCES FROM LIBRARIES</b>	
<b>Liza Kumelashvili- Evening Dedicated To Rezo Tabukashvili .....</b>	<b>40</b>
<b>Chito Kalandarishvili- Where Love Exists .....</b>	<b>41</b>
<b>Gultamze Pertenadze- The Deeds Done For The Sake Of Our Grandsons .....</b>	<b>44</b>
<b>E. Kasradze- Visiting Lithuanian Colleagues .....</b>	<b>44</b>
<b>Darejan Makashvili : The Happiness And Sorrow Of Svenetians .....</b>	<b>47</b>
<b>Guguli Jincharadze- Seminar On "Libraries Abroad" .....</b>	<b>47</b>
<b>Kaxaber Gongadze - Library - .....</b>	<b>49</b>
<b>CONVERSATION WITH JOURNALIST</b>	
<b>Otar Tsinaridze- Book Never Becomes Obsolete .....</b>	<b>49</b>
<b>REFERENCE</b>	
<b>Fridon Sikharulideze- Tbilisi- The First Scientific Encyclopedia .....</b>	<b>50</b>
<b>FROM THE FAMILY ARCHIVE</b>	
<b>Ioseb Kapanadze: Might Be Better To Know More .....</b>	<b>51</b>
<b>JUBILEE</b>	
<b>Prominent Scholar And Teacher .....</b>	<b>52</b>
<b>INFORMATION</b>	
<b>Nino Korchlava ; The Appreciation Of Georgian Verse In America .....</b>	<b>56</b>
<b>.....</b>	<b>57</b>
<b>A Book For School Libraries .....</b>	<b>57</b>
<b>Guram Takniashvili- Collector Of Wisdoms .....</b>	<b>59</b>
<b>Marika Kalandarishvli- The Work Full Of Pride .....</b>	<b>59</b>
<b>Darekan Kotetishvili- Remarkable Work .....</b>	<b>60</b>
<b>POLEMICS</b>	
<b>Khatuna Ramishvili: Open Letter To The Editors Of "Sakartvelos Biblioteka" .....</b>	<b>61</b>
<b>RESPONSE</b>	
<b>Nunu Gurabanidze- To The Editors Of "Sakartvelos Biblioteka" .....</b>	<b>61</b>
<b>CHRONICLE</b>	
<b>Chronicle Of Library Life: Events, Facts .....</b>	<b>62</b>
<b>REMINISCENCES</b>	
<b>Tina salakaia: Who Administered Poti Central Library .....</b>	<b>62</b>
<b>REVIEW—CINEMA AND MUSIC</b>	
<b>David Gvishvili, Chechilia Bartoli, Gluk's Italian Arias, Magdalena Kozhena, Wonderful .....</b>	<b>62</b>

Библиотека Грузии, № 4-02  
Содержание



Обязательный экземпляр.....	4
<b>Официальный раздел</b>	
Научно-практическая конференция библиотек высших учебных заведений г.Тбилиси на тему «Управление библиотеками высших учебных заведений на современном этапе» (Рекомендации).....	6
<b>Наши библиотеки</b>	
Мая Аравиашвили – Библиотека Государственного университета им. И. Гогебашвили города Телави.....	9
Нана Пирцхалава - Концепция развития Центральной Научной Библиотеки Академии Наук.....	12
Инга Заридзе – Моя родная библиотека.....	17
<b>Обмен опытом – Международные контакты</b>	
Мзиа Размадзе – Залог восстановления взаимоотношений.....	18
Джамиля Гаджиева – Библиотеки меняют облик.....	20
Цисана Церетели – Три дня вокруг библиотек Европы и мира.....	22
<b>Новые Технологии</b>	
Торнике Гурули - PR и новые Комуникационные технологии.....	24
<b>Детское чтение</b>	
Александр Лория – Дмитрий Узнадзе о чтении детей.....	27
<b>Глазами профессионала</b>	
Гурам Такниашвили – Надёжное правило комплектования.....	33
Нелли Бериа-Хиталишвили – Книга и читатель-задолжник.....	35
<b>Корреспонденция из библиотек</b>	
Луиза Кумелашвили – Вечер, посвящённый Резо Табукашвили.....	37
Чито Каландаришвили – Там, где любовь.....	38
Гултамзе Партенадзе – Дело отцов и сыновей.....	39
Элене Касрадзе – Визит к литовским коллегам.....	40
Дареджан Макишвили-Сааташвили – Радость и печаль свенетцев.....	40
Гугули Джинчарадзе – Семинар «Зарубежные библиотеки».....	41
Тамар Окруашвили – Библиотека нашего села.....	42
Кахабер Гонгадзе - Библиотека - Хранитель интеллектуальных ценностей.....	43
<b>Беседует журналист</b>	
Отар Цинаридзе – Книга никогда не покрывается мхом.....	44
<b>Рецензия</b>	
Фридон Сихарулидзе – «Тбилиси» — первая научная энциклопедия.....	47
<b>Из семейного архива</b>	
Иосиф Капанадзе – Может быть следует больше знать.....	49
<b>Юбилей</b>	
Заслуженный книговед и педагог.....	50
<b>Информация</b>	
Нино Корчилава – Признание грузинского стиха в Америке.....	51
Книги для школьных библиотек.....	52
Гурам Такниашвили – В сокровищнице мудрости.....	54
Марика Каландаришвили – Книга, полная чувством гордости.....	55
Дареджан Котетишвили – Труд, заслуживающий внимания.....	56
<b>Полемика</b>	
Хатуна Рамишвили – Открытое письмо в редакцию журнала «Библиотека Грузии».....	57
<b>Отзыв</b>	
Нуну Гурабанидзе – В редакцию журнала «Библиотека Грузии».....	59
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты.....	60
<b>Воспоминания</b>	
Тина салакаиа – Кто управлял центральной библиотекой города Поты.....	61
<b>Ревю – кино и музыка</b>	
Давид Гигинеишвили – Чечилия Бартоли – Итальянские арии Глюка.....	62



საქალაქეულო ცალი წარმოადგენს სახელმწიფოში გამოცემული ყოველი ბეჭდვითი ნაწარმოების ერთეულს, რომელსაც სგამბა ან გამომცემლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე უგზავნის ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებს ბეჭდვითი პროდუქციის ცენტრალიზებული რეგისტრაციის მიზნით (ქსე). ეს წესი ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგამომცემლო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ პროდუქციაზე, სულერთია, გამოცემათა რა სახეობასაც არ უნდა წარმოადგენდეს ის (წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, ბროშურა, აგლასი, გრაფიკული გამოცემა და სხვ.). მართალია, ძირითადი მიზანი ამ შემთხვევაში ქვეყნად გამოცემული ყოველი ერთეულის ნიმუშის დაცვა და რეგისტრაციაა, მაგრამ ამავ დროს იგი წარმოადგენს ბიბლიოთეკის ფონდების შეუფერხებლად გამდიდრების, მრდისა და განვითარების ყველაზე უკუყარ საშუალებას.

საქალაქეულო ცალი, ცხადია, ყველას ვერ მიეცემა და არც არის საჭირო. მისი შემოღებიდანვე ხელისუფალთა მიერ მკაცრად იქმნებოდა შეზღუდული წრე დაწესებულებებისა, რომლებსაც ამ უფლებით შეეძლოთ ესარგებლათ. მისი გავრცელება მას შემდეგ დაიწყო, როგორც კი ევროპაში წიგნბეჭდვა გახშირდა. ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა ნაბეჭდ პროდუქციაზე მედამხედველობის – ცენზურის შემოღებამ, რომელსაც ძირითადად სასულიერო არისტოკრატია აწესებდა. საქალაქეულო ცალების შემოღების ინიციატორებს სწორედ საფრანგეთის სამღვდელთა და პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენდნენ, რომლებიც სამონასტრო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებთან იყვნენ დაკავშირებულნი. მათი წყალობით, 1537 წელს პირველად ჩაეყარა საფუძველი საქალაქეულო ცალის სისტემას, რომელიც შემდგომ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თითქმის არც ერთი ქვეყანა არ დარჩენილა, გარდა ნიდერლანდებისა და შვეიცარიისა, სხვადასხვა დროს საქალაქეულო ცალები რომ არ შემოიღო. ძალიან ადრე იქნა იგი დანერგილი ლატვიაში, ამჟამინდელ რიგის უნივერსიტეტს ბიბლიოთეკისათვის (1588). 1662

წლიდან საქალაქეულო ცალების მიღება დაიწყო ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებმა, 1707 წლიდან სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკამ, 1716-დან – ესპანეთის სამეფო ბიბლიოთეკამ, 1757-დან – ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკამ, 1782-დან – პრადის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ; 1795 წელს საფრანგეთის კონვენტმა, გააუქმა რა გადასახადების არსებული სისტემა, ამ ქარგაში მოყვა უფასო საქალაქეულო ცალების კანონიც, როგორც მეწარმეთა გადასახადის ერთგვარი ფორმა. მაგრამ 1810 წელს ეს წესი აღსდგა, დაინახეს რა, რომ ამის გარეშე ძნელდებოდა ისეთი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღნუსხვა, როგორც წიგნია. თუმცა ამ კანონის აღდგენას დიდი სირთულეები ახლდა, რის გამოც მისი ამოქმედება 1825 წლამდე ვერ მოხერხდა. 1806 წ. უფასო საქალაქეულო ცალები დაენიშნათ იტალიის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს, 1824 წელს – ბერლინის ნაციონალურ ბიბლიოთეკას, 1835 წელს – საბერძნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

XIX საუკ. დასაწყისში უფასო საქალაქეულო ცალებით ცენტრალური ბიბლიოთეკების უზრუნველყოფის წესი სამხრეთ ამერიკის კოლონიურ ქვეყნებშიც კი ვრცელდება (ბოლივია, ბრაზილია, პერუ, ურუგვაი, ჩილე და სხვ.).

განსხვავებული იყო საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში – აქ 1897 წელს კონგრესის ბიბლიოთეკასთან შეიქმნა საავტორო უფლებათა ბიურო. მას ამერიკაში გამოცემული ყოველი ნაბეჭდი პროდუქციის ორი ეგზემპლარი უფასოდ ეგზავნებოდა რეგისტრაციისათვის. ამით ბიბლიოთეკა სწრაფად ივსებოდა, ამიგომაც შემდეგში ეს ბიბლიოთეკა თავის ფონდებში უკვე აღარ იცავდა ყოველ გამოცემას, ე.წ. ფარმინგტონის გეგმის თანახმად, მკაცრი ლიფერენცირებული წესით დაიწყო და კომპლექტება.

უფასო საქალაქეულო ცალების წესი რუსეთშიც საკმაოდ ადრე შემოიღეს. XVIII საუკ. დასაწყისში კუპრიანოვმა (შვილი) სცადა დაემკვიდრებინა უფასო საქალაქეულო ცალების გრადიცია, მაგრამ იმჯერად ეს ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1783 წელს გამოიცა ხელისუფლების განკარგულება, რომელიც ყველა გამომცემელს ავა-





ლებდა რუსეთის აკადემიის ბიბლიოთეკისათვის ერთი ეგზემპლარი უფასოდ მიეწოდებინა. ფაქტობრივად, ამ პეიოდისათვის რუსეთში არც იყო სხვა ისეთი ბიბლიოთეკა, ამ წესის გამოყენება რომ საჭირო ყოფილიყო მისთვის. მაგრამ სანაცვლოდ, ყოველი ახალი დიდი ბიბლიოთეკის დაარსებისთანავე ძალაში შედიოდა სავალდებულო ცალის წესი. როგორც კი დაარსდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა (1814), მაშინვე დაენიშნა ერთი უფასო სავალდებულო ცალი. ასევე მოხდა 1862 წელს მოსკოვში რუმინანცევის მუზეუმსა და ბიბლიოთეკის გახსნის დროს, უფასო სავალდებულო ცალებით სარგებლობდნენ აგრეთვე მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები.

მოყოლებული ახალი ისგორიის დასაწყისიდან (XVII ს. მეორე ნახევარი) თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოქმედებაში შედიოდა კანონი სავალდებულო ცალის შესახებ.

საქართველოში თემატურ სავალდებულო ცალებს, კავკასიის მთავარ მართებლის განკარგულებით, ლებულობდა მხოლოდ თბილისის მუზეუმში, რომელთანაც შეერთებული იყო გვილისის საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ მხოლოდ კავკასიათმცოდნეობითი ლიგერატურის ნიმუშებს.

სავალდებულო ცალების სისტემა საკმაოდ კარგად იყო მოწესრიგებული ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამას გრადიცია 1920 წელს რუსეთის ფედერაციაში უფასო სავალდებულო ცალების შემოღებამ ჩაუყარა. 1926 წელს, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი გადავიდა ე.წ. დაკვეთათა სისტემაზე – ბიბლიოთეკებში წინასწარ შეთანხმებულად დიფერენცირებულად იგზავნებოდა ახალი გამოცემები, რაც რეგულირდებოდა ბიბლიოლექტორების მეშვეობით. 1934 წელს სახელმწიფომ ყველა გამომცემლობა დაავალდებულა, მათი საგამომცემლო გეგმები ბიბლიოთეკებისათვის დაეგზავნათ, რათა ბიბლიოთეკებს შესძლებოდათ ადრევე შეერჩიათ მათთვის საჭირო ლექტურა. შემოღებულ იქნა აგრეთვე ბიბლიოთეკებისა და გამომცემლებს შორის პირდაპირი ურთიერთობის წესი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო უცხოეთში და დღესაც საკმაოდ მოხერხებულ ფორმად ითვლება. სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა სავალდებულო ცალების სისტემაში ფასიანი სავალდე-

ბულო ცალების წესი. ხელშეკრულების თანახმად, ბიბლიოთეკა ლებულობს სავალდებულო ცალებს, ოღონდ შესაბამისი ფასის გადახდით. ეს წესი სსრ კავშირში 1931 წელს იქნა შემოღებული. 1959 წელს კი საბოლოოდ დარეგულირდა საბჭოთა კავშირში სავალდებულო ცალების სისტემა, რომელსაც სათანადო დადგენილება აწესრიგებდა. ფასიანი სავალდებულო ცალების გავრცელება სამეცნიერო ბიბლიოლექტორებს ჰქონდათ დაკისრებული. ჩამოყალიბდა საუწყებო და მიზნობრივი სავალდებულო ცალების წესი, რამაც კიდევ უფრო დახვეწა და დაარეგულირა ბიბლიოთეკების უზრუნველყოფის საქმე.

თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმეში სავალდებულო ცალებად გაიგება არა მარტო წიგნები და პერიოდული გამოცემები, არამედ აუდიო-ვიზუალური, კინო და ელექტრონული მასალებიც. ძვირადღირებულობის გამო, მიზანშეწონილი არ არის მათი დუბლირებულად გამოყენების პოლიტიკა. საერთოდ, სავალდებულო ცალების სისტემის შექმნას ღრმად მოფიქრებული და გააზრებული მიდგომა ესაჭიროება. ძირითადად ამ წესს იყენებენ ისეთი ბიბლიოთეკების მიმართ, რომლებიც სახელმწიფო წიგნსაცავის ან დეპოზიტარუმის სტატუსს აგარებენ.

ცნობილია, რომ 1999 წლის 23 თებერვალს სტრასბურგში ევროსაბჭომ მიიღო ევროპაში საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესახებ რეკომენდაციების პროექტი. პროექტის წინასწარი ვერსია, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით აპრობაცია გაიარა, ძირითადად მოწონებულ იქნა. მასში სხვადასხვა ასპექტის ირგვლივ მოცემულ რეკომენდაციებთან ერთად, მოცემულია რეკომენდაციები სავალდებულო ცალებთან დაკავშირებითაც. დოკუმენტში გამოკვეთილადანაბრებულია, რომ აუცილებელი ეგზემპლარის მასალა არ უნდა წარმოადგენდეს ბიბლიოთეკების ცულად დაკომპლექტების გამოსწორების საშუალებას. სავალდებულო ეგზემპლარი უნდა ფორმდებოდეს მკვიცე ლებულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც საგამომცემლო პროდუქციის მწარმოებელი ვალდებულია, ნაციონალურ დეპოზიტარულ დაწესებულებაში გადაგზავნოს მისი ყოველი გამოცემა დადგენილი ოდენობით, სავალდებულო ეგზემპლარის ლებულების შეუსრულებლობა იწვევს დამსჯელი ღონისძიებების გაგარებას ფინანსური თუ სხვა სანქციების სახით. ევროსაბჭოს რეკომენდაციებით, მხარი უნდა და-

ვუჭირით, ნაციონალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ყველაზე გონივრულ და ნორმალურ დონედ მიჩნეულ იქნეს ეგზემპლარობა 3-დან 5-მდე.

ევროსაბჭო თვლის, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამართლებრივი, გექნიკური და ფინანსური ასპექტების შემდგომი გამოკვლევა ელექტრონულ გამოცემათა სავალდებულო ეგზემპლარობთან დაკავშირებით; როგორც ჩანს, ბეჭდურ პროდუქციასთან დაკავშირებით, მას საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნია.

სამშუხაროდ, ჩვენ ვერ დავიქადნით, რომ საქართველოში მოგვარებული გვაქვს ბეჭდურ პროდუქციასთან დაკავშირებით სავალდებულო ცალების საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ ელექტრონულ გამოცემებზე. შექმნილია ისეთი სიტუაცია, რომ ძველი კანონი აღარ მოქმედებს, ახალი კი არ გვაქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად, შეწყდა სავალდებულო ცალების მოწოდება ბიბლიოთეკებისათვის, დაიშალა აღრიცხვისა და სისგემატიზაციის გრაფიცი, აღარ დარჩა ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა სავალდებულო ცალების მოწოდებას და გავრცელებას არსებულ პირობებში, თუმცა ეს ფუნქციები ფორმალურად წიგნის პალატას განეკუთვნება. მას შესწევს უნარი მოაგვაროს ეს საქმე, თუ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ექნება, თუ იქნება მიღებული ხელისუფლების მი-

ერ კანონი სავალდებულო ცალის შესახებ.

ფაქტობრივად, ჩვენში აღარ არსებობს სავალდებულო ცალების სისგემა. გამოდის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხვა პროდუქცია, რომელიც არც ერთ ბიბლიოთეკაში და წიგნის პალატაში არ ხვდება. დაგვიდგება დრო, როდესაც გამოუსწორებელი თავსაგები გაგვიხდება ამ პერიოდში გამოცემულ ბეჭდურ პროდუქციასთან დაკავშირებით. იქნებ მოგს მიაჩნია, რომ დღეს ჩვენი პრობლემა ეს არ არის, მაგრამ რას ვუპირებთ მომავალ თაობებს, როდესაც მათ წიგნის ისტორიის კვლევის პრობლემები შეექმნებათ?

როგორც მოკლე ისტორიული ანალიზიდან ჩანს, ყველა ქვეყანაში გულმოდგინედ ცდილობდნენ სავალდებულო ცალების სისგემა შემოეღოთ, და არა მარტო ცივილიზებულ ქვეყნებში, არა მარტო მეტროპოლიებში, კოლონიებსა და დომინიონებშიც კი.

ჩვენ კი რა მოგვდის?

უძველეს წიგნიერ ქვეყანას, სადაც არის წიგნის პალატა, ეროვნული ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, საინფორმაციო ცენტრები, შესაბამისი კათედრები, განა ეპატიება აქამდე კანონიც კი არ ჰქონდეს სავალდებულო ცალების შესახებ? კანონი, რომელიც დაარეგულირება და და მწყობრ სისგემას შექმნიდა ქვეყნად ისეთი დიდი საგანძურის მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის, როგორიც ეროვნული წიგნია.

## ოფიციალური განყოფილება

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე”

/რეკომენდაციები/

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დირექტორთა და ბიბლიოთეკების ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაწილეობით გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შეეხებოდა ბიბლიოთეკების მართვის პრობლემებს თანამედროვე ეტაპზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია და ქურ-

ნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” რედაქციის წევრები.

კონფერენციის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს ახლებურ მიდგომას, ვინაიდან სერიოზული ცვლილებები მოხდა თვითონ უმაღლესი სასწავლებლების მართვაში. ეს უკანასკნელი ხორციელდება სულ უფრო მეტი ავტონომიის პირობებში, რაც





თავისთავად განაპირობებს ბიბლიოთეკების, როგორც უმაღლესი სასწავლებლების ორგანული ნაწილის მართვისადმი მიდგომების შეცვლას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული ბიბლიოთეკები დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ; მკვეთრად შემცირდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემოსვლის რაოდენობა; დაკომპლექტების პარამეტრების შემცირებამ მოითხოვა სულ უფრო მეტი კონგრული ამ პროცესის ხარისხისადმი. მართვის თვალსაზრისით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს თანხების მოზიდვის საერთაშორისო ფონდებთან, ავგორებთან, გამომცემლობებთან ურთიერთობას.

კონფერენციის მონაწილენი ასევე აღნიშნავენ, რომ ბიბლიოთეკების მართვაში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ძალისხმევით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბიბლიოთეკების ავგომაგიაში თვალსაზრისით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის და სხვ. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ დასახელებული უმაღლესი სასწავლებლებიდან კომპიუტერების დიდი ნაწილი შეძენილია საქველმოქმედო ფონდებიდან. კომპიუტერიზაცია ნელა, მაგრამ, მაინც იკიდებს ფეხს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში.

კონფერენციის მონაწილენი ადასტურებენ, რომ ბიბლიოთეკის მართვაში ბოლო პერიოდში აქცენტი გადატანილი იქნა ჰორიზონტალური მართვის მეთოდებზე, რამაც თავისთავად აამაღლა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებისა და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფონდის მართვა მოითხოვს მის შინაარსობრივ გადახალისებას; მის დაახლოებას საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებთან. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში ბოლო პერიოდში ფონდების შევსება-განახლება მიმდინარეობს შემოწირული, ნაჩუქარი ლიგერატურით, რაც თავისთავად ფონდების მართვაში სიძნელედ შეიძლება ჩაითვალოს. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ კომპიუტერიზაციის გარეშე ერთობ გაძნელდება ბიბლიოთეკის

ფონდების, როგორც ორგანიზებული ცოდნის მართვა. კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს საბიბლიოთეკო ფონდებთან თავისუფალი დაშვების პირობების შექმნის საკითხებზე. აღინიშნა, რომ თავისუფალი დაშვებისათვის საჭიროა სამკითხველო დარბაზებში მეტი პირობების შექმნა და კონგრულის გაძლიერება.

საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე მსჯელობისას კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს ამ საქმეში ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის წარმატებული მუშაობის შესახებ, თუმცა ისიც აღინიშნა ხაზგასმით, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბიბლიოთეკების მართვაში თანამედროვე მენეჯმენტის ფორმებისა და მეთოდების დანერგვის მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადაისინჯოს და განმტკიცდეს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, გადაისინჯოს ბიბლიოთეკების დებულება, შეიქმნას კანონქვემდებარე აქტები. გადაისინჯოს ასევე უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების კატეგორიების საკითხი;
2. ბიბლიოთეკათა დირექტორებს (გამგეებს) მიენიჭოთ მეტი დამოუკიდებლობა ფინანსების ხარჯვისა და საკადრო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. საბიბლიოთეკო პერსონალის მართვაში სულ უფრო აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული თანამედროვე მენეჯმენტის ფორმები და მეთოდები. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მართვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მიზნით ურო მეტად უნდა გააქტიურდეს არსებული საბიბლიოთეკო საბჭოები, შეიცვალოს მათი დებულება; ამ მიმართულებით ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში შესაძლებელია სხვა ფორმების გამოძებნა; ბიბლიოთეკასთან შეიძლება ჩამოყალიბდეს საინიციატივო ჯგუფი, მზრუნველთა კომიტეტი ან საბჭო, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და ა.შ. მთავარია მისი მუშაობის ეფექტურობა, საქმიანი ურთიერთობა ბიბლიოთეკისა და უმაღლესი

სასწავლებლის ხელმძღვანელებთან;

3. კონფერენციის მონაწილენი საჭიროდ თვლი-  
ან შეიქმნას უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიო-  
ოთეკების ღირექტორთა საბჭო, როგორც სათათ-  
ბიროს ორგანო, რომელიც იმუშავებს თბილისის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე. საბჭომ კო-  
ორდინაცია უნდა გაუწიოს აღნიშნულ სასწავლე-  
ბელთა ბიბლიოთეკებს მართვაში.

4. ბიბლიოთეკებმა აქტიურად უნდა ითანამ-  
შრომლონ თბილისში მოქმედ საზოგადოებრივ  
ფონდებთან, საელჩოებთან თუ სხვადასხვა სახის  
საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, არასამთავ-  
რობო ორგანიზაციებთან. უპირველეს ყოვლისა,  
პროფესიული საბიბლიოთეკო გაერთიანებების,  
საბიბლიოთეკო ქსელის ინტეგრირებულ გაერ-  
თიანებებთან – კონსორციუმთან და სხვ. სახის  
ორგანიზაციებთან;

5. ბიბლიოთეკების მართვაში აღმინისგრაცია ულ  
მეთოდებთან შედარებით უპირატესობა უნდა მი-  
ენიჭოს მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ და  
ეკონომიკურ მეთოდებს. მეტი ყურადღება უნდა  
დაეთმოს თითოეული თანამშრომლის ინიციატი-  
ვას, შემოქმედებით ნიჭსა და აღამიანებთან ურ-  
თიერთობის ფაქტორებს, რათა მაქსიმალურად  
იქნეს გამოყენებული საბიბლიოთეკო პერსონა-  
ლის ინტელექტუალური შესაძლებლობები;

6. საჭიროა ამაღლდეს სასწავლებლების ბიბლი-  
ოთეკებს შორის კოორდინაციისა და საბიბლიო-  
თეკო რესურსების კოოპერირების დონე. სათა-  
ნალო ადგილი უნდა დაეთმოს საბიბლიოთეკო და  
საინფორმაციო რესურსების ურთიერთგამოყე-  
ნების საკითხებს.

7. ბიბლიოთეკებმა მეტი ყურადღება დაუთმონ  
მომსახურების ახალი ფორმებისა და მეთოდების  
ძიებას, მომსახურების სფეროების გაფართოე-  
ბას; საბიბლიოთეკო რესურსების დიდ ნაწილთან  
მკითხველთა თავისუფალ დაშვებას; ბიბლიოთე-

კები უნდა გამოვიდნენ საუწყებო ჩარჩოებიდან;  
მათი მკითხველთა კონტიგენტი არ უნდა განისაზ-  
ღერებოდეს მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის  
სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შე-  
მადგენლობით; უმაღლესი სასწავლებლების  
ბიბლიოთეკებმა უნდა მოხსნან დაკონსერვებუ-  
ლი, უმოძრაო საცავების პრობლემა (არ იგულის-  
ხმება საბაზო ბიბლიოთეკა) და მაქსიმალურად  
დახვეწონ ფონდები.

8. შეიქმნას უმაღლესი სასწავლებლების ბიბლი-  
ოთეკების თანამშრომელთა კვალიფიკაციის  
ამაღლებების მუდმივმოქმედი კურსები, მეტი ყუ-  
რადღება დაეთმოს ბიბლიოთეკართა განუწყვე-  
ტელი განათლებისა და საკვალიფიკაციო მოთ-  
ხოვნათა შემუშავების პრობლემებს, მათი ეკო-  
ნომიკური სტიმულირების მიზნით საჭიროა მათი  
თანამდებობრივი თანრიგების განსაზღვრა ბიბ-  
ლიოთეკართა სტაჟის, განათლებისა თუ სხვ. კრი-  
ტერიუმების მიხედვით;

9. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების  
სტრუქტურაში ცალკე ჩამოყალიბდეს საინფორ-  
მაციო სამსახური, რომლითაც შეძლებს უმაღლე-  
სი სკოლის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი  
პროცესის ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

10. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას-  
თან არსებულმა კონსორციუმმა და ინფორმაცი-  
ის სპეციალისტთა ასოციაციამ შეიმუშაონ უმაღ-  
ლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ავტო-  
მატიზაციის შემდგომი სრულყოფის ერთიანი კო-  
ორდინაციული გეგმა და იზრუნონ მისი თანდა-  
თანობითი რეალიზაციისათვის, ამასთან ჯერო-  
ვანი ყურადღება დაეთმოს რეგიონებში მოქმე-  
დი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკათა  
გექნიკური აღჭურვილობის საკითხებს;

11. წინამდებარე რეკომენდაციები დაეგზავნოს  
საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექ-  
ტორებს, ბიბლიოთეკათა ღირექტორებს, საქარ-  
თველოში მომუშავე ყველა კერძო უმაღლესი  
სასწავლებლის ხელმძღვანელობას.

აღნიშნული კონფერენცია  
გაიმართა ი ვ ა ნ ე  
ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში  
მიმდინარე წლის 12 დეკემბერს

## თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

მანია არაპიაშვილი  
სოციოლოგიის ფაკ. II კ.  
სტუდენტი

სკვაპდნიერი, ხანიერი, მზეგრძელ-  
დღეგრძელია თელავის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტი – კახეთის უმაღლეს სასწავლებელთაგან  
უპირველესი ცოდნის გაძარი. ათეული წლებია,  
რაც უნივერსიტეტი ცოდნით აპურებს ვაზის სამ-  
შობლოს – კახეთს.

“ცოდ-  
ნა სინათლეა,  
უსწავლელო-  
ბა – სიბნე-  
ლე”! – ასე და-  
მოძღვრა მე-  
19 საუკუნის  
ქართველობა  
დიდმა ილიამ.  
იმ “ზვიად” სა-  
უკუნეში დაა-  
არსა უსწავ-  
ლელობის –  
სიბნელის გან-  
საქრევად  
თელავ-ქა-



ლაქს ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალმა – ანა ილი-  
ას ასულმა ბაგრატიონმა – წმინდა ნინოს სახე-  
ლობის ქალთა სასწავლებელი 1865 წელს. დი-  
დებული ქალბატონის სულხაბერილმა საქმემ  
იბარცა: ქალთა სასწავლებელმა რევოლუციამ-  
დე იარსება. მისი მემკვიდრე 1923 წლიდან გახ-  
და პედაგოგიური გექნიკუმი. 1939 წელს ძველ  
ნაფუძარზე გაიხსნა სამასწავლებლო ინსტიტუტი ორ-  
წლიანი სწავლებით. პედაგოგიურ გექნიკუმში ჯგუ-  
ფები 1941 წლამდე იყო. 1951 წელს სამასწავლებ-  
ლო ინსტიტუტი გარდაიქმნა პედაგოგიურ ინსტიტუტად  
ოთხწლიანი სწავლებით.

1940 წელს, ოქტომბრის თვეში, სასწავლე-  
ბელს მიენიჭა დიდი ქართველი პედაგოგისა და მოღ-  
ვაწის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის სახელი.

1999 წლის 17 ივნისს ინსტიტუტი გადა-  
კეთდა უნივერსიტეტად. თითქმის საუკუნე-ნახე-  
ვარია, რაც ამ სასწავლებელში ცოდნის ლამპა-  
რი ანთია, თითქმის საუკუნე-ნახევარია, რაც  
ცოდნამოწყურებულ ახალგაზრდობას უხმობს ამ  
სასწავლებლის გარი და თითქმის საუკუნე-ნახე-  
ვარია, რაც ამ სასწავლებლის ბიბლიოთეკა გუ-  
ლუხვ მასპინძლობას იჩენს წიგნის მოყვარულ-  
თადმი.

ყურადსაღებია, რომ ხანგძლივი დროის  
მანძილზე ბიბ-  
ლიოთეკა მემ-  
კვიდრეობით  
გადადიოდა  
ერთი საფეხუ-  
რისა და უწყე-  
ბის სასწავლებ-  
ლიდან მეორე-  
ზე.

ამიგომ  
ამჟამად თელა-  
ვის იაკობ გო-  
გებაშვილის  
სახელობის სა-  
ხელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის

ბიბლიოთეკაში ყველა დროის წიგნადი ფონდის  
ნიმუშები მოიპოვება (მათ შორის უნიკალური გა-  
მოცემებიც).

### ბიბლიოთეკის ფართობი

ერეკლეს საგახგო ქალაქს მართლაც ამ-  
შვენებს გყის პირას ამაცად ამართული ხუთსარ-  
თულიანი შენობა. კვირაობით მშვიდად მიძინე-  
ბული, ორშაბათობით იღვიძებს, რათა გულისა  
და ცოდნის კარი გაუღოს სტუდენტობას. 1973  
წლიდან დაგოვა უმაღლესმა სასწავლებელმა პა-  
გარა კახის სასახლე და ახალ კორპუსში ჩასახ-  
ლდა.

გასაოცარი შემართება, ვაჟკაცური ნების-  
ყოფა გამოიჩინა ბიბლიოთეკის პერსონალმა,  
წიგნადი ფონდი რომ ახალ-ახალ ადგილას გად-

მოეგანა. პროექტით გათვალისწინებული იყო ბიბლიოთეკა – სამკითხველოსათვის ცალკე შენობის აგება, მაგრამ ეს უსახსრობისა და ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გამო შეფერხდა.

ამჟამად ბიბლიოთეკა მოთავსებულია სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე. მას დაკავებული აქვს 10 ოთახი, საერთო ფართობით 360 მ<sup>2</sup> – აქედან ერთ ოთახში (ფართობი 60 მ<sup>2</sup>) მოთავსებულია სამკითხველო დარბაზი, რომელიც ემსახურება პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. ამასთან, გარდა სამკითხველო დარბაზისა, ყოველ კათედრასთან არსებული სამასწავლებლო კაბინეტები ასრულებენ სამეცნიერო-სამკითხველო დარბაზის მოვალეობას.

უმალეს სასწავლებლებში ახალ-ახალი სპეციალობანი იკიდებენ ფეხს. თავისთავად სტუდენტი ახალგაზრდობისა და პროფესორ-მასწავლებლების მოთხოვნილებანიც იცვლება საბიბლიოთეკო ცხოვრებისადმი. მკითხველთა რაოდენობა უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ასეთია:

1995	1996	1997	1998
1999	2000	2001	
2413	2531	3625	2718
2825	2705	2126	

რექტორაგი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდისათვის იღვწის, ცდილობს, ახალი სამეცნიერო თუ მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოს ახლადგახსნილი ფაკულტეტების სტუდენტობა, ამიღიღებს “წიგნის სალაროს”

#### ბიბლიოთეკის საქმიანობა

“წიგნს მგვერი თუ დაელო, მკვდარია!” ღიას, “გონებისა და გრძნობის სალარო” – წიგნი



მიმოქცევაში უნდა იყოს, მკითხველის ხელი უნდა ეხებოდეს, ელაციცებოდეს მის ფურცლებს, დღეყოფელ, რათა სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.



ჩრჩილისა თუ ავგულა მკითხველისაგან იცავს წიგნებს ბიბლიოთეკის გამგე მუხლჩაუხრელი პერსონალითურთ. წიგნის სურნელით დაბანგული გარემო ანდამაგვიით იზიდავს სტუდენტ ახალგაზრდობას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ყოველთვის სისხლსავსე ცხოვრებით გამოირჩეოდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ აქ ორჯერ – 1972 და 1983 წლებში რესპუბლიკური მნიშვნელობის ბიბლიოთეკართა კონფერენცია ჩატარდა. თემატური გამოფენები, ლამაზად გაფორმებული სტენდები – ნათლად წარმოაჩენს ამაგდარი მუშაკების რუდუნება-სიყვარულს.

#### მზიან-ჩრდილიანი შეხვედრა

გამაფხულია. დაკვირგებულია ხეები, მშვეს ოქროსფერ დალალებში ჩაუწნავს კახეთი. გულის მშვეს გაუთბია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზი. ცრემლი სიცილს ეგოქება, ნაღველი – სისარულს.

სალხინო გრაპემს მოგჯერ ჭირის სუფრის ელფერი ედება: იხსენებენ... იხსენებენ სააქაოში მყოფნი საიქიოში მყოფთ... ქალბატონები მანია ასაბაშვილი, ციალა ბარბაქაძე, მერი ჟონჯოლაძე, ლილი ბუჯიაშვილი – აი, ისინი, რომლებიც ერთ დროს სასწავლებლის ბიბლიოთეკას ამშვენებდნენ, ჯავარ-შარავანდელად ეფინებოდნენ.

რექტორი – ბატონი როინი დიდებულად გოლუმბაშობს ჭირ-ლხინის სუფრას და იხსენებენ, იხსენებენ მათ, ადამიანებს, რომლებიც სასწავლებლის ბიბლიოთეკას უმურველად ემსახურებოდნენ, რომლებსაც ბიბლიოთეკა მეორე ოჯახად ესახებოდათ.

## ბიბლიოთეკის მომავალი

“აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მოშობელი მომავალისა!” – ლეიბნიცის ეს ნათქვამი ფრიად ყურადსაღებია. როგორი მომავალი ექნება თელავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას – ეს აინგერესებს რექტორაგს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტ-ახალგაზრდობას, ეს აინგერესებთ ბიბლიოთეკართ.

ახალმა ცხოვრებამ, თანამედროვე ყოფის მაჯისცემამ მიგვანიშნა ბიბლიოთეკის მომავალზე. უნივერსიტეტის მეხუთე სართულზე მოქმედებს ფონდის “ღია სამოგადოება – საქართველოს” სტუდენტთა საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრი თავისი ბიბლიოთეკით, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფო არსენიშვილი.

სულ 120 ადგილია გამოყოფილი მკითხველებისათვის. შვიდ ოთახში წიგნსაცავია მოთავსებული, ბიბლიოთეკის გამგის კაბინეტი ცალკეა, აბონემენტს ერთი ოთახი აქვს დათმობილი.

### საბიბლიოთეკო საბჭო

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო საბჭო. მისი უცვლელი თავჯდომარე 1993 წლამდე იყო ალექსანდრე გვენცაძე.

ბაგონი ალექსანდრე რულუნებით, თავდაზუმოგავი შრომით იღვწოდა ბიბლიოთეკის კეთილდღეობისათვის. ამაგდარი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ საბიბლიოთეკო საბჭოს სათავეში პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი ჩაუდგა. მან საჩინო წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკის საქმიანობაში.

2000 წლის 30 ოქტომბრიდან საბიბლიოთეკო საბჭოს პროფესორი არჩილ სპარსიაშვილი ხელმძღვანელობს. ბაგონი არჩილი უპირველესად მკითხველთა მიერ წიგნების დროულად დაბრუნების საკითხით დაინგერესდა. ამან გარკვეული შედეგიც გამოიღო. ბაგონი არჩილი რეგულარულად ამარაგებს ბიბლიოთეკას პირადი გამოცემებითა და უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო შრომებით. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭო აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას.

### ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი

“დრონი მეფობენ და არა მეფენი”, – უთქვამს ბრძენს. ჭეშმარიტად დრო თავის მსახვრალ ხელს არ აჩერებს. დრომ დაასვა დადი უძველესი სასწავლებლის ბიბლიოთეკასაც. ბოლო ათი წლის მანძილზე სახელმწიფოსაგან, უსახსრობი-

სა და გაჭირვების გამო, არ გამოყოფილა თანხები წიგნების შესაძენად. ჭკვიანი კაცის ხელში მოუგვარებელი საქმეც მოგვარდება. რექტორაგის, პირადად ბაგონ როინ ჭიკაძის უდიდესი ძალისხმევით, 1995-2001 წლის ჩათვლით, უნივერსიტეტის ფასიანი სექტორიდან ბიბლიოთეკას შეუძინეს 6541 ლარის ღირებულების 1034 წიგნი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2002 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 144298 ეგზემპლარს. უნიკალური გამოცემების დიდი ნაწილი გადაგანილია სამკითხველო დარბაზში და ხელმისაწვდომია მკითხველისათვის.

### ბიბლიოთეკის პერსონალი

უკვე ხუთი ათეული წელია, რაც ბიბლიოთეკას თავკაცობს საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი მაყვალა კასრაძე. ქალბატონი მაყვალა მზიანი სახით ხვდება ყველას. რულუნებით, ქართული დარბაისლობით, გამორჩეული, გულისხმიერი, გულგაუტყუებელი ახალ გზას ეძებს, რათა სხვა ბიბლიოთეკების მსგავსად მისმა ბიბლიოთეკამაც სული არ დალიოს. გამოცდილმა ქალბატონმა მერი იაშვილმა და ლილი სულხანაურმა ახალგაზრდები – ლია ბალინოვი და ლელა ნაზირიშვილი თავიანთი კალთის ქვეშ დააფრთიანეს. სამკითხველო დარბაზში დაგხვდებით პოეტი მინა სოლომნიშვილი, რომელსაც მხარს უმშვენებს ახალგაზრდა მუშაკი ეკა ლომიძე.

### ბიბლიოთეკის მკითხველი

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინგლისური ენის შესასწავლი თანამედროვე სახელმძღვანელოები, ცოდნის დონის შესამოწმებელი ტესტები (TOEFEL, GMAT, GRE, SAT) ლექსიკონები და სხვა დამატებითი ლიგერატურა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებსაც სტუდენტები სისტემატურად იყენებენ.

საკონსულტაციო ცენტრში მისული სტუდენტი იღებს ინფორმაციას ფონდის “ღია სამოგადოება – საქართველოს” უახლესი კონკურსების შესახებ. ამავე ცენტრში განთავსდა სამოქალაქო განათლების პროექტის მიერ ნაჩუქარი წიგნები, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტის ახალი დარგის სოციოლოგიის სტუდენტებისათვის არის გათვლილი. მემოთხსენებული ლიგერატურა წარმოადგენს სოციოლოგიის საუკეთესო მკვლევარების ნაშრომებს რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე. კომპიუტერული სისტემის ამოქმედება, განსწავლული ახალგაზრდობა, თა-



ნამედროვე ლიტერატურა (ელექტრონული წიგნები), ადვილად მოძიებული მასალა თუ ინფორმაცია ახალ პერსპექტივას უქმნის ბიბლიოთეკას.

რედაქციისაგან: სტუდენტის მიერ მოწოდებული სტატია, ცხადია, ვერ იქნება პრეტენზიული, პროფესიონალურ დონეზე ასახოს ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის მიერ მოყვანილი ფაქტები კარგ წარმოდგენას გვაქვს აღნიშნულ

ბიბლიოთეკაზე. ავტორი ახალგაზრდული განცდით, ერთგვარი ლირიკით გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას ბიბლიოთეკისადმი და ამავე დროს კარგ დაკვირვების უნარს ამჟღავნებს. მისასალმებელია, რომ იგი, როგორც მკითხველი, დაინტერესებულია ისეთი დეტალებით, რაც საკმაოდ სპეციფიკურია. ჩვენ მივესალმებით ამას და ყოველგვარი ვეცდებით, ხელი შევუწყოთ მკითხველს, ჩვენს უზრუნველყოფით თანამართლებს. ჩვენს უზრუნველყოფით თანამართლებს.

საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციის

ნანა ფირცხალვაძე  
მეცნ. აკად. ცენტრ.  
სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარდაქმნის აუცილებლობა გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რაც საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე კონცეფციებით არის განსაზღვრული. დღეს მთავარი ამოცანაა, ორგანულად შეერწყას ერთმანეთს საბიბლიოთეკო საქმე და ინფორმაციული სამსახური. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება. ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციის გარეშე გაძნელებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ არსებული საბიბლიოთეკო ფონდების გაცნობა და გამოყენება. გარდასაქმნელია საკატალოგო მეურნეობა იმგვარად, რომ მტკიცედ იქნეს დაცული აღწერი-

ლობის საერთაშორისო სტანდარტები და საბიბლიოთეკო დოკუმენტების კლასიფიკაციის ახალი ვარიანტები, დაინერგოს ელექტრონული კატალოგები, გაუმჯობესდეს მკითხველთა მომსახურება, გაძლიერდეს ბიბლიოთეკებთან საერთაშორისო კონტაქტები, ამაღლდეს ბიბლიოთეკის პერსონალის კვალიფიკაციის დონე. გაუმჯობესდეს მაგერიალურ ტექნიკური ბაზა. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა ურთულესი ამოცანების წინაშე აყენებს ბიბლიოთეკას. მათი გადაწყვეტის გარეშე კი შეუძლებელია მიღწეულ იქნეს სათანადო პროგრესი.

საბიბლიოთეკო საქმე თანამედროვე პირობებში ყველა მიმართულებით მოითხოვს გარდაქმნას. ეს ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც ეხება. გარდასაქმნელია აღმინისგრაფიულ-სტრუქტურული, მაგერიალური, ფინანსური, მკითხველთა მომსახურების მიმართულებები, მაგრამ მკვეთრად გარდასაქმნელია საცნობო



ბიბლიოგრაფიული, საკატალოგო, ფონდების ფორმირების, სააღრიცხვო, საგამომცემლო და სხვა მიმართულებები. სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. მთლიანად ახალ ნიადაგზეა ასაგები მეთოდური მუშაობა.

“საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამით” საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარება, სავარაუდოდ, სამ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპია მაგერიალურ-გექნიკური ბაზის შენარჩუნება და საკანონმდებლო, ნორმატიული და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. მეორე ეტაპი – არსებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა, ხოლო მესამე – ბიბლიოთეკარების პროფესიული ღონის ამაღლება და ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია. არსებობს ცენგრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ეტაპიც, რომელიც, ცხადია, გულისხმობს, რომ ბიბლიოთეკის წინაშე დასმული ყველა ამოცანა ერთნაირი სისრულით და ერთდროულად ვერ გადაწყდება. პირველი ეტაპი მოსამზადებელი პერიოდია. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი ბიბლიოთეკის მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობის სასარგებლოდ. ამას ხელს შეუწყობს ზუსტი გეგმების, პროგრამების, დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. სწორედ მოსამზადებელ ეტაპზე ღვება მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები, მუშავდება დოკუმენტაცია გრანტების მოსაპოვებლად, მყარდება კავშირები სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან და დაწესებულებებთან, ინფორმაციულ სამსახურებთან და ასოციაციებთან. შემდეგ ეტაპზე უნდა დაიხვეწოს ბიბლიოთეკის სტრუქტურა, მოხდეს განყოფილებების დიფერენციაცია თუ გამსხვილება, საშტატო ერთეულების დადგენა. ამავე ეტაპზე შეიძლება მოხდეს მოპოვებული თანხების გადანაწილება და მათი რეალიზაცია. ამ ეტაპზევე უნდა დაიწყოს კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოები, კომპიუტერული სწავლება, გადასამზადებელი კურსების მოწყობა, მეთოდიკური სამსახურის აქტიური ამოქმედება და სხვა. აქაც გრძელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაოსტატების სამუშაოები, რასაც უწყვეტი ხა-

სიათი ექნება. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვიდრე მომდევნო ეტაპზე გადავალთ, ამ ეტაპზე მოგვარებულია უკვე საინფორმაციო სამსახური, განყოფილებები აღჭურვილია კომპიუტერებით, ბიბლიოთეკაში გაძლიერებულია საცნობო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა, მოწესრიგებულია წიგნადი ფონდები, მისი დაცვა, უზენუნველყოფილია მაგერიალურ-გექნიკური ბაზა, დაწყებულია ელექტრონული კატალოგის შექმნა და ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემაში.

ცენგრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონცეფციაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს საბიბლიოთეკო პროცესების დაგეგმვას, აღრიცხვას ანგარიშგებასა და პროგრამირებას.

საბიბლიოთეკო პროცესების დაგეგმვა უნდა გაგრძელდეს ახალი გექნოლოგიების გამოყენებით. იგივე შეიძლება ითქვას აღრიცხვაზე, რომლის წესები და მეთოდები ახლებურად გააზრებას მოითხოვს. ბევრია და მოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება თანამშრომლების პასუხისმგებლობა მათზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებაზე, ალღენასა და განვითარებას ექვემდებარება ანგარიშგების პროცესიც, აღრიცხვა-ანგარიშგება უნდა გადაიქცეს ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობის შეფასების საშუალებად, რამეც დამოკიდებული უნდა იყოს მისი საბიუჯეტო პოლიტიკა. გათვალისწინებული იქნება ყველა რგოლისა და პირის პასუხისმგებლობა ამა თუ იმ საქმის შესრულებაზე. ზუსტი დაგეგმვა და აღრიცხვა-ანგარიშგება საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები, რომლებიც შეასრულებენ იმ პროექტების მოვალეობას, გარდაქმნის პერიოდში რომ განხორციელდება. პროგრამირება საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ სათანადო პროგნოზები, გავითვალისწინოთ სამუშაოს შესრულების ვადები, მოცულობა და პერსპექტივები.

ცენგრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფცია ბიბლიოთეკის სტრუქტურის კორექტირებასაც მოითხოვს. არსებული სტრუქტურა მოძველებულია, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის თა-

ნაარსებობა. საჭიროა შეიქმნას საინფორმაციო-მეთოდური ცენტრი თავისი განყოფილებებით, რომელიც უშუალოდ ბიბლიოთეკის დირექტორს დაექვემდებარება.

სტრუქტურულ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს საგამომცემლო განყოფილება, რომელიც განახორციელებს ყოველგვარ გამოცემას, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გრიფით გამოქვეყნდება.

განახლებას ექვემდებარება საბიბლიოთეკო საბჭო, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს. უნდა გააქტიურდეს მისი მუშაობა და იქცეს სისგემაგურ პროცესად, რათა მან გაითავისოს ბიბლიოთეკის პრობლემები და დაეხმაროს ამ პრობლემების გადაწყვეტაში.

გასაძლიერებელია დირექციის ზედამხედველობა და კონკრული ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე. მოსაწესრიგებელია სამუშაო გრაფიკები, საწარმოო დისციპლინა და სამუშაო რეჟიმი, რაც, სამწუხაროდ, გართულებულია იმ სოციალურ პირობებში, რომლებშიც დღეს უწევთ ცხოვრება და მუშაობა საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც.

კონცეფციით განსაკუთრებით დიდი როლი უნდა მოსალოდნელი კატალოგიზაციაში. ეს ეხება როგორც აღწერილობის წესებს, ისე კლასიფიკაციასა და საკატალოგო მეურნეობას მთლიანად. გარაქმნას დაექვემდებარება ყველა სახის კატალოგი და კარგოთეკა. საბოლოოდ, ვფიქრობთ, მოხდება ყველა კატალოგისა და კარგოთეკის კონსერვაცია და ელექტრონული კატალოგის შემოღება. საკლასიფიკაციო სისგემად და აღწერილობის სტანდარტად მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული კონსორციუმისა და საკოორდინაციო საბჭოს მიერ შერჩეული სისგემები. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სტანდარტიზაციის გეჟნიკური კომიტეტი (“გკ32-ინფორმაცია და დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმე”), მისი დებულება, რომელიც მოამზადა საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

ბიბლიოთეკა ჩაებმება საქართველოს ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგის ქვესისგემაში და აქტიურად იმოღვაწებს მის შესაქმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წიგნადი ფონდების ფორმირებას. გაიზრდება დაკომპლექტების წყაროები, გაფართოვდება კონტაქტები საგამომცემლო და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებთან. თანდათან მოწესრიგდება წიგნადი ფონდის გეგმიური დაკომპლექტების საქმე, რაც დღეისათვის სრულიად მოუგვარებელია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს “საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამაც”, რომელიც შენიშნავს: “ხარვეზებით ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილება ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკების სავალდებულო ცალეებით უზრუნველყოფის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 აპრილის №321 დადგენილება). არ სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება “სამთავრობო გამოცემების საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში გავრცელების უზრუნველყოფის შესახებ” (21.04.2000); არ არის შემუშავებული კანონის პროექტი “სავალდებულო ცალეებით ბიბლიოთეკების უზრუნველყოფის შესახებ”. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს ბიბლიოთეკების აბსოლიტური უმრავლესობა, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკაც, არ კომპლექტდება ახალგაზრდა მოცემული ლიტერატურით, რის გამოც საფრთხე ექმნება როგორც შედარებით პაგარა, ისე დიდი ბიბლიოთეკების არსებობას. პერსპექტივაში მოსალოდნელია წიგნის ბირჟისა თუ ბიბკოლექტორის ორგანიზება, დაიძლევა პარალელური ლიზინგი, გაძლიერდება პროფილური დაკომპლექტება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წიგნადი ფონდების გათავისუფლებას ფიზიკურად გაცვეთილი, შინაარსობრივად მოძველებული და ზედმეტი ეგზემპლარებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ უფრო ეფექტური გახდება გაცვეთილი ფონდებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტება. ფონდების შესავსებად მასალის მოძიება მოხდება ელექტრონული გეჟნიკის მეშ-



ვეობით.

კონცეფციით ნავარაუდევია ფონდის დაცვის გაუმჯობესება. სათანადო ყურადღება მიექცევა ფონდების შერჩევით შემოწმებას, რაც ბიბლიოთეკაში დღესაც გარდება. გაძლიერდება დავალიანების სალიკვიდაციო სექტორის საქმიანობა, რასაც დღევანდელი მიგრაციის პირობებში დიდი ყურადღება ექცევა. გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი სარესტავრაციო და საამკინძაო სამსახურში. უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ფონდების დებინფექციას. ყურადღება უნდა დაეთმოს წიგნსაცავში ჰაერის გენიანობას და გემპერაგურას, რისთვისაც აუცილებელია საკონდიციონერო, სავენტილაციო დანადგარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოწესრიგება, რასაც დიდი თანხები სჭირდება და რაც, სამწუხაროდ, დღეს ბიბლიოთეკას არ გააჩნია. აღსადგენია შენობის გათბობის სისტემა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წიგნსაცავებში თაროებზე ლიგერაგურის განლაგების სიმუსგეს.

დაწყებულია და, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდება თბილისის ყოფილი სამეცნიერო-ისგორიული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების დამუშავება, რომელიც პირველ რიგში მის დასუფთავებას და, საჭიროების შემთხვევაში, დებინფექციას ითვალისწინებს.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციით გათვალისწინებულია მკითხველთა მომსახურების შემდგომი განვითარება, სერვისის ახალი ფორმების შემოღება. ამ საკითხს სათანადო ყურადღებას უთმობს “საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2001-2005 წლების სახელმწიფო პროგრამაც”, რომელშიც აღნიშნულია, რომ ირღვევა კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (1996), რის გამოც არ არის დაცული მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონცეფციაში მითითებულია, რომ ბიბლიოთეკის მომხმარებელთა (მკითხველთა) მომსახურება გამარტივდება გექნიკური საშუალებების გამოყენებით. ეს იქნება მკითხველთა რეგისტრაცია, საჭირო წიგნისა თუ პერიოდული გამოცემების მოძიება, მათი გასაცემად გა-

ფორმება თუ სხვა გექნიკური ოპერაციები.

ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს, რომ გაძლიერდეს საინფორმაციო სამსახური. მისი ძირითადი ამოცანაა, დაეხმაროს მკითხველს ბიბლიოგრაფიული ცოდნის მიღებაში, საკითხების გარკვევასა და დამუსგებაში, ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებაში, ახალმიღებული მასალის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაში და სხვ. ეს სამუშაოები ბიბლიოთეკაში დღესაც სრულდება, მაგრამ მომავალში იგი უფრო დაინტენსიფიკაცია და გექნიკის გამოყენებით მკითხველისთვისაც უფრო ხელმისაწვდომი გახდება. ინფორმაციულ მუშაობას საფუძვლად დაედება “საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემის კონცეფცია”.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონცეფციით განზრახულია ახალი გექნიკოლოგიების დანერგვა, რაც გარდაქმნის ღერძს წარმოადგენს. მომავალში დაინერგება უახლესი გექნიკოლოგიური საშუალებები. ფოტოპირები, მიკროფილმები, მიკროფიშები და სხვა, გადაყვანილ იქნება კომპიუტერულ სისტემაში. გაფართოვდება საინფორმაციო რესურსები. განმტკიცდება კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერები შევა ყველა განყოფილებაში – ლიგერაგურა აიწერება კომპიუტერებში, აღრიცხვა, კატალოგიზაცია ასევე კომპიუტერების საშუალებით მოხდება, იარსებებს კომპიუტერული დავთარი, ჯამობრივი აღრიცხვა; მკითხველები დამოუკიდებლად იმუშავებენ კომპიუტერთან და დაუკვეთავენ მათთვის საჭირო ლიგერაგურას. გაფართოვდება ინტერნეტი, მოძებნა და გაცემა, ჩართვა და სხვა საბიბლიოთეკო პროცესები. მკითხველებს აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენების მეტი საშუალება მიეცემათ, მოისმენენ ხმოვან ჩანაწერებს, წაიკითხავენ მიკროფაილებს, ნახავენ ვიდეოჩანაწერებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრებთან მუშაობას. ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ მომავალში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ დაოსტაგებას. ეს შესაძლებელი იქნება მოკლევადიან კურსებზე, გექნიკური სწავლების კლასებში, მეთოდსემინარებზე, კონფერენციებზე. კად-



რებთან მუშაობის საკითხი “სახელმწიფო პროგრამაში” შემდეგნაირადაა ფორმულირებული: “დაბალია ბიბლიოთეკებში დასაქმებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონე. 1992 წლიდან აღარ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი კურსები. საბიბლიოთეკო კადრებით დაკომპლექტებას ვერ აკმაყოფილებს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი და თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ბიბლიოთეკართა რაოდენობა”. ამ მიმართებით “სახელმწიფო პროგრამაში” გათვალისწინებულია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტისა და თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების აღდგენა, ბიბლიოთეკართა სტაჟირება სამღვარგარეთ, კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის ორგანიზება, ბიბლიოთეკართა აგესტაცია.

დაახლოებით ასეთივე გეგმებია ჩაფიქრებული ჩვენი ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციითაც – სამუშაოდ მიღებისას აგესტაციის გავლა, სამუშაოდ და საკონსულტაციოდ საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტების მოწვევა, მაღალკვალიფიციური კადრების მიღება და შენარჩუნება, მათი პროფილით დასაქმება, ახალგაზრდა კადრების გამოზრდა, მათი გაგზავნა მიზნობრივ ასპირანტურაში. ბიბლიოთეკაში უპირველეს ყოვლისა მიიღებიან საბიბლიოთეკო დარგის სპეციალობა მიღებული ახალგაზრდები უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნით.

მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებასა და განვითარებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია როგორც “სახელმწიფო პროგრამაში”, ისე ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციაში. სახელმწიფო პროგრამაში ეს საკითხი უპირველეს პრობლემადაა მიჩნეული და პირველი ეტაპის პრობლემას განეკუთვნება. ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას “კონცეფციაში”. დღეს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ღირექციის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქეთკენ, რომ მოწესრიგდეს ბიბლიოთეკის შენობა, გადაიხუროს მისი დაზიანებული სახურავი, საკმაო თანხა და დიდი შრომა დასჭირდება ბიბლიოთეკის გერიგორიის შემოღობვას, გერიგორიის დასუფთავებასა და განაშენიანებას. მომავლისათვის ამ მიმართულებით ბევრი რამაა გათვალისწინებული, რაც სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერაზეა და-

მოკიდებული.  
“სახელმწიფო პროგრამით” სამეცნიერო-მეთოდიკურ მუშაობას რესპუბლიკის მასშტაბით წარმართავს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭო. ნათქვამია, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს.


ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციით სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობის სრულყოფას განახორციელებს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრი, რომლის მთავარი ფუნქციაა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ხელშეწყობა და მეთოდიკური პროცესების წარმართვა როგორც ცენტრალურ, ისე მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში. კონცეფციით ცენტრი სპეციალისტებს დაუკვეთავს მეცნიერული თემების შესრულებას, იზრუნებს ნაშრომისა და მეთოდიკური მასალის გამოცემაზე, ჩაატარებს სისგემის ბიბლიოთეკების დათვალიერებას, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოაწყობს კურსებს, ჩაატარებს სემინარებს და კონფერენციებს, მონაწილეობას მიიღებს თანამშრომელთა აგესტაციაში, ჩამოაყალიბებს მუდმივმოქმედ სემინარებს, მოაწყობს ახალი გამოცემების პრეზენტაციას, იზრუნებს სიახლეთა დანერგვისათვის ბიბლიოთეკაში; საბიბლიოთეკო-ინფორმაციული ცოდნის დასანერგად ბიბლიოთეკის მომხმარებელთათვის (მკითხველთათვის) ბიბლიოთეკაში იარსებებს მუდმივი სწავლების პროცესი, რისთვისაც გამოიყენება პოპულარიზაციის დღემდე არსებული ფორმა – თვალსაჩინო, ზეპირი თუ წერილობითი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფცია გათვალისწინებულია 2000-2005 წლებზე, თუ საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობები ჩვენი ამ სამომავლო გეგმების რეალიზაციის საშუალებას მოგვცემს.

რეაქციისაგან: მოცემული სტატია საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ გავაცნოთ, თუ რა გეგმები გააჩნია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, არამედ იმითაც, რომ იგი წარმოგიჩინოს იმ ასპექტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა ბიბლიოთეკოსთვის არის საზოგადოებრივი, გვიჩვენებს, რას უნდა მიეძღვნა მთავარი ყურადღება ჩვენი ბიბლიოთეკების სამომავლო რეორგანიზაციის დროს.

# ჩემი მუშაობის ბიბლიოთეკა

(მოკლე ცნობა თიანეთის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის შესახებ)



ინგა ზარიავა

თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” გამოცემიდან თითქმის ორ წელზე მეტი გავიდა. იგი სამოგადოებრივ სათვის უფრო და

უფრო პოპულარული ხდება. ქართულ პერიოდიკას ნამდვილად შეემატა კიდევ ერთი ახალი და საჭირო ჟურნალი.

მე ბიბლიოთეკარი ვარ და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჟურნალმა ჩემს ცოდნას ბევრი რამ შემატა არა მარტო საბიბლიოთეკო საქმიანობაში, არამედ მის გარეთაც. ჩემი აზრით, ამ ჟურნალის ერთ-ერთ ღირსებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მისი შინაარსი ფართო სპექტრს მოიცავს. იგი საინტერესოა არა მარტო ბიბლიოთეკარებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისაც წიგნი უყვარს და წიგნის პრობლემებით არის დაინტერესებული.

ბედნიერებაა ისიც, რომ ჩვენ, ბიბლიოთეკარებს, მოგვეცა საშუალება, ჩვენი გამოცდილება, ჩვენი მოსაზრებები თუ შეხედულებები ამ ჟურნალის მეშვეობით გავუზიაროთ ერთმანეთ-

საც და მკითხველთა ფართო მასებსაც. ვსარგებლობ რა ამ სესაძლებლობით, მინდა მოგიხსნათ ჩემი მშობლიური კუთხის – თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში – 1895 წელს დაარსდა. თავდაპირველად ბიბლიოთეკა ეკლესიის შენობაში ყოფილა, შემდეგ ფოსტის შენობაში, ხოლო 1989 წელს მისთვის განკუთვნილ ახალ შენობაში გადაიტანეს.

ბიბლიოთეკის დაარსებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა სამოგადოებრივმა ჩაუყარა საფუძველი, ამის შემდეგ კი ბიბლიოთეკას ფინანსურ დახმარებას უწევდა ადგილობრივი მოქალაქე, აფთიაქის გამგე ჩაბალაშვილი. დღეს უკვე საუბრია იმის შესახებ, რომ მის პატივსაცემად თიანეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწოდოს ჩაბალაშვილის სახელი.

სულ ცოტა ხნის წინათ თიანეთის ბიბლიოთეკას 58 ფილიალი ექვემდებარებოდა. დღეისათვის ფილიალების რაოდენობა 38-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა ბიბლიოთეკართა რაოდენობაც. ცენტრალურ ბიბლიოთეკას 21 თანამშრომლის ნაცვლად 8 ბიბლიოთეკარი ემსახურება. მათ შორის 3 უმაღლესი სპეციალური განათლებით, 3 ტექნიკუმის სპეციალური განათლებით და 2 უმაღლესი განათლებით.

საქართველოს  
პარლამენტის  
მდივნის  
კაბინეტი

ფონდის რაოდენობა 61 000 ეგზემპლარს აღწევს. 1990 წლიდან ბიბლიოთეკას არ შეუძენია არანაირი სახის ლიგერატურა. იგი კომპლექტდება იშვიათად საჩუქრის სახით შემოსული ლიგერატურით. ასე დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმ 2000-მდე მომხმარებელს, რომელიც ამჟამად ბიბლიოთეკას ჰყავს. ბიბლიოთეკის ფონდი ხშირად იწმინდება შინაარსობრივად მოძველებული წიგნებისაგან. მას შემდეგ, რაც ცენტრალურ ბიბლიოთეკას რამდენიმე ფილიალიც შემოუერთდა, გაირიცხა 4000-მდე წიგნი.

დღეისათვის, ისე როგორც ყველგან, აქაც ბიბლიოთეკა არც სახელმწიფოს ბიუჯეტით და არც ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყურადღებით არ არის განუხილველი. მიუხედავად არასახარბიელო პირობებისა, ბიბლიოთეკარებს არც ერთი დღე არ შეუწყვევით მუშაობა და მკითხველთა საზოგადოებასაც არ მიუგოვებია იგი.

ბიბლიოთეკაში ხშირად გარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. 8 მარტს ბიბლიოთეკამ საინტერესო შეხვედრა მოუწყო კულტურის განყოფილების გამგეს, პოეტ ქეთევან შარშიაშვილს. ეს საღამო ჩაგარდა კულტურის სახლში და მას უამრავი მკითხველი ესწრებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თიანეთის რაიონში

ცალ-ცალკე არსებული ახალგაზრდობისა და საბავშვო ბიბლიოთეკები გაერთიანდნენ საბავშვო ბიბლიოთეკის შენობაში. ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდია 23 000. მკითხველისათვის ფონდი ხელმისაწვდომია, არის ღია დაშვება. სამწუხაროდ, შენობა არ არის კარგ მდგომარეობაში, ესაჭიროება რემონტი, მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილობრივ ხელისუფლებას ბიბლიოთეკის შეკეთების საშუალება ჯერჯერობით არა აქვს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ბიბლიოთეკას საკმაო მკითხველი ჰყავს. ახლახან ბიბლიოთეკაში ჩაგარდა შესანიშნავი ღონისძიებები: ბავშვთა ლიგერატურული საღამო “ჩვენ დედაინდან მოვდივართ” და საზაფხულო ლიგერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია “სანამ დედა ცოცხალია”. ღონისძიებები ბიბლიოთეკარებისათვის ის სიცოცხლე და სიხარულია, რომელიც იმპულსს აძლევს მათ და ავსებს მუშაობის ენთუზიამით.

თიანეთის რაიონის ბიბლიოთეკების გაერთიანების ღირექტორად ამჟამად მუშაობს ქალბატონი ბუღალა ნაკვეთაური, რომელიც ენერგიულად უძღვება რა თავის საქმიანობას, მზად არის ფეხი აუწყოს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ წამოწყებულ იმ საიხლეებს, რასაც თანამედროვე ქართული ბიბლიოთეკების მშენებლობა ჰქვია.

## გამოცდილების გაზიარება-საერთაშორისო კონტაქტები

### ურთიერთობების აღდგენის საწინდარი



მზია რაჟმაძე

არც ისე დიდი ხნის წინათ ქართველ და ლიგველ კოლეგებს შორის საკმაოდ მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები იყო დამყარებული. არაერთგმის სტუმრებიან ლიგველი ბიბლიოთეკარები თბილისს, გაცნობიან ჩვენს საქმიანობას, საქართველოს ღირ შესანიშნაობებს, შეუძენიათ ახალი მეგობრები. ჩვენგანაც გამოუჩენიათ ინტერესი ლიგველი გამოცდილებისადმი. განსა-

კუთრებით ეს ითქმის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე, სადაც ერთ პერიოდში ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლისას ხუთწლიანი სწავლების შემოღებისას სწორედ ლიგველი გამოცდილება იყო მხედველობაში მიღებული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დოცენტი ა. ლორიამ მონაწილეობა მიიღო ლიგვის ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალისგთა რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიაზე და რამდენიმე ლექცია წაიკითხა შესაბამისი დარგის სტუდენტებისათვის. ურთიერთობა ღრმავდებოდა, მაგრამ ცნობილმა მოვლენებმა ეს პროცესი შეაფერხა. მიუხე-



დავად ამისა, ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით არ შეგვეწყვიტა კავშირი.

საქმეს ართულებს ჩვენი ქვეყნების გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით სავსებით განსხვავებული პირობები. გერიგორიული სიშორის გარდა მძიმე გადასალახავია ის ბარიერები, რომლებიც იქმნება ჩვენს შუა მდებარე ქვეყნების მიერ. ლიგვური საბიბლიოთეკო საქმე, ამ დარგის სპეციალისტთა მომზადების სისიგემა ყოველთვის გამოირჩეოდა ნოვაგორობით, რაც კარგად იგრძნობოდა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში იმ შეხვედრების დროს, რომლებიც საკავშირო მასშტაბით იმართებოდა სხვადასხვა ქალაქებში. მაშინაც ჩვენს სპეციალისტებს შორის საკმაოდ კარგი საქმიანი ურთიერთობა მყარდებოდა. ამგვარ ურთიერთობებს ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბალტიისპირეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებ-



ში ბევრი რამ უკვე გაკეთდა, რაც ჩვენ უნდა დავნერგოთ ჩვენი გამოცდილებისა და პირობების გათვალისწინებით.

სწორედ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ურთიერთობის ძველი გრადიციების აღდგენა. გასულ წელს თბილისში ჩამოსული იყო ბუდაპეშტის სოროსის ფონდის საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი რიმა კუპრიგე. იგი ლიგველია და მისი მეშვეობით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ (პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი) კავშირი დაამყარა ლიგველ კოლეგებთან, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდნენ გაეწიათ ჩვენთვის მასპინძლობა ჩვენს ბალტიისპირულ კოლეგებთან. საჭირო იყო სახსრების მოპოვება, რაშიც დავგეხმარნენ ერთმხრივ ლიგვის სოროსის ფონდი და მეორემხრივ საქართველოში მოქმედი სოროსის ფონდი

«ღია სამოგალოება» რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ჩვენი ასოციაციის პროექტი. ამ ერთობლივი პროექტით მიღებული სახსრების წყალობით 2002 წლის 26 ნოემბერს საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი გაემგზავრა ლიგვაში, რომელმაც იქ 2 დეკემბრამდე დაჰყო და საფუძვლიანად გაეც-



ნო ამ ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმიანობას.

ჩვენი დელეგაცია შედგებოდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ბიბლიოთეკარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის სფეროს სპეციალისტებისაგან, სულ 14 კაცი: ელენე ნაკაშიძე (თბილისის ფონდ «ღია სამოგალოების» საბიბლიოთეკო პროგრამების კოორდინატორი), ელენე კასრაძე (თბილისი), ქუქუნა ჩეკურიშვილი (თბილისი), ჯამილა გაჯიევა (თბილისი), ნინო კამკაშიძე (გორი), მზია გურგენიძე (გორი), მაირა კაპანაძე (ახალციხე), მზია შენგელია (ქუთაისი), მაღონა ხაზარაძე (ქუთაისი), ნუნუ ჭელიძე (ფოთი), იოსებ გვაძაბია (ფოთი), გენადი მახარაძე (ბათუმი), მაზა მარუაშვილი (ბათუმი) მზია რაზმაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი).

ჩვენი ვიზიტის მიზანი მრავალწახნაგოვანი იყო, უნდა გავცნობოდით უშუალოდ ბიბლიოთეკების საქმიანობას არსებულ პირობებში, სიასხლეებს რაც დაინერგა და ინერგება, ახალი გეგნოლოგიების გამოყენების დიაპაზონს, რაც მთავარია, მოსახლეობის მომსახურების პირობებსა და არსებულ სიგუაციას. გარდა ამისა, გვსურდა გაგვეზიარებინა თვითმმართველობის კულტურის სფეროს გამოცდილება საქალაქო სისტემის რეორგანიზაციისა და სრულყოფის დარგში.

მედმეგია იმაზე ლაპარაკი, როგორი გულწრფელი და უშურველი სგუმართმოყვარეობა გამოიჩინეს ლიგველმა კოლეგებმა. ყოველ-

მხრივ ცდილობდნენ, გარდა საქმიანი ღონისძიებებისა, ჩვენთვის დასვენებისა და გართობის ყველა პირობა შეექმნათ; საინგერესო იყო მათი კოლგურულ-საგანმანათლებლო პროგრამა. დროის სიმცირის გამო სამუშაო რეჟიმი საკმაოდ დაძაბული იყო. მიუხედავად ამისა ბევრი რამ ვნახეთ, გავეცანით და გავიგეთ. მოვინახულეთ სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკები: ვილნიუსის, კაუნასის, კლაიპედას, უგენის, ზარასაისა და კრეგინგის, როგორც საქალაქო მასობრივი, ისე სამხარეო. თითქმის მთლიანად მოვიცავით ლიგვის საბიბლიოთეკო ქსელი.

ჩვენი ვიზიტი ყურადღების გარეშე არ დარჩენია მასმედიას. ჩვენი ჩასვლისა და მუშაობის შესახებ ქვეყნდებოდა ინფორმაციები. საკმაოდ ვრცლად იქნა გამოქვეყნებული სტატია გაზეთ «კლაიპედაში».

ნამდვილად სასარგებლო იყო ჩვენთვის ეს ვიზიტი. ბევრი რამ ვნახეთ ისეთი, რომელმაც ჩვენი ღიდი ინგერესი გამოიწვია. ეს არ არის გასაკვირი. ლიგვა ხომ აღმოსავლეთ ევროპაში საბიბლიოთეკო სერვისით ერთერთ სამაგალითოს წარმოადგენს.


განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმან, რომ აქ ბიბლიოთეკები თითქმის მთლიანად თავისუფალი დასწრების სისტემაზე არიან გადასული, სწრაფი გემპით მიმდინარეობს ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია, მიღებული აქვთ საერთაშორისო სტანდარტები, შექმნეს მასობრივ ბიბლიოთეკათა რეგიონალური შეერთებული კატალოგები, მო-

ახდინეს საბიბლიოთეკო სისტემის რეორგანიზაცია, შეიგანეს ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში და სხვა.

ფრიალ საგულისხმოა, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიულ დაოსტატებას. ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისათვის შექმნილია სამი ცენტრი: კოლგურის დარგში კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, ლიგვის ეროვნული ბიბლიოთეკა, პედაგოგიური უნივერსიტეტი. სამივე ცენტრი ფინანსირდება როგორც ადგილობრივი მმართველობის მიერ, ისე სხვადასხვა ფონდებით.

ბიბლიოთეკის მუშაკების გარდა შეხვედრები გვექონდა ადგილობრივი თვითმმართველობის, სასწავლო ცენტრისა და ლიგვაში არსებულ სოროსის ფონდის წარმომადგენლებთან.

იქ გამართული მოლაპარაკებების შედეგად დაიგეგმა ლიგველი კოლეგების ჩამოსვლა საქარველოში, აპრილის თვეში. განზრახულია გაიმართოს ლექციები და სემინარები მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის. ბოლოს მაღლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ იმ ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც თავს იდევს, შემდგარიყო ჩვენი მისია, ესენი არიან: ქ.ნი რიმა კუპრიტე, ქ.ნი პიქსილინგაიტე (ლიგვის სოროსის ფონდის საბიბლიოთეკო პროექტების კოორდინატორი). ქ.ნი ელენე ნაკაშიძე, ირაკლი ფორჩხიძე (ფონდი ღია სამოგალოება) ბ.ნი ირაკლი ღარიბაშვილი (საქ. საბ. ასოც. პრეზიდენტი).



## ბიბლიოთეკები სახმს იცვლიან

გვესაუბრება ლიტვაში ქართველ სპეციალისტთა მივლინების ერთი მონაწილეთაგანი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი ჯ ა შ ი ლ ა გ ა ჯ ი შ ი ა

ლიტვის საბიბლიოთეკო ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1997 წლიდან საბიბლიოთეკო ქსელის პრობლემებსა და ბიბლიოთეკების მუშაობის შინაარსისადმი მიდგომის პრინციპად მიჩნეული იქნა არა ბიბლიოთეკების მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ მკითხველთა მიმსახურების ხარისხი, ბიბლიოთეკების მომხმარებელთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე.

სწორედ ასეთი მიდგომით იქნა გააზრე-

ბული ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა. ლიგვის ზოგიერთ რეგიონში ბიბლიოთეკების რაოდენობა ორჯერ შემცირდა; მიუხედავად ამისა, დღეს ლიგვაში 3-ჯერ მეტია ბიბლიოთეკების რაოდენობა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. ბიბლიოთეკების განვითარების სტრატეგიული გეგმების თანახმად შემუშავდა პროექტები, შედგა კონკურსები მიზნობრივი ჯგუფების (ინვალიდების, ბავშვთა, ახალგაზრდობის, პენსიონერთა და სხვ.) საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. კაუნასის რაიონ-

ნის ერთ-ერთ სოფელში მაცხოვრებელთა მიერ შეგროვილი იქნა 2000 დოლარი, რომელიც მოხმარდა ბიბლიოთეკაში ინტერნეტ-ქსელის ამუშავებას. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ბიბლიოთეკაში დაეუფლნენ კომპიუტერთან მუშაობის წესებს, მოპოვებული იქნა უახლესი ინფორმაციები მართვის შესახებ.

როგორც სოროსის ფონდის ლიგვის განყოფილების უფროსმა, ქალბატონმა იულიამ აგვისნა, ეს ფონდი არ მოგავს სახსრებს, რათა ახალგაზრდობამ მიიღოს განათლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ეს არის ეროვნული კადრების მომზადების თანამედროვე მოთხოვნილება. ბიბლიოთეკებში სწავლება მომდინარეობს ღვევიმით “ვისწავლოთ მთელი ცხოვრების მანძილზე”.

ლიგვაში ამჟამად ფუნქციონირებს 4000-მდე ბიბლიოთეკა. ქვეყნის საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკები 60 ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემაში. უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკების რაოდენობა შეადგენს 22-ს. სასკოლო ბიბლიოთეკების რიცხვი 2000-სს აჭარბებს. ლიგვის ეროვნული ბიბლიოთეკა აჭარბებს ლიგვურ ენაზე პირველი წიგნის შემდგენლის (მე-16 ს.) მარტინას მაქვიდასის სახელს. ბიბლიოთეკა დაარსდა 1919 წელს. ეს ბიბლიოთეკა იმავე დროს ასრულებს ეროვნული ბიბლიოთეკის ცენტრის ფუნქციებს. 1993 წელს ლიგვის წიგნის პალატა მიუერთდა ეროვნულ ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის მიზნით შეიქმნა სამეცნიერო ბიბლიოთეკების კონსორციუმი, რომელიც ამჟამად ახორციელებს ლიგვის ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების პროგრამას. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ელექტრონული მონაცემთა ბაზა უკვე გაუთანაბრდა გრადიციული ინფორმაციული წყაროების მონაცემთა ბაზას. ეროვნული და 5 საოლქო ბიბლიოთეკა ღებულობს უფასო სავალდებულო ცალკეს. კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ ლიგვაში მიღებული იქნა 1995 წელს. ლიგვის ეროვნული ბიბლიოთეკა დიდი პოპულარობით სარგებლობს ქვეყანაში. იგი ყოველწლიურად 20.000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. საშუალო წლიური დასწრება სამკითხველო დარბაზებში შეადგენს 400.000-სს, წიგნგაცემა 1.500.000-სს. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი

ამჟამად აჭარბებს 8 მლნ. ერთეულს.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს აღმოსავლური კულტურის ცენტრი. ლიგვის საბიბლიოთეკო მუშაობის გარდაქმნის თვალსაზრისით ბევრს აკეთებს გოეთეს ინსტიტუტი მიუნხენში და იაპონიის ფონდი.



საინტერესო მუშაობას ეწევა ვილნიუსის ადამ მიცკევიჩის სახელობის საოლქო ბიბლიოთეკა. იგი ყოველწლიურად 18-20 ათას უახლეს გამოცემას ღებულობს. ბიბლიოთეკის ერთ თანამშრომელს ყოველდღიურად საშუალოდ 100 სახელწოდების წიგნი შეაქვს ელექტრონულ კატალოგში. ბიბლიოთეკაში სისტემატიზაცია მიმდინარეობს ლიგვურ ენაზე თარგმნილი უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით.

კაუნასის მუნიციპალური საჯარო ბიბლიოთეკაში მოქმედებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამი პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია სოროსის ფონდის მიერ. ამ პროგრამებიდან აღსანიშნავის “მომრდილთა განათლება”, კლუბები “ესპერანტო” და “თანამოაზრენი” თანაბრად იზიდავს მკითხველს სხვადასხვა რეგიონებიდან. ლიგვის მოგიერთ რეგიონში მიმდინარეობს საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების გაერთიანება. კლაიპედის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკაში ხორციელდება პროექტები: “ინტერნეტ-სამკითხველო დარბაზი”, “აუდიო-ვიდეო საშუალებები ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში”, “საბავშვო ბიბლიოთეკა – ინფორმაციის ცენტრი”, “ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის გაფართოება”, “მხატვართა ვირტუალური გალერეა” და სხვ.

ყველაფერი, რაც ჩვენი თვალთ ვნახეთ, საოცრად შთამბეჭდავი დ საინტერესო იყო. ერთი რამ მაინც თვალშისაცემი დამამახსოვრდა – დამოკიდებულება ხელმძღვანელისა კოლეგებისადმი და ბიბლიოთეკართა დამოკიდებულება ბიბლიოთეკის მომხმარებლისადმი. ყველგან იგრძნობოდა სითბო, გულისხმიერება და საქმისადმი ერთგულება, რომელიც აღვსილი იყო ენთუზიამითა და პროფესიისადმი სიყვარულით.

# სამი დღე ევროპისა და მსოფლიოს ბიბლიოთეკაში.

ცისანა ჯერათელი

ეროვნული ბიბლიოთეკის  
ბიბლიოთეკათმცოდნეობის  
ცენტრი

ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარება ინტელექტუალურ რესურსებს ეყრდნობა, ამიტომ განათლებისა და მეცნიერების განვითარებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებულია ამ მხრივ ბიბლიოთეკების როლი, რადგანაც განათლებული კადრები, ინტელექტუალური გარემო და ინფორმირებულობა ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა. უცხოეთის სპეციალისტების გამოცდილების გამოიარებაც პროფესიული სრულყოფისათვის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად მოიაზრება, რადგანაც პროფესიული ურთიერთობის დეფიციტი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ქართული საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის, ვფიქრობთ არანაკლებ საზიანოა, ვიდრე სპეციალური საბიბლიოთეკო დარგის თუ საინფორმაციო ლიგერატურის ნაკლებობა და კომუნიკაციური სირთულეები. უცხო ქვეყნების სპეციალისტების მიერ ჩატარებული სემინარების მოსმენა საკუთარი ცოდნის სისტემაში მოყვანის შესაძლებლობას იძლევა, ახლებურად წარმოჩნდება საპრობლემო საკითხები, უცხოელი კოლეგების გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდება ახლებური ხედვა.

საქართველოს კულტურის სამინისტრო და გერმანული კულტურის ინსტიტუტი (გოეთეს ინსტიტუტი) სამ დღეს მასპინძლობდა სემინარს “ბიბლიოთეკები ბავშვებისა და მოზარდებისათვის“. დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების გამოიარების მიზნით, ქალბატონმა ლიობა ბეგენმა ქართველ სპეციალისტებს მოუთხრო მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ. საინტერესო ისტორია აქვს პროექტებს: “წიგნები ყველასთვის” და “საბავშვო ბიბლიოთეკები განვითარებად ქვეყნებში”, რომელთა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა ქ. ბეგენი. ამ საკითხისადმი მიძღვნილი სრული სტატია გამოქვეყნებულია გერმანულ საბიბლიოთეკო ჟურნალში

“Buch und Bibliothek”<sup>16</sup>/2002.-გვ.406-407.

განვითარებადი ქვეყნების საბავშვო და ახალგაზრდული ბიბლიოთეკებისათვის დახმარების აღმოჩენისთვის პროექტის იდეა სახელწოდებით “წიგნები ყველასათვის” ეკუთვნის IFLA-ს საერთაშორისო საბიბლიოთეკო გაერთიანების საბავშვო ბიბლიოთეკების განყოფილებას. პროექტი ბიბლიოთეკებს წიგნადი ფონდის უკეთ დაკომპლექტებასა და მოსახლეობის წერა-კითხვის პრობლემების გადაჭრაში უნდა დახმარებოდა. რისი განხორციელებაც ჯერ კიდევ 1973 წელს დაიწყო. პროექტს 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა კოლინ რეი. 1977-1989 წწ. კი მარგარეტ მარშალი. სტუდენტების, ახალგაზრდა გამოცემლების და ბრიგანული წიგნის წარმომადგენლების მიერ დიდ ბრიტანეთში შეგროვილი შემოწირულებანი, გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, გადაუნაწილდა განვითარებადი ქვეყნების საბავშვო ბიბლიოთეკებს. ეს შრომატევადი საქმე იგვირთა მსოფლიო მასშტაბის ორმა ორგანიზაციამ (UNESCO და IFLA), რომლებიც სამუშაოს შესრულებაში ეყრდნობოდნენ საქმის ერთგულ პიროვნებებს. 1990 წლიდან კი პროექტის ხელმძღვანელობა ითავა ქ-მა ბეგენმა და, პენსიაზე გასვლის მიუხედავად, სამუშაო დაასრულა 2002 წლის ივლისში. შემოწირულებანი გადანაწილდა აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის და ევროპის (ალბანეთი, ხორვატია, რუმინეთი, სლოვაკეთი) ქვეყნებზე.

სემინარზე განსახილველად ქართველმა სპეციალისტებმა მოისმინეს ორი მოხსენება თემაზე: “საბავშვო ბიბლიოთეკები გერმანიაში” - სლაიდების ჩვენებით. მომხსენებლის მიერ განხილული იყო საკითხები: ა) ბიბლიოთეკების მდგომარეობა, მოწყობა, აღჭურვილობა. ბ) პერსონალი. გ) ბიბლიოთეკების ფონდი, დაკომპლექტების კრიტერიუმები-პრეზენტაცია, დ) მომხმარებელი-მომხმარებელთა მომზადება. ე) თანამშრომლობა-რეკლამა და სასკოლო ბიბლიოთეკები-ფილმით “სასკოლო ბიბლიოთეკები ავსტრიაში.”

ქართველი ბიბლიოთეკარების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების მონაწილეო-





ბით მოეწყო 5-10 წუთიანი პრეზენტაციები თემებზე: ბიბლიოთეკების დათვალიერება, გამოფენები, შეჯიბრებები კითხვაში, დისკუსია წიგნის შესახებ, წიგნის კვირეული, რომლის დროსაც ქართველმა სპეციალისტებმა საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას. საინტერესოდ წარიმართა სლაიდების ჩვენება თემაზე: "საბავშვო და მოზარდთა ბიბლიოთეკები სხვადასხვა ქვეყნებში", ჩემი აზრით მეტად მწვავედ წარიმართა დისკუსიები სხვადასხვა საკითხების მიმოხილვისას. სასურველი იქნებოდა მეტი კორექტულობა გამოეჩინათ როგორც მასპინძლებს ასევე სემინარის მონაწილე უცხოელ სპეციალისტებსაც.

ყოველთვის საინტერესოა ის შთაბეჭდილებები, რომლითაც ბრუნდებიან უცხოეთში წარგზავნილი ქართველი სპეციალისტები. გაგაცნობთ 2000 წელს 19-23 სექტემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩავტარებული 26-ე საბიბლიოთეკო შეკრებაზე წარგზავნილი თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თინა ჯაჭვადის მონათხრობს: კარგი იქნებოდა ჩვენს პრაქტიკაში შეძლებისდაგვარად, დაფინანსებით უცხოელი კოლეგების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენს ბიბლიოთეკარებს მძიმე პირობებშიც კი გაეუმჯობესებინათ მუშაობა. ჩვენი ბიბლიოთეკები საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა კულტურის ცენტრს, ოდითგანვე იგი სიბრძნის, ცოდნის, განათლების კერად აღიქმებოდა ქართველი ადამიანის მიერ. რაც შეეხება ჩვენი ბიბლიოთეკების მიერ მომხმარებელთა მომსახურებას, ვფიქრობთ ამ საკითხზე მართლაც გვმართებს დაფიქრება, რაც ერთხელ კიდევ ცხალყო კულტურის სამინისტროში ჩატარებულმა სემინარმა.

მოსმენილი, გაანალიზებული ინფორმაციები ძირითადად გერმანელი კოლეგის მიერ შესრულებულ სამუშაოებს ეხებოდა. სასურველი იქნებოდა ჩვენთვის საპრობლემო საკითხებზე მსჯელობა და ამომწურავი ინფორმაციების მიღება, რისი საფუძველი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესაბამისი რეზულტატები უნდა ყოფილიყო, ასევე სასურველი იქნებოდა სხვადასხვა საკითხზე დისკუსიის წარმართვისას ორმხრივი კონსენსუსის მიღწევა, რაც ვერ განხორციელდა გასაგები მიზეზების გამო.

ვფიქრობთ, ამგვარი სემინარების ორგანიზება და მათზე ქართველი სპეციალისტების დასწრება, ინტელექტუალური ურთიერთობები ბიბლიოთეკარების ბიბლიოგრაფიული კულტურის აღზრდის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ., რაც არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი სპეციალისტებისთვისაც სასარგებლო იქნება. ქართველ საბიბლიოთეკო დარგის გულშემაკვივარ სპეციალისტებს კი პრობლემების გადაჭრის საქმეში გარკვეულ გამოცდილებას შესძენს.

სამი დღის განმავლობაში დიდი გულმოდგინებითა და მონღომებით შრომობდნენ ახალგაზრდა მთარგმნელები, რომელთაც ვუსურვებდი საბიბლიოთეკო გერმინოლოგიის უკეთ დაუფლებას, რაც უცილობლად გაუადვილებს მათ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობისას მთარგმნელობით მოღვაწეობას.

სამი დღის განმავლობაში დიდი გულმოდგინებითა და მონღომებით შრომობდნენ ახალგაზრდა მთარგმნელები, რომელთაც ვუსურვებდი საბიბლიოთეკო გერმინოლოგიის უკეთ დაუფლებას, რაც უცილობლად გაუადვილებს მათ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობისას მთარგმნელობით მოღვაწეობას.

## PR და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

თორნიკე ბურული -

საზოგადოებასთან ურთიერ-

ობის სპეციალისტი

«თუ თქვენ არ ითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს, თქვენ ვერ მიიღებთ. თუ საზოგადოება გვერდითაა, თქვენ ვერ შეძლებთ წააგოთ.»

აბრამ ლინკოლნი

### საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა და საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა ანტიკური პერიოდიდან მოდის. გაჩნდა თუ არა პირველი საზოგადოება – გაჩნდა PR – ც. Public Relations – შემოკლებით PR ქართულად საზოგადოებასთან ურთიერთობას ნიშნავს და მისი, როგორც დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას ამერიკის ინდუსტრიული ბუმის პერიოდს უკავშირებენ. არსებობს PR-ის განმარტების რამდენიმე ვარიანტი. ყველაზე მთავარი მათ შორის კი არის ვებსტერის საერთაშორისო ლექსიკონში მოცემული განმარტება - PR არის გაგებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრება, ორგანიზაციას, ხალხის ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის, საინფორმაციო მასალების გავრცელების, ორმხრივი ურთიერთობების გამყარებისა და საზოგადოების რეაქციის შესწავლის მეშვეობით. საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სემ ბლეკი მოკლედ და საკმაოდ კონკრეტულ განმარტებას გვთავაზობს: «საზოგადოებრივი ურთიერთობები ესაა ჰარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც მართალ ინფორმაციას ეფუძნება.» ასე რომ ეს განმარტებები გვიჩვენებენ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საბიბლიოთეკო მენეჯმენტში საზოგადოებრივ ურთიერთობებს. როგორც ლოიდ ჯორჯი ამბობს, «საზოგადოების მხარდაჭერითა და გაგებით გაცილებით ადვილია მიაღწიო წარმატებას, ვიდრე მისი გულგრილობითა და ოპობიციიზმში ყოფნით. ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ესაა მიმდებლობის, ნდობის, რეპუტაციის, ჰარმონიისა და ურთიერთგაგების დამკვიდრება, რომელიც სიმართლესა და მაქსიმალურ ინფორმაციას ეფუძნება.»

დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს მარკეტინგისა და PR-ის როლი ბიბლიოთეკების განვითარების საქმეში. ეს სფეროები დასავლეთისათვის უკვე საკმაოდ ცნობილია. თუ არ გავითავსებთ ბიბლიოთეკების მართვის ახალი ტექნოლოგიები, მაშინ ძნელი იქნება საზოგადოების ბიბლიოთეკებში მოყვანა. მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით არის შესაძლებელი ახალი, ყველასათვის სასარგებლო და საოცნებო ბიბლიოთეკების აშენება.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია დღეს უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ხდება ბიბლიოთეკების მართვაში. საზოგადოებაში ჩვენ არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ჩვენი ბიბლიოთეკის პოტენციური ან რეალური მომხმარებელი, არამედ საზოგადოების წევრად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ადამიანი, რამეთუ არ არსებობს დღეს პიროვნება, რომელიც ასე თუ ისე ბიბლიოთეკებთან არ იყოს დაკავშირებული, რადგანაც, ჩემი აზრით, ბიბლიოთეკები უნდა წარმოადგენდნენ არა მარგო წიგნების შესანახ ადგილს, არამედ ეს უნდა იყოს ინფორმაციისა და კულტურის მთავარი კერა, რომელიც ბიბლიოთეკების მომხმარებელზე იქნება გათვლილი.

საჭიროა გავიაზროთ თუ რას მოიცავს მარკეტინგი საბიბლიოთეკო საქმეში. სამეწარმეო საქმეში მარკეტინგი ნიშნავს მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც. მარკეტინგი არის კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და მოთხოვნაზე აქტიური გემოქმედებით განაპირობებს საქონლის შეუფერხებელ გასაღებას. ჩვენს შემთხვევაში საქონლის გასაღებაში შეიძლება მივიჩნიოთ ბიბლიოთეკების მომსახურება.

რების სფეროების გაზრდა-გამრავალფეროვნება, რაც თავისთავად შეცვლის დამკვიდრებულ სამოგადოებრივ აზრს და ბიბლიოთეკებისაკენ მოაბრუნებს ჩვენს სამოგადოებას.

PR-ი, რეკლამა და ბრუნვა სამოგადოებრივ აზრზე დღესდღეობით თანამედროვე ბიბლიოთეკის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. ძნელია საუბარი მკითხველების ბიბლიოთეკაში მოზიდვაზე, როცა ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ თანამედროვე ლიგურატურა და ვერ ფლობენ თანამედროვე ტექნიკას.

ვფიქრობ, ბიბლიოთეკებმა უნდა შეისწავლონ მომხმარებელთა მოთხოვნილებები და უნდა იყონ ორიენტირებული მათზე. ჩემი აზრით, ბიბლიოთეკები აქტიურად უნდა ერთვებოდნენ სამოგადოებრივ ცხოვრებაში და არ უნდა გოვებდნენ არცერთ სამოგადოებრივ მოვლენას ყურადღების გარეშე. ნებისმიერი ნოვაცია ბიბლიოთეკების სამოგადოებასთან დაახლოების აუცილებლობა უნდა იყოს.

რეკლამამ უნდა მიიზიდოს ბიბლიოთეკის მომხმარებელი კონკრეტულ ღონისძიებაზე და კონკრეტულ მომსახურებაზე, ხოლო PR-მა უნდა შექმნას ბიბლიოთეკების იმიჯი, რაც ბიბლიოთეკების საქმიანობების სამოგადოებაში გატანით მიიღწევა. მხოლოდ სისგემატური PR-აქტივობებით არის შესაძლებელი ბიბლიოთეკების დაღებითი იმიჯის შექმნა და მათი დღევანდელი სავალალო სიტუაციიდან დახსნა. პრესით, რადიოთი და ტელევიზიით უნდა მიმდინარეობდეს ბიბლიოთეკების საქმიანობის მასიური პროპაგანდა. უნდა ეცნობოს სამოგადოებას ნებისმიერი სამოგადოებრივი ნოვაციის შესახებ. უნდა გაშუქდეს მასმედიის საშუალებით ყველა ის ღონისძიება, რომელსაც ბიბლიოთეკები სთავაზობენ მომხმარებელს. აუცილებელია, მასმედიის სპეციფიკის გათვალისწინება. მომგებიანია ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებსაც ჩვენი პოტენციური მომხმარებელი ეცნობა. აუცილებელია მოხდეს მომხმარებელთა შეფასებებიც, მაგალითად, სამოგადოების რომელი ნაწილია ჩვენი აქტიური მომხმარებელი და ვინ არის ჩვენი ბიბლიოთეკის პოტენციური მომხმარებელი? საჭიროა, შევისწავლოთ მათი ინტერესები და ჩვენი საქმიანობა მათ ინტერესებს მოვარგოთ.

შესაძლებელია, ბიბლიოთეკების მეგობარ ქურნალ-გამეთებთან ერთად დაარსდეს სპეციალური რუბრიკები, რომლებიც ბიბლიოთეკებსა და საბიბლიოთეკო საქმეზე გამოაქვეყნებენ პუბლიკაციებს. თავად საბიბლიოთეკო ქურნალის «საქართველოს ბიბლიოთეკის» არსებობა ამ მიმართულებით გადადგმული დიდი ნაბიჯია, რაშიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას ლომის წილი მიუძღვის. ქურნალ-გამეთების გავრცელების ერთ-ერთი ადგილი ბიბლიოთეკა და თვით რედაქციები და რედაქტორები უნდა ღვაინტერესოთ ჩვენი წამოწყებებითა და ჩვენი მუშაობით. როცა სამოგადოებრივი აზრის შესწავლაზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვჩხეს ბიბლიოთეკების წლიური ანგარიშები. მათ არა მარტო საინფორმაციო ხასიათი უნდა ქონდეთ, არამედ უნდა მოხდეს მათი სისგემატური ანალიზი. ამ ანალიზზე დაფუძნებით შემუშავებულ უნდა იქნას ბიბლიოთეკის სტრატეგია და დაიგეგმოს მომავალი წლის ძირითადი მიმართულებები. მიმართულებები უნდა იგეგმებოდეს მკითხველთა (მომხმარებელთა) ინტერესებზე დაყრდნობით. წლიური ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს მასმედიაში.

PR-ის ერთ-ერთ მიმართულებად ბიბლიოთეკებისათვის შესაძლებელია სკოლებთან, წიგნის მაღაზიებთან, გამომცემლობებთან, რედაქციებთან და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან კონტაქტების დამყარება მოვიაზროთ. მნიშვნელოვანია საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, მეწარმეებთან და ა.შ. ურთიერთობის დამყარებაც, რომლებსაც შეუძლიათ მაგერიალური დახმარება გაუწიონ ბიბლიოთეკებს. გრადიციული აზრი, რომ დაკომპლექტება და ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობაა, უნდა შეიცვალოს. არსებობს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდი და ორგანიზაცია, რომლებიც ხელს უწყობენ ბიბლიოთეკების განვითარებას. ჩვენი აქტიურობითა და ჩვენი ინიციატივით სასურველია დავუკავშირდეთ მათ და მონაწილეობა მივიღოთ ამა თუ იმ კონკურსში.

სისგემატური და კონსტრუქციული მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან თუ ჯგუფებთან, ბუნებრივად გაზრდის ბიბლიოთეკით დაინ-



გერესებულ ადამიანთა რიცხვს. სხვადასხვა PR-აქციები, იქნება ეს გამოფენა თუ კონკურსი, შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან თუ წიგნის პრემიენგაცია ნამდვილ კულტურულ კერად აქცევს ბიბლიოთეკებს.


PR-ის ჯგუფმა ბიბლიოთეკებში უნდა შექმნან სხვადასხვა სახის ბუკლეტები, ბროშურები, პლაკატები, სანიშნები და სხვა საინფორმაციო მასალები და მასიურად უნდა გაავრცელონ ისინი. საზოგადოების სწორი და ოპერატიული ინფორმირება უნდა გახდეს დღესდღეობით საზოგადო ბიბლიოთეკების ძირითადი მიზანი. ეპოქა, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაციული ეპოქაა. წარმატებისათვის აუცილებელია ინფორმაციის ფლობა. ვინც ფლობს ახალ ინფორმაციას, წარმატებას მის ხელშია. რადგანაც ბიბლიოთეკები ინფორმაციის მთავარი წყაროა, ისინი შესაძლებელია, ყველაზე მთავარ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრად იქცეს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ბიბლიოთეკებში კადრების მომზადების პრობლემა. დღეს საქართველოში ამ მხრივ მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი მუშაობს. ამ უმაღლესმა სასწავლებელმა უკვე მრავალი ნიჭიერი ბიბლიოთეკარი

გაუმარდა საქართველოს. ჩემი აზრით, სასურველია, მომზადდეს ყოველწლიურად ბიბლიოთეკართა გადამზადების კურსები და გრეინინგები, რომლებშიც ჩვენი ბიბლიოთეკარების დიდი ნაწილი მიიღებს მონაწილეობას და ამ დარგში არსებულ ნოვაციებს გაეცნობა. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არამარტო თბილისის მასშტაბით, არამედ მთელს საქართველოში. ზოგიერთი რეგიონის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარები მთლიანად მოწყვეტილი არიან თანამედროვეობას. უნდა განხორციელდეს მათი პროფესიული გადამზადების პროგრამები.

შეუძლებელია ბიბლიოთეკების იმიჯის შეცვლა და საზოგადოების ბიბლიოთეკებში მოზიდვა, თუ საზოგადოებაში არ იქნება დამკვიდრებული აზრი, რომ ბიბლიოთეკიდან მიღებული ცოდნითა და ინფორმაციით შეიძლება განათლებული საზოგადოების შექმნა, რომელიც განათლებული, ინფორმირებული საქართველოს მშენებლობას შეუწყობს ხელს.

*P.S. მე, როგორც არაბიბლიოთეკარმა, შევეცადე საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალთახედვიდან რამოდენიმე რეკომენდაცია შემომეთავაზებინა ბიბლიოთეკებისათვის. მოხარული ვიქნები თუ რაიმეთი გამოვადგები დღევანდელ ბიბლიოთეკებს.*



დიმიტრი უზნაძე ბავშვთა კითხვის შესახებ\*

ალ. ლორია

დიმიტრი უზნაძემ ბავშვთა კითხვის საკითხებს თავის კაპიტალურ ნაშრომში “ბავშვთა ფსიქოლოგია” საკმაოდ ადგილი დაუთმო თავში “სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია”. მას მიაჩნია, რომ თავისუფალი დროის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი ბავშვთა სასკოლო ასაკში წიგნის კითხვას უკავია, თუმცა საბავშვო ასაკის სხვადასხვა საფეხურზე ის ერთგვაროვანი არ არის. ჩვენგან გვინდა დავძინოთ, რომ როდესაც აღნიშნული ნაშრომი იწერებოდა, ეს ასე იყო, მაგრამ ცხოვრებამ ალბათ უკვე თავისი კორექტივები შეიტანა და იმავეს თქმა აღარ შეიძლება. დ. უზნაძე ბავშვთა კითხვას განიხილავს როგორც სკოლისგარეშე ლიგერატურის კითხვას და ამიგომაც არაა გასაკვირი, რომ ის ამგვარ კითხვას გართობის ქცევად თვლის, და მაშესაღამე, მას ინტროგენურ აქტად მიიჩნევს. ამასთან, მას მიაჩნია, რომ ამ დროს კითხვა თითქმის ესთეტიკური მოთხოვნილებებითაც ხდება, თუმცა აქვე შენიშნავს, რომ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს – ბავშვებს, განსაკუთრებით სასკოლო ასაკის დაბალ საფეხურზე, უმეტეს შემთხვევაში სულაც არ აინტერესებთ ესთეტიკური მხარე. ისინი კითხვის პროცესში ვერც კი ერკვევიან მაღალ ესთეტიკურ ფორმებში, ამგვარ ადგილებს კიდეც გამოგოვებენ ხოლმე. ამგვარად, ბავშვს კითხვა არა ესთეტიკური, არამედ გართობის თვალსაზრისით აინტერესებს, – ასკვნის ის. მას ამის დასამტკიცებლად ექსპერიმენტების შედეგებიც მოჰყავს, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ლაბორატორიაში იყო ჩატარებული – ბავშვთა 87%-ს წაკითხული წიგნი მისი შინაარსის გამო მოსწონს, მით უფრო, როცა შინაარსი მისთვის სასიამოვნოა.

დასაინანია, რომ დ. უზნაძე არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით გარდებოდა ექსპერიმენტები, რამდენად დაზღვეული იყო იგი მცდარობისაგან, პირობითობის რა დონე იყო მიღებული, როგორ ხდებოდა საკონტროლო მონაცემების მეშვეობით მიღებული ეფექტის დამოწმება და ა.შ. დღეს მხედველობაშია

მიღებული ის განსხვავება, რაც დღევანდლობასთან შედარებით არის მოსალოდნელი, უზნაძე კატეგორიულად აცხადებს: “დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ როდესაც სასკოლო ასაკის ბავშვების უმრავლესობა წიგნებს კიდეც ხელს, მას ამ შემთხვევაში არა ესთეტიკური გკობის, არამედ მხოლოდ გართობის განზრახვა ამოქმედებს”. (გვ. 514)

ძნელია დავიჯეროთ, რომ ესთეტიკური გკობის მოთხოვნილება არავითარ როლს არ ასრულებს ბავშვის კითხვის პროცესში, ექსპერიმენტით გამოკვლეულ ბავშვთა 87% გასართობად კითხულობს, მაგრამ რა ვუყოთ 13%-ს? მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, მართალია, ბავშვს წიგნში მოცემული მაღალი ესთეტიკური ფორმები შეიძლება არ აინტერესებდეს, მაგრამ განა თვით გართობა, ინტერესის დაკმაყოფილება, რაც ყოველთვის ახლავს წიგნის კითხვას, ესთეტიკურ გკობას არ იწვევს? არაა გამორიცხული, რომ სწორედ ეს უფრო მოწონდეს ბავშვს, ვიდრე გართობა. საერთოდ, კითხვის პროცესში გართობისა და ესთეტიკური გკობის საზღვრების დადგენა თითქმის შეუძლებელია. თვით დ. უზნაძე შენიშნავს, რომ ბავშვებს კითხვა მაშინ უფრო მოსწონთ, თუკი წიგნის შინაარსი მათთვის სასიამოვნოა. ისმის კითხვა: რა არის ეს “სიამოვნება”? ესთეტიკური გკობა ხომ არა? ისიც მხედველობაშია მისაღები, უზნაძე რომ ამბობს: “არ არსებობს არც ერთი ქცევის ფორმა, რომ მისი გართობის შინაარსად გადაქცევა არ შეიძლებოდეს”. (513).

ერთიც უნდა ითქვას: შეიძლება ბავშვი ყურადღებას არ აქცევდეს წიგნში მაღალ ესთეტიკურ ფორმებს, გოვებდეს კიდეც მათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რასაც ის კითხულობს და მოსწონს, ესთეტიკურ სიამოვნებას არ გვრიდეს მას, ამდენად, ძალიან ძნელად მიმაჩნია უგულებელყოთ ბავშვის წიგნით დაინტერესების ესთეტიკური მოთხოვნილების აქტუალობა. საერთოდ, ჩვენ მაინც უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ არ “არსებობს არც ერთი ქცევის

ფორმა, რომ მისი გართობის შინაარსად გადაქცევა არ შეიძლებოდა”. ეს, განსაზღვრულ პირობებში, შეიძლება შრომის აქცესაც შეეხოს. მაგრამ, უზნაძის მიხედვით, განსხვავება იმაშია, რომ შრომა შრომად აღარ ჩაითვლება, თუკი ის დაკავშირებულია არა პროდუქციის შექმნასთან და მანამდე წყდება, ვიდრე პროდუქტი შეიქმნება, გართობისათვის კი ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მხედველობაშია მისაღები, რომ უზნაძეს შრომაც კი მიაჩნია ქცევად, რომელიც გართობის ფორმად შეიძლება იქცეს. “გართობს შინაარსად, – წერს ის, – არა მარტო ქცევის ინტროგენური ფორმები შეიძლება გადაიქცნენ, არა მარტო თამაში, ესთეტიკური ტკობა ან მხატვრული შემოქმედება, არამედ შესაძლებელია განსაზღვრულ პირობებში იგივე როლი შრომის აქტებსაც კი დაეკისროს, მაგრამ, როდესაც აღამიანი შრომის აქტებს გართობის მიზნით მიმართავს, მაშინ ის სპეციფიკური მიზანდასახულება, რომელიც შრომითი აქტების დედააზრს წარმოადგენს, იხრდილება, და შრომა ამ შემთხვევაში ნამდვილ შრომას აღარ წარმოადგენს: არც მისი დაწყება და არც მისი დასრულება რაიმე გარკვეული ღირებულების შექმნის განზრახვაზე არაა დამოკიდებული, როგორც ამას ნამდვილი შრომის აქტების შემთხვევაში აქვს ადგილი; ორივე მომენტს გართობის მოთხოვნილების აქტუალურობა განსაზღვრავს; იგი იწყება მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ჩნდება და თავდება მაშინვე, როგორც კი აღიკვეთება, თუნდაც შრომის პროდუქტი ჯერ კიდევ არ იყოს დასრულებული. მაგრამ გართობის მიზნით წარმოებულ შრომას უფრო სუბიექტურ-პროცესუალური ხასიათი აქვს, ვიდრე ობიექტურ-მიზნობრივი. მაშასადამე, საკითხი ასეთ სახეს ღებულობს: ქცევის რა ფორმებს უფრო ხშირად მიმართავს სასკოლო ასაკის მოზარდი გართობის მიზნით? (513) ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი კითხვა გართობად მივიჩნიოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ დ. უზნაძე აანალიზებს ბავშვების მიერ მხოლოდ კლასგარეშე გასართობი ლიგერატურის კითხვას, ძირითადად მხატვრული ლიგერატურის კითხვას, და არა საერთოდ კითხვას.

ისევე არ უნდა გავიგოთ, რომ დ. უზნაძე მთლიანად გამორიცხავს ბავშვთა კითხვის საქმეში ესთეტიკურ მომენტებს. სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს მას, მაგრამ გამოყოფს მოთ-

ხოვნილებას, რომელიც ღომინირებს ამ დროს. იგი წერს: ბავშვთა “კითხვა ამ მოთხოვნილების (ესთეტიკური მოთხოვნილების. ა.ლ.) ზემოქმედებით უნდა განისაზღვრებოდეს, მაგრამ ბავშვის მიერ წიგნის კითხვას ძალიან ხშირად ესთეტიკურ ინტერესთან არავითარი კავშირი არა აქვს” (513). აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ბავშვთა კითხვა გაპირობებულია ან გართობის, ან ესთეტიკური მოთხოვნილებით? ისიც საფიქრებელია, ხომ არ არიან ისინი როგორღე ურთიერთმოქმედებაში? მით უმეტეს, რომ სხვა შემთხვევაში დ. უზნაძე, როდესაც შინაარსისადმი ბავშვის დამოკიდებულებას ეხება, ამბობს: ბავშვების 80% სიამოვნებით კითხულობს ლექსებს, მაშინაც კი, როცა მათთვის ის და მისი შინაარსი გაუგებარი და მიუწვდომელია, ავტორის მტკიცებით: “ლექსებს ბავშვები კიდევ უფრო მეტი ხალისით კითხულობენ, ვიდრე ბავშვის შესახებ მოთხრობებს”. (517). გამოკვლევით, 8-9 წლის ბავშვებს გრძელი ლექსები და პოემები არ უყვართ, მოკლე ლექსებს უფრო ხალისით კითხულობენ. ამას განაპირობებს ლექსის “რითმიკა” და “მეტრიკა”. ცხადზე უცხადესია, რომ ეს ესთეტიკური ტკობის მოთხოვნილებაა. ერთგვარ დამუსგებას მოითხოვს, თუ როგორ შეიძლება ბავშვთა კითხვის მოთხოვნილებად უფრო მეტად შინაარსის გაგება მივიღოთ მაშინ, როცა მკითხველთა 80% ესთეტიკურ მხარეს ამჯობინებს?

კითხვისას შინაარსის განმსაზღვრელ როლთან დაკავშირებით მსჯელობისას დ. უზნაძე მეტად საინტერესო დასკვნებს აკეთებს: 8-9 წლის ბავშვი წიგნს შინაარსის მიხედვით აფასებს, მაგრამ მის მიმართ ღიფერენციურული შერჩევის თვისებები ჯერ არა აქვს შემუშავებული. მთავარია, ნაწარმოები აღწერდეს შესაფერისი ასაკის ბავშვთა ცხოვრების საინტერესო შინაარსს, და კერძოდ, რა თემატიკაც არ უნდა იყოს გაშუქებული, ამას მნიშვნელობა არა აქვს მისათვის. ოღონდ ერთი პირობაა საჭირო: ამბავი იყოს ოპტიმისტური, ხალისიანი, უცრემლოდ თავდებოდეს. სწორედ აქ ამბობს ის გადაწყვეტით: “ერთ მხრივ, უეჭველია, გადამწყვეტ როლს შინაარსი ასრულებდეს; მაგრამ მეორე მხრივ, რადგანაც იგი (ბავშვი. ა.ლ.) უაღრესად სუსტადაა ღიფერენციურული, რამდენადაც ბავშვისთვის სულ ერთია, როგორი იქნება ეს შინაარსი, ოღონდ ბავშვის ცხოვრების ისეთ მხარეებს და

ისე ეხებოდეს, რომ სასიამოვნო საკითხავი იყოს, თითქოს ნათელი უნდა იყოს, რომ ძირითად როლს აქ განსაკუთრებით შინაარსის “ფორმალური” მხარე უნდა ასრულებდეს; იგი გასაგები უნდა იყოს ბავშვისათვის და სასიამოვნო... რასაკვირველია, კითხვის არც ერთ ასაკობრივ საფეხურზე არ შეიძლება ფორმალურ მომენტს, განსაკუთრებით პირველს, გვერდი აუაროს: არავის არ შეუძლია კითხვის მასალა საინტერესოდ ჩათვალოს, თუ იგი გაუგებარია მისთვის”. (516).

როგორც ვხედავთ, აქტივაციის უმთავრეს მომენტად წარმოიჩნდება ინტერესი შინაარსისადმი და ესთეტიკური გკობა. ამ პლანში ერთგვარად იჩრდილება გართობის ელემენტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნილება უმთავრესადაა აღიარებული. თუ ჩვენ ესთეტიკურ გკობასა და გართობის მოთხოვნილებების ცნობისმოყვარეობასაც დავურთავთ, რაც უშუალოდაა დაკავშირებული შინაარსთან, უნდა ვაღიაროთ, რომ კლასგრეშე მასაოლის კითხვა ინტროგენურ ქცევასაც წარმოადგენს და ექსტროგენურსაც, არაფერს ვამბობთ მოსწავლის მიერ სხვადასხვა ხასიათის კითხვებზე – გაკვეთილის მომზადება (დასწავლა), ინსტრუქციების გაცნობა, სამომხმარებლო კითხვა და ა.შ.

ბავშვის კითხვასთან დაკავშირებით დ. უმნაძე ფენომენალურ დასკვნას აკეთებს, რაც ფრიალ საყურადღებოა, საერთოდ, ლექსოლოგიური კვლევისათვის. ეხება რა 8-9 წლის ბავშვთა კითხვის თავისებურებებს, ის წერს: “... შეიძლება დაასკვნას კაცმა, რომ ბავშვს ამ ასაკში ესა თუ ის წიგნი განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო მოსწონს, რომ მას მისი წაკითხვა შეუძლია ... შეგვიძლია ვთქვათ, რომ 8-9 წლის ბავშვს თვითონ კითხვა აინტერესებს, თვითონ პროცესი გვრის სიამოვნებას, როგორც პროცესი და არა როგორც საშუალება, რომელიც მას საინტერესო შინაარსის გათვალისწინების შესაძლებლობას აძლევს ...” ბავშვმა ახლახან ისწავლა კითხვა, დაეუფლა წიგნის კითხვის ხელოვნებას და მოსწონს კითხვის პროცესი. “... ამ გენდენციის აქტივობა სიამოვნებას იწვევს მასში”. (517)

უნდა ითქვას, რომ ადამიანის მიერ კითხვის უამრავ მოტივაციათა შორის პრაქტიკულად ყველაზე ძნელად შესამჩნეველი და შესასწავლი სწორედ ესაა. ამ გენდენციის აქტივობის ასე ლაკონურად და მუსკად განსაზღვრა, უდავოდ დიდი დამსახურებაა დ. უმნაძისა; ამის აღიარება

ნიშნის უშუალოდ კითხვის მოთხოვნილების არსებობის დადასტურებას, რაც არა მარტო საბავშვო ასაკში, არამედ ყოველთვის თან ახლდა და ახლავს ადამიანის წიგნთან ურთიერთობას. ამდენად, კითხვა წარმოადგენს არა თუ მხოლოდ სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას, არამედ ის თვით ხდება მოთხოვნილება, რომლის მოთავსება ქცევათა გართობის ფორმათა კომპლექსში შეუძლებელია. ეს უკვე რაღაც უფრო სხვაა თავისი მოტივაციითა და მიზნებით, სიგუაციური თავისებურებებით, რაც უკვე შედარებით უფრო ღრმა ლექსოლოგიურ კვლევას მოითხოვს ამ ასაკის ბავშვებში.

დ. უმნაძე ანსაკუთრებით შორს მიდის, როდესაც ამ მომენტში თითქმის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. ის თვლის, რომ სხვათაგან ერთად სწორედ ამიგომაც მოსწონთ ბავშვებს წიგნი, და განსაკუთრებით იმ წიგნებს აფასებენ, რომელთა შინაარსი საშუალებას იძლევა მათი ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. იგი წერს: “ამრიგად, იმ გარემოებას, რომ 8-9 წლის ბავშვი გართობის მიზნით წიგნის კითხვას კიდებს ხელს და ამა თუ იმ წიგნს უპირატესობას აძლევს, საფუძვლად განსაკუთრებით კითხვის მექანიზმის ამოქმედებისა და გაუმჯობესების გენდენცია უდევს და არა სხვა რამ. ამ მიზეზის გამო იგი ისეთ წიგნს აძლევს უპირატესობას, რომელიც ამ გენდენციის ამოქმედების უკეთეს პირობას იძლევა: შინაარსი გასაგები უნდა იყოს და სასიამოვნო, რომ კითხვის ხალისი თავიდანვე არ იქნეს ჩაკლული, ანდა მხოლოდ სასიამოვნო, როგორც ამას ლექსების შემთხვევაში აქვს ადგილი”. (518)

ცხადია, მოსწავლეობის უფრო მაღალ საფეხურზე და ბრდასრულობაშიც ამგვარი გენდენციის გამოვლენა უცხო არ არის, მაგრამ ეს არ არის ჩვენი დიდი მეცნიერის კვლევის არეში შემავალი საგანი და იგი არც ეხება მას. მაგრამ ლექსოლოგიური კვლევისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროა და ამდენად დ. უმნაძის ფსიქოლოგიური დასკვნები შეიძლება შემდგომი ფსიქოლოგიური კვლევის საფუძვლადაც კი იქცეს.

დ. უმნაძეს შემჩნეული აქვს, რომ 8-9 წლის ბავშვები ბოგჯერ წიგნის მოწონების მოტივად მეორეხარისხოვან მომენტებსაც ასახელებენ, როგორცაა, მაგალითად, ილუსტრაცია თუ შრიფტი. წიგნმცოდნეობაში ამას ფორმალურ ინტერესს უწოდებენ. ეს იმ შემთხვევაშია უფრო



მეგაღმოსალოდნელი, როცა ბავშვისთვის მთავარი სწორედ კითხვის პროცესია (“ნამდვილი კითხვა”) და არა გაგების პროცესი; დ. უზნაძის მიხედვით, “ბავშვისათვის ეს მეორეხარისხოვანი მომენტებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ”. (518)

დ. უზნაძის დაკვირვებით, ზღაპრისადმი ინტერესი 9-10 წლის ბავშვებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება. მათი 31,6% ამ ინტერესს უბრალოდ იმით ასაბუთებს, რომ შინაარსია ზღაპრული, მაგრამ შემდეგ საფეხურზე ეს მაჩვენებელი უცებ ეცემა – 5,9%. უზნაძის თქმით, დაახლოებით ამასვე ასაბუთებს, შ. ბიუღერი, რომელსაც ზღაპრის საკითხი განსაკუთრებით კარგად აქვს შესწავლილი. მისი დაკვირვებით, 9-13 წლის ბავშვებში ზღაპარი თითქმის სავსებით კარგავს ინტერესს. ბავშვი ახლა ზღაპარში “სისულელეს” ხელავს, რადგანაც სინამდვილეში “ასე არასოდეს არ ხდება”. (518).

დ. უზნაძე გადაწყვეტილად ახსიანებს, რომ 9-10 წლის ბავშვს ახალი ინტერესი უჩნდება. მათ მიერ წაკითხული მასალის 30,6% მოწონებულია ბავშვის მიერ შემდეგი მოგვით: სიგუაცია სახიფათო, მაგრამ არა ისეთი, როგორც ზღაპრებშია, არამედ როგორც სინამდვილეში ხდება. მისი მიხედვით, შემდეგ საფეხურზე (10-11 წლები) “იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რასთანაც წინა ასაკობრივ საფეხურზე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ... ზღაპარი თითქმის სრულიად კარგავს აქტუალობას”. (519). ბავშვი ხელახლა დიდი ყურადღებით ეპყრობა ბავშვის ცხოვრებიდან ამოღებულ სიუჟეტებს (30,9%), მაგრამ უფრო მეტი ყურადღებით, ვიდრე ადრე. “ეს არცაა გასაკვირველი: გაღვიძებული რეალისტური ინტერესი თავისი განვითარების დასაწყის ფაზებში უფრო მეტ საკვებს საკუთარი გამოცდილების ფარგლებში პოულობს, ვიდრე მათ გადაღმა. მაგრამ ამის გვერდით განსაკუთრებულ ინტერესს კვლავ სახიფათო სიგუაციებისა და მათი წარმატებით გადალახვის აღწერა შეადგენს (32,2%)” – (519).

დ. უზნაძე საილუსტრაციოდ იძლევა ე.წ. “რობინზონიანასადმი” უპირატესი ინტერესის გამოვლენის მაჩვენებელს. ეს არის ცხრილი, რომელიც ასაკის მიხედვით ცალკე ვაჟების, ცალკე ქალების და ინტერესების მაჩვენებლებს იძლევა. საერთოდ, ყველა სპეციალისტი ადვილად ამჩნევს, რომ გარკვეულ პერიოდში წიგნის შინაარსისადმი ქალ-ვაჟებში ინტერესი ერთგვაროვანი არ არის.

სსენებული ცხრილის მიხედვით, განსა-

კუთრებით გამოიკვეთა ის, რომ 11-12 წლების პირობებში ახალი გარემოება იჩენს თავს: შეღებებით ხშირია შემთხვევა, როცა “ბავშვი ამა თუ იმ ნაწარმოებს უმთავრესად იმიტომ აძლევს უპირატესობას, რომ მასში მოქმედ პირთა ალტრუისტული ქცევის სურათებია მოცემული”. (510-520).

დ. უზნაძის განმარტებით, მისსა და ბიუღერის ცხრილებს შორის არა მარტო იმაშია განსხვავება, რომ ინტერესების განვითარების მაჩვენებლებში ასაკები მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს და განსხვავება მხოლოდ ერთი წლის ფარგლებშია, არამედ იმაში, რომ ის იმ მოტივებს შეისწავლის, რომლის მიხედვითაც ბავშვი ამა თუ იმ წიგნს აძლევს უპირატესობას, ხოლო ბიუღერი არა მოტივაციას, არამედ გმირთა შესახებ თქმულებების წაკითხვის ისშირეს იხილავს. მაშესაღამე, უზნაძე არკვევს – “რაგომ მოსწონთ”, ბიუღერი კი – “რამდენი წაუკითხავთ”. ჩვენი აზრით, მათ შორის არსებითი სხვაობაა გამოკვლევის მეთოდიკაში, თუმცა შედეგის მიხედვით, ისინი მაინც ახლოს არიან ერთმანეთთან.

ადარებს რა თავისსა და ბიუღერის ცხრილებს, რომლებშიც ჩვენი ბავშვები ერთი წლით დაგვიანებულებად გამოიყურებიან, დ. უზნაძე გამოთქვამს აზრს: “ნამდვილად აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ მართლა განვითარების დაგვიანებასთან გვაქვს საქმე. ცნობილია, რომ ერთი საქმეა მოწონების ფაქტი და მეორე – მისი გაცნობიერების ფაქტი”. (512)

დ. უზნაძე თავისი ნაშრომის ამ მონაკვეთში მოიხმობს სოციალურ ფაქტორებს. ჩვენი ბავშვების ინტერესებს უკავშირებს რევოლუციური აქტივობისა და თავგანწირულობის ცხოვრებისეულ ფაქტორებს, რევოლუციური მოტივებისადმი მიდრეკილებას. მისი აზრით, მოტივების ნამდვილად გაგების უნარი მკითხველებისაგან მაღალ დონეს მოითხოვს, ვიდრე ეს პირველს სასკოლო ასაკშია შესაძლებელი. ამისათვის ერთგვარი პირობებია საჭირო, რომლის მიღწევა მომწიფების ასაკობრივი საფეხურის საქმეა. ავტორი კარგად ხელავს იმასაც, რომ არაფერი ისე არ მოსწონს ბავშვებს 11-12 წლის ასაკში, “როგორც უცნობის, მისთვის ახალი სინამდვილის სფეროს შესახებ ცნობები. როდესაც იგი საკითხავი მასალის არჩევის მოტივაციას იძლევა, პირველ რიგში იმას აქცევს ყურადღებას, თუ რამდენად აკმა-



ყოფილებს ეს მასალა ახალის, უცნობის ინტელექტუალურად დაუფლების მის მოთხოვნილებას: ბავშვითა მიერ დასახელებულ მოგივითა შორის ყველაზე უფრო მაღალ მაჩვენებლებს სწორედ ეს მოგივი იძლევა (20,9%)”. – (512). უკვე ბავშვს “ობიექტური სინამდვილის ფარგლებში შორს შეჭრასა და მისი ინტელექტუალური დაუფლების მკვეთრი გენდენცია ამოძრავებს”. (522).


დ. უმნაძის მიხედვით, 12-13 წლის მოზარდებსაც ძალიან ხშირად ობიექტური ღირებულებებისათვის ბრძოლის აქტები აინტერესებთ, ხიბლავთ სინამდვილის ახალი სფეროების ინტელექტუალური დაუფლება. ამ დროსაც ღიად აწყობთ დაძაბული სიგუაცია, რომელიც კარგად თავდება, მაგრამ განსხვავებით წინა საფეხურისა, მოსწონთ არა მარგო შედეგი, არამედ “მთელი პროცესი”. ამ პერიოდში ყველაზე მიმზიდველ მართლად “ავანგურისგული” სიუჟეტების მქონე შინაარსი იქცევა. ამას ავგორი თავისი სტაგისტიკური ცხრილებით ადასტურებს. ამასთან, იგი ასკვნის, რომ ავანგურისგულ ქცევაში 12-13 წლების ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ ფიზიკური ძალადობის გამოვლენა, ვაჟკაცობა და გამბედაობა. ამას ის იმით ხსნის, “რომ ფიზიკური განვითარების გეზი ამ ასაკობრივ საფეხურზე ძალღონის მოზღვაებასა და განმტკიცების გზით მიმართება, სულ მეორე მხრივ, ნებისყოფის სიმტკიცე, ერთი მთავარი იმპულსია, რომელიც სასკოლო ასაკის განვითარებას თავისებურ მიმართულებას აძლევს”. (522). მკვეთრი გადაჭრით აცხადებს, რომ ბავშვის ლიგერაგურული განვითარების შესახებ მასალეები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვაგან არის მოპოვებული, თითქმის ერთსა და იმავე სურათს იძლევა. “მთავარი მომენტები ბავშვის ლიგერაგურული ინტერესის განვითარების გზაზე დღეს უკვე საბოლოოდ გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს”. (523). არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამის განცხადება მაშინ შეიძლება სამართლიანი იყო, მაგრამ ახლა არც მაშინდელი შედეგებით შეიძლება დაკმაყოფილება, ხოლო ახალი შედეგები კი არ არსებობს, რომელიც ნებას მოგვცემდა, ასე გვეთქვა.

ნაშრომის დასასრულს დ. უმნაძეს შემოთავაზებული აქვს კესტერის შედეგები და მის გათვალისწინებას გვირჩევს. კესტერის მიხედვით, 6-9 წლამდე ბავშვი მლაპრებს კითხულობს. სხვათაშორის, აქ პირველად ჩნდება 6 და 7 წლის

ბავშვებზე საუბარი. ამ საფეხურს ის “ზლაპრის პერიოდს” უწოდებს. შემდეგ, უკვე 10-13 წლებში უპირატესობა თავგადასავლებს ენიჭება – სამხედრო ისტორიები, მოგზაურობა, რომლებითაც უმეტესად ბიჭები არიან გატაცებული. გოგონები 10 წლიდან უმეტესად სანტიმენტალურ ნაწარმოებებს ეტანებიან. 14-15 წლებში წამყვან ადგილს დეტექტიური და ავანგურისგული ლიგერაგურა იჭერს. აგრეთვე ბუნებისა და მოგზაურობათა აღწერაც საკმაოდ მაღალი ინტერესით სარგებლობს ქალები კვლავ აგრძელებენ სანტიმენტალური შინაარსით გატაცებას, მაგრამ ამავე დროს მათ ისტორიული და რეალისტური მხატვრული ლიგერაგურა და ცხოვრება იმიდავს. უფრო მაღალ საფეხურზე თავს იჩენს გეჟნიკური, ფილოსოფიური და ისტორიული შინაარსისადმი ინტერესის გამძაფრება, მალე რეალისტური მხატვრული ლიგერაგურა იწყებს დომინირებას. ქალებს ამ დროს რომანებისა და ცხოვრების სურათების აღწერათა კითხვა მოსწონთ. (523).

ნაშრომში ჩანს, რომ ავგორი ღილ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ გარემოს, თუმცა არ აღრმავეს ამ მიმართულებით თავის კვლევას. ის შენიშნავს: “... ასაკობრივი ფაქტორის გავლენა ბავშვის ლიგერაგურულ ინტერესზე თავის კონკრეტ ფორმას, თავის ესთეტიკურ სახეს ბავშვის სოციალური გარემოს ნიადაგზე ღებულობს”. (523). აქვე ამბობს, რომ მართალია, ყველა სოციალურ გარემოში ბავშვის მიდრეკილებანი მსგავსი თემებისკენაა მიმართული ასაკობრივი დიფერენციაციის გათვალისწინებით, მაგრამ სხვადასხვაა ამ თემატიკის სოციალური არსისადმი დამოკიდებულება, სოციალური მოვლენების ხეღვა.

დ. უმნაძე აქ ერთხელ კიღვე ეხება ბავშვის გართობის საკითხს და მეგად საინტერესო მოსაზრებას ავითარებს; ის გადაწყვეტიღად ამბობს, რომ “ბავშვის გართობა მარგო ლიგერაგურულ ნაწარმოებათა კითხვით არ ამოიწურება, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია მისთვის სწორედ ესაა, და ამიგომ გართობის სხვა ფორმებშიც ძალიან ხშირად იგივე გენდენციები იჩენს გავს, რაც აქ, მაგ., თეატრი, კინო და ნაწილობრივ თამაშის სახეებიც, რომელსაც მოზარდი გართობის მიზნით მიმართავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იტაცებენ მოზარდებს, თუ იმის ანალოგიურ შინაარსს შეიცავენ, რაც ლიგერაგურული ინტერესის განვითარების განხიღვისას იქ



ნა დადასტურებული”. (524). ამის აღიარება უეჭველად ნიშნავს იმას, რომ კითხვა შეიძლება განხილულ იქნეს არა მარტო როგორც წიგნის წაკითხვის აქტი, არამედ იგი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ქცევაში ერთგვარად არაპირდაპირი გზით. ეს საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ კითხვის, როგორც მოვლენის მრავალასპექტიანობაზე და კითხვა განვიხილოთ არა როგორც უშუალოდ მომხდარი განკერძოებული ფაქტი, არამედ როგორც მრავალ სხვადასხვა მოვლენებში განფენილი მოქმედება. ამის შესწავლა ლექტოლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი საქმეა, რასაც შეიძლება უზნაძის ეს დებულება დაედოს საფუძვლად.

დ. უზნაძე თავის ნაშრომში განსაკუთრებული სიღრმით განიხილავს უმეტესად სასკოლო ასაკის პირველი საფეხურის მოსწავლეთა კითხვის თვისებურებას ძირითადად მხატვრულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ამიგომაც არაა გასაკვირი, რომ მას ამგვარი კითხვა გართობის ქცევის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. იგი ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანეს დასკვნებს აკეთებს, აყალიბებს ურყევ დებულებებს, ექსპერიმენტების საფუძველზე იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს, რაც უდავოდ წარმოადგენს ლექტოლოგიური კვლევის ფუნდამენტს, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რასაც თვითონაც არ უარყოფს, რომ ბავშვთა კითხვაზე გარკვეულ ზეგავლენას სოციალური სფერო ახდენს. ამ ნაშრომის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, ბევრი რამ შეიცვალა, ახალი წარმოდგენები შეიქმნა ასაკობრივ დიფერენციაზე. დღეს უკვე მკითხველად მიიჩნევენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც, რომლებ-


საც მართალია, სხვისი მეშვეობით, მაგრამ უკვე აქვე კონტაქტები წიგნებთან.

ამ პერიოდში დაისვენა აგრეთვე ინტერესების კვლევის მეთოდები, გქენიკურმა პროგრესმა მთლიანად შეცვალა ბავშვთა კითხვის სპეციფიკა და მათი მოთხოვნილებები.

კვლევასა და უზნაძე ძირითადად ყურადღებას უთმობს ასაკობრივ მომენტს, აკეთებს განზოგადებულ დასკვნებს, მაგრამ არსად მხედველობაში არაა მიღებული თუნდაც ერთი და იმავე ასაკის ბავშვთა შორის ინტელექტუალური სხვაობის მომენტი, რაც განაპირობებს ბავშვებში ძალიან დიდ სხვაობას. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც მკვლევარს ამ შემთხვევაში განზოგადებული დასკვნები აინტერესებს და არა ცალკეული კონკრეტული შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნაშრომი ათეული წლების წინათ იქმნებოდა სრულიად სხვა სოციალურ გარემოში, სხვა პირობებში, სხვა ლიგერაგურული მასალის გამოყენებით, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ახალი შეხედულებები გაჩნდა, იგი მაინც დღევანდელით სუნთქავს. განსაკუთრებით ბავშვთა ფსიქოლოგიურ თვისებურებათა წვდომისა და კვლევის პრინციპების განსაზღვრის თვალსაზრისით. საერთოდ, უზნაძის ფსიქოლოგიური მოძღვრება ის ქვაკუთხედი, რაზედაც შეიძლება აიგოს მეცნიერების ისეთი ახალი დარგი, როგორიც მკითხველთმცოდნეობა და ლექტოლოგიაა.

\* ნაშრომი ეყრდნობა დიმიტრი უზნაძის შრომების მე-5 ტომს: შრომები: ტ. 5: ბავშვთა ფსიქოლოგია; სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. – თბ.: მეცნიერება, 1967. – 631 გვ. – (გვ. 512-524. – გართობა).



## დაკომპლექტების საიმედო წესი

ბურაბ თაყნიაშვილი

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო წერილი ქვეყნის დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წიგნსაცავების სავალდებულო ცალებით დაკომპლექტების პრობლემას შეეხება. საკითხი ფრიად აქტუალურია დღეს, როდესაც ქვეყანაში ძირეულად შეიცვალა საგამომცემლო პოლიტიკა, სახელმწიფო გამომცემლობების გვერდით გაჩნდა კერძო გამომცემლობები, ფირმები, საწარმოო გაერთიანებები. ამავე დროს ინფორმაციული წყაროების გრადიციულ ფორმებს დაემატა არაგრადიციული ფორმები: ელექტრომაგარებლები, აუდიოვიზუალური ჩანაწერები და სხვ. სახის მასალა, რომელთა დაცვა და მომავალი თაობებისათვის შენახვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობას იძენს.

ევროპის, და არამარტო ევროპის, ცივილიზებულ ქვეყნებში კარგა ხანია არსებობს ქვეყნის დიდი წიგნსაცავების: ეროვნული, უნივერსალური, დარგის მთავარი ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო ცენტრების

დებდა დებულება, რომლის ძალითაც დიდი წიგნსაცავები ქვეყნის საგამომცემლო პროდუქციიდან ლეზულობდნენ 2-2 ეგზ: უფასო სავალდებულო ცალებს. ქართული წიგნები იგზავნებოდა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში; და დღეს თუ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში დაცულია ქართული წიგნების გარკვეული რაოდენობა, სწორედ დაკომპლექტების ამ წესს უნდა ვუმაღლოდეთ.



### შესაძლებლობა ნაკლები

დაკომპლექტების გარანტირებული, საიმედო წესი. შექმნილია და დახვეწილი სახე აქვს სავალდებულო ცალებით ასეთი ბიბლიოთეკების შევსების საკანონმდებლო ბაზა. ინგლისსა და საფრანგეთში ამ საქმეს იურიდიული საფუძვლების შემუშავებას თითქმის 4-5 საუკუნის ისტორია აქვს.

საბჭოთა კავშირის პირობებში მოქმე-

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს წესი გაუქმდა. საქართველოს დიდი წიგნსაცავები აღარ ლეზულობენ სავალდებულო ცალებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. საგამომცემლო პოლიტიკის შეცვლამ ერთობ გაართულა სავალდებულო ცალებით ბიბლიოთეკების შევსება. 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება (№ 321, 26/IV) რომლის ძალითაც საქართველოს გამომცემლობებს, პოლიგრაფიულ საწარმოებს და გამოცემის უფლების მქონე ორგანიზაციებსა და სხვ. პირებს დაევალებათ დადგენილების დანართში მითითებული ბიბლიოთეკებისა და ორგანიზაციებისათვის თავიანთი საგამომცემლო პროდუქციის 2-2 უფასო სავალდებულო ცალების დაგზავნა. დადგენილების დანართში აღნიშნულია დაწესებულებები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა, ქიბილისის მერია, მასობრივი ინფორმაციის სა-

შუალელებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინსპექცია, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ბეჭდვითი სიგეყვის გამოცემის საქმეთა კორპორაცია ამ დადგენილებით, დიდი ხარვეზებითა და მცდელობით ღებულობს სავალდებულო ცალებს. დადგენილების დანართში, სამწუხაროდ, არ არის მითითებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, რომელიც მანამდე, რუსეთის მიერ მიღებული დადგენილებით, ღებულობდა ასეთ გამოცემებს.

როგორ სრულდება ზემოაღნიშნული დადგენილება? ჟურნალის რედაქცია დაინგერესდა ამ მდგომარეობის შესწავლით და გაირკვა, რომ ამ მხრივ მძიმე ვითარებაა ქვეყანაში. დადგენილება სანახევროდ არ სრულდება. კერძო გამოცემლობების დიდი ნაწილი არაფრად არ აგდებს, ან საერთოდ არ იცნობს ასეთ დადგენილებას. ბიბ-

ლებს. ადგილზე მისვლით ბიბლიოთეკას აძლევენ სავალდებულო ცალებს ისეთი გამოცემლობები, როგორცაა: "მერანი", "ნუკერი", "კავკასიური სახლი", "დია", "აზრი", "ღელა ენა", ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, "განათლება", "ლამპარი" და სხვ. თბილისში მოქმედი



არჩივანი დიღია ...

თითქმის ყველა დიდი გამოცემლობა ყურადღებით ეკიდება ეროვნული ბიბლიოთეკის სავალდებულო ცალებით შევსების საქმეს. ცალკეული ავტორები თავს ვალდებულად მიიჩნევენ ბიბლიოთეკაში შემოიგანონ ახლადგამოსული წიგნის ორ-ორი ეგზემპლარი. ბიბლიოთეკის სავალდებულო ცალებით შევსებას კარგ სამსახურს უწევს ბიბლიოთეკაში მოქმედი წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომრის ცენტრი (ISBN);



ლიოთეკებისა და წიგნის პალატის თანამშრომლები თვითონ, თავიანთ ხარჯებით მიდიან გამოცემლობებსა და რედაქციებში და ასეთი წესით ავსებენ ამ ხარვეზს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ცენტრის ინფორმაციით ყოველდღიურად 4-5 თანამშრომელი მიდის ქალაქის სხვადასხვა გამოცემლობებსა და რედაქციებში კუთვნილი მასალების შემოსაგანად. ასეთივე მდგომარეობაა წიგნის პალატაშიც. დადგენილების შესრულების მხრივ ეროვნული ბიბლიოთეკა მაღლობას მოახსენებს ისეთ გამოცემლობებს, როგორებიცაა: ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, "დიოგენე" (გამომცემელი თ. ლებანიძე), "სანი" (გამომცემელი გ. ბერიშვილი), გამოცემლობა "ბაკმი" (გამომცემელი ბ. მაცაბერიძე) და სხვ. აღნიშნული გამოცემლები თვითონ აწვდიან ეროვნულ ბიბლიოთეკას სავალდებულო ცა-



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა სავალდებულო ცალებს ღებულობს აკადემიის გამოცემლობიდან, თსუ-ს გამოცემლობიდან; ბიბლიოთეკას სავალდებულო ცალებს აწვდიან გამოცემლობები "მერანი", "განათლება". თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა სავალდებულო ცალეებს ღებულობს უნივერსიტეტის გამომცემლობიდან; ბიბლიოთეკის დირექცია მადლიერებით მოიხსენებს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობას, რომელიც სიგემატურად აგზავნის სავალდებულო ცალეებს; ორივე აქ აღნიშნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ისევე, როგორც ეროვნული ბიბლიოთეკა, თვითონ მიდიან გამომცემლობაში. ეს ფაქტი ზედმეტ ხარჯებსა და შრომას მოითხოვს. საერთოდ დიდი ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმეში ამ დადგენილების შესრულების შემთხვევაშიც არსებობს თვალშისაცემი ხარვეზები. ქვეყანაში გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის და არა მარტო ამ სახის გამოცემებისა, გარკვეული სახელწოდებათა რაოდენობა არ ღევს სახელმწიფოებრივი დანიშნულების დიდ წიგნსაცავში. ეს ხარვეზი შემდგომი თაობებისათვის დიდ ნაკლად იჩენს თავს. ყველა ეს ბიბლიოთეკა, სახელმწიფო წიგნის პალატა, თავს ვალდებულად თვლის მომავალ თაობებს შემოუნახოს ქართული ბეჭდური პროდუქციის ყველა სახელწოდების გარკვეული ეგზემპლარები. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იურიდიულად გამაგრებულია საქართველოს პარლამენტის მიერ საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებულ ორივე კანონში.

კანონში საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (1996) პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ დადგენილი ნუსხის მიხედვით ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი უფასო სავალდებულო ცალეების მოწოდების თაობაზე (მუხლი, 4 §, 3, პუნქტი თ.); მეორე კანონში, ეროვნული ბიბლიოთე-

კის შესახებ (1997) მითითებულია საქართველოს პარლამენტის ვალდებულების შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკისათვის უფასო სავალდებულო ცალეების გამოყოფის თაობაზე (მუხლი 11, § 2, პუნქტი დ); საქმის რეალურ ვითარებას თუ კრიტიკულად მივუდგებით, ნათელი ხდება, რომ არც შემოსენებული დადგენილება და არც ორივე კანონის შესაბამისი ნაწილები არ სრულდება სრულყოფილად; თავისთავად, სუსტია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული ბაზა, არ არის შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები და სხვ; რის შესახებაც ჩვენი ჟურნალი წინა ნომერში გულისგვივილით აღნიშნავდა. დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი უნივერსალური ბიბლიოთეკებისა, გვაფიქრებს ამ მიმართულებით ძირეული ცვლილებების შეგანაა საჭირო. დიდი ხანია საბიბლიოთეკო საზოგადოებაში მომწიფდა ამრი შემუშავდეს კანონი უფასო სავალდებულო ცალეების შესახებ. ზოგი სპეციალისტი, და არა მარტო სპეციალისტი, ალბათ სამართლიანად შენიშნავს, რომ კანონი არსებობს, დადგენილება მიღებულია, და მაინც ეს სფერო მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. უშველის კი ამ საქმეს ახალი კანონის მიღება? და მაინც კანონის შემუშავება აუცილებელია. სპეციალისტების ჯგუფი, რომელთაც გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ წინა ორი კანონის შემუშავებაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭო და საბიბლიოთეკო ქსელების დამფუძნებელი დაწესებულებები უნდა მიუბრუნდნენ ამ საკითხს. საქმე ადგილიდან უნდა დაიძრას. ამას დღევანდელი საბიბლიოთეკო პრაქტიკა არც თუ უსაფუძვლოდ აყენებს დღის წესრიგში.

## წიგნი და დამგვიანებული მკითხველი

ყველაზე ეკონომიური და მიზანმიმართული ხერხი მკითხველთან წიგნის მიახლოებისა წიგნვაჭრობით და ბიბლიოთეკებით არის შესაძლებელი. ამიგომ ბიბლიოთეკების წინაშე დიდი ამოცანა ღვას – დააინტერესოს მკითხველი წიგნით. ბიბლიოთეკარი უნდა იყოს პროფესიონალი. თითოეული წიგნი, რომელიც მის ხელში გაივლის, ჯერ თვითონ უნდა შეისწავლოს, გახსნას მისი შინაარსი, გაეცნოს ანოტაციას, სარჩევს, ფერს, სისქეს თუ მის მოცულობას, და მხოლოდ მერე აქვს უფლება ესაუბროს მკითხველს წიგნის ენით.

წიგნი – ეს არის წყარო მენიერულ ძიებაში, გექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურისა თუ ხელოვნების დარგში.  
“წიგნი, – ამბობდა დიდი მოაზროვნე ა. ი. გერცენი, – ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორე თაობისადმი, მომაკვდავი მოხუცის რჩევაა ჭაბუკისადმი”. ყველა დაგროვილი ცოდნა, შრომითი გამოცდილება, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია ათასწლეულების მანძილზე, აღბეჭდილია წიგნის ფურცლებზე. სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს.



**ნელი ბერიანი-ნიტალიშვილი**

მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნსაცავის განყოფილება

“წიგნი ყველაზე რთული სასწაულია, ყველა სხვა სასწაულთა შორის, რომელიც კი აღამიანს შეუქმნია”, ამბობდა დიდი რუსი მწერალი მ. გორკი.

აი, რა სიმდიდრეს იცავენ და აგროვებენ ბიბლიოთეკები. ოქროს ილებენ მიწიდან, ცოდნას – წიგნიდან, – ნათქვამია ძველ რუსულ თქმულებებში. “აღამიანი ცოდნის გარეშე გარეული მხეციაო” – ირწმუნებიან ინდუსები.

მაგრამ წიგნი, რომელიც კარგად გამოიყურება და უმოძრაოდ დევს თაროზე, “მკედარია”, ხოლო მრავალჯერ ნახმარი დაფურცლული კი “ცოცხლობს”. ბიბლიოთეკების სიმდიდრე ის კი არ არის, რამდენი უნიკალური გამოცემაა მასში დაცული, არამედ რამდენი წიგნი მოძრაობს, რამდენი მკითხველი ჰყავს ბიბლიოთეკას.

მაგრამ მოგჯერ მკითხველი უდიერად ეპყრობა წიგნს, არ აბრუნებს თავის ღრობზე, ან თუ აბრუნებენ, დაგვიანებით, სახეშეცვლილს, დაფურცლულს თუ დახაზულს. არადა, თითოეულ წიგნზე პასუხს ბიბლიოთეკარი აგებს. წიგნი – ეს არის კრისტალური, ფურცლებში მჭიდროდ შეფუთული ჩვენი მარავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომელიც აღამიანს უკვდავს ხდის დედამიწაზე – მის გარეშე სულიერი სიმდიდრე დაიკარგებოდა უკვალოდ.

ძნელი სათქმელია, როდის გაჩნდა მკითხველთა ის ფენა, რომელსაც ავიწყდება წალებული წიგნის უკან დაბრუნება. ძველ ეგვიპტეში ფარაონის წიგნსაცავიდან გაგანილი პაპირუსის გრაგნილის დამკარგველი სიკვდილით ისჯებოდა. ის კი, ვინც ამ “წიგნს” დაუღვევრად მოეპყრობოდა, მას 200 წკეპლას არგყამდნენ. ლონდონის საჯარო ბიბლიოთეკის ფუძემდებელმა სამუელ ფენკორგმა გაწკეპლა და შვიდი წლის პატიმრობა “აკმარა” დაუღვევარ მკითხველს, რომელმაც წიგნში ფურცლის კუთხეები ჩაკეცა.

ეს მაშინ, როცა ერთეული წიგნი იბეჭდებოდა და იგი იშვიათობას წარმოადგენდა. დღეს კი ჩვენს მკითხველს საშუალება ეძლევა, გარკვეული ღრობით წაილოს ბიბლიოთეკიდან წიგნი, გადაავადოს, გადაბეჭდოს, გაამრავლოს და დაუბრუნოს ბიბლიოთეკას.

უწესო მკითხველის აგან ფონდი რომ დაეცვა, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოლდის სახელობის ბიბლიოთეკამ წესებში სპეციალური პუნქტი შეიტანა, რომლითაც ოჯახში წიგნის გაგანის უფლება მხოლოდ მეფეს ეძლეოდა – ამიგომაც იყო, რომ როცა მეფე შარლ პირველმა წიგნისათვის თა-

ვისი მსახური გაგზავნა, იგი ხელცარიელი დაბრუნდა უკან. მეფე იძულებული გახდა, მოუდრეკელ ბიბლიოთეკარებს თვითონ ხლებოდა – ხომ ასეთი სიმკაცრე სუფევდა, მაგრამ მაინც იყო ხოლმე წიგნის დაგვიანების შემთხვევები.

დღეს ჩვენს ბიბლიოთეკაში უზარმაზარი რაოდენობით აღინუსხება დაგვიანებული წიგნი. ბიბლიოთეკარი, რომელსაც საარსებო მინიმუმსაც ვერ უხდიან, თვითონ უნდა ეახლოს ბოგიერთ მკითხველს ან კავშირგაბმულობის საშუალებებით დაუკავშირდეს მას და შეახსენოს დაგვიანების შესახებ. უნივერსიტეტს და ინსტიტუტებს აქვს დამცავი მექანიზმი წიგნის შენარჩუნებისა, ისინი დიპლომს არ გასცემენ, თუ სტუდენტს ბიბლიოთეკაში დავალიანება აქვს, ქალაქის ბიბლიოთეკებმა კი, რომელთა მკითხველები არიან ქალაქში ჩაწერილი თუ ჩაუწერილი პიროვნებები, ლგოვნილები თუ ქალაქის სტუმრები, რა უნდა ქნან?

არადა, მკითხველთა უმრავლესობას სახელში წლობით უღვევს ბიბლიოთეკის წიგნი, რომელიც მას უკვე არ სჭირდება და არც აბრუნებს.

1975 წელს შეფელდის საქალაქო ბიბლიოთეკაში დააბრუნეს წიგნი “ისწავლე ქსოვა და ქარგვა”, რომელიც გულმაფიწყმა მკითხველმა 43 წლის წინ წაიღო ბიბლიოთეკიდან. 1969 წელს ინგლისის ნორიჯის კათედრალური ეკლესიის ბიბლიოთეკამ ლონდონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაუბრუნა წიგნი, რომელიც 1650 წელს იყო დასტამბული – “ბიბლიოთეკათაშორისი აბონიმენტი” კი იგი დაახლოებით 1738-1819 წლებში იქნა გაგანილი. 200 წლის დაგვიანების გამო საურავმა, კვირაში ერთ პენსის კვალობაზე, 200 გირვანქა სგერლინგს მიაღწია. გულმაფიწყობის რეკორდი კი კემბრიჯის ერთ-ერთი კოლეჯის ბიბლიოთეკაში დამყარდა – პოლკოვნიკ რობერტ უოლპოულის მიერ გაგანილი წიგნი 300 წლის მერე დაუბრუნდა ბიბლიოთეკას.

ასე რომ, არასოდეს არ არის გვიან – მიემართოთ მკითხველებს, დაგვიბრუნეთ დაგვიანებული წიგნები, რადგან, თუ ასე გაგრძელდა, ბიბლიოთეკები დაცარიელდება და დავკარგავთ ისეთ ძვირფას წიგნებს, რომელთა გამოცემა აღარ განმეორებულა.

წიგნი ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. გაბედულად იარეთ სინათლისაკენ, სულითა და გულით გიყვარდეთ წიგნი, იგი არა მარტო ჩვენი საუკეთესო მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრი.

ჩვენი მოვალეობა კი არის დავიცვათ ეს უდიდესი მონაპოვარი, კაცობრიობის სულიერი საუნჯე და გადავცეთ მომავალ თაობებს.

რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი ხსოვნის  
ს ა ლ ა მ ო



ლ უ ი ზ ა  
ქუმილასვილი  
თბგ-ს მეთოდისტი

2002 წლის 15 ნოემბერს მიხ. ჯავახიშვილის სახ. ცენტრალური საქალაქო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩაგარდა დიდი ქართველი მამულიშვილის – რეზო თაბუკაშვილის დაბადების 75 წლისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა ბიბლიოთეკის დარბაზების განყოფილების გამგემ რ. კალმახელიძემ.

საღამოს წარუძღვა მწერალი ერეკლე სალიანი, რომელმაც ისაუბრა რ. თაბუკაშვილის მოღვაწეობაზე, გაიხსენა მნიშვნელოვანი მომენტები მისი ცხოვრებიდან და აღნიშნა, რომ რ. თაბუკაშვილი იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, იგი იყო დრამატურგი, კინორეჟისორი, მწერალი, მთარგმნელი, დიპლომატი და სხვა.

სიგყვით გამოსულმა მწერალმა ედიშერ გიორგაძემ აღნიშნა, რომ რ. თაბუკაშვილს საქართველოში ღირსეული ადგილი უკავია ღირსეულთა შორის. იგი ბავშვობიდან იყო კარგი სპორტსმენი – კარგი მოკრივე, კარგი მონადირე, შემეკული დიდი ადამიანური ხიბლით, და დასანანია, რომ ის ასე ადრე წავიდა ჩვენგან.

არქივის თანამშრომლებმა მარდენ კიციამ აღნიშნა – ჩვენ წმინდანად უნდა შევრაცხოთ რეზო თაბუკაშვილი, რადგან იგი დიდი პაგრიოტი იყო თავისი საქმისა და უმწიკვლოდ მოღვაწეობდა თავის ხანმოკლე ცხოვრებაში. მან ყველა თავისი ფილმი უანგაროდ გადასცა არქივს, მე ქედს ვიხრი ამ ადამიანის არა ხსოვნის, არამედ უკვდავების წინაშე.

ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა – დოდო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ იგი დიდ პაგვის სცემდა ბაგონ რეზოს, მაგრამ იგი ნამდვილად არ იქნებოდა ასეთი, თუ კი მას გვერდით არ ეყოლებოდა ფაქიზი, სათნო და უნიჭიერესი მეუღლე

– მედეა ჯაფარიძე. მე ვისურვებდი, რომ საქართველოს კვლავაც დაბადებოდეს ბევრი ასეთი რეზო და მედეა.

პააგა ნაცვლიშვილმა მაღლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს რეზო თაბუკაშვილის ხსოვნისთვის და აღნიშნა, რომ ბაგონი რეზოს ადგილი მუდამ ცარიელი დარჩება, რადგან იგი იყო ცხოვრების დიდი რეჟისორი. მან სიკვდილის ერთი დღით ადრე თავისთან დაპატიჟა ბევრი მასთან დამღურებული ადამიანი და ყველას მოეფერა. ეს იყო ცრემლიანი სევდიანი საღამო, რომელიც ჩვენ მოგვიწყო და ცხოვრება შეგვიმსუბუქა.

დიდი სიყვარულით და პაგვისცემით მოიგონა რეზო თაბუკაშვილი ძველმა მეგობარმა, ყოფილმა პოლიგ-პაგიმარმა პოეგმა შალვა მჭედლიშვილმა, რომელმაც აღნიშნა რომ რეზო პაგრიოტი და დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული გალანგი იყო, გავისხენოთ მარგო მისეილ თუმანიშვილის ჩამოსვენება. მან შესანიშნავად თარგმნა შექსპირის სონეტები. რეზო უფალს დამსგვსებული კაცი იყო, ჩვენ კი გულნატკენი გავუშვით ამ ქვეყნიდან.

პროფესორმა ნიკო კენჭოშვილმა აღნიშნა, რეზო რომ არ ყოფილიყო დიდი პოეტი, იგი ვერ შესძლებდა ასე ბრწყინვალედ ეთარგმნა შექსპირის სონეტები. იგი იყო დიდი ინტელიგენტი. მედეამ და რეზომ თან წაიღეს დიდი ინტელიგენტობა. რეზო იყო მკაცრი და უშიშარი რაინდი. რეზოს და მედეას სახელი კიდევ უფრო გაბრწყინდება და მათ ქართველი ერი დააფასებს ისე როგორც ეკადრებათ.

ბაგონი რეზო თბილად მოიგონა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ. მან აღნიშნა რომ ბაგონი რეზო ყოველთვის პაგრონობდა მსახიობებს. გაიხსენა როდესაც მას 12 მსახიობ ქალთან ერთად მოუხდა იგალიაში ფესტივალზე გამგზავრება. მაშინ რეზო და მედეა რომის ვაგზალზე 200 იგალიელ პარტიზანთან ერთად დახვდნენ მსახიობებს და 20 შესანიშნავი დღე გაატარებინეს იგალიაში. მედეა სულ გვერდში ედგა საყვარელ მეუღლეს. მარ-

ჯანიშვილის თეატრში დღესაც ცოცხალი ყვავი-  
ლები აწყვია მედეას სავარძელში და მასზე არა-  
ვინ ჯდება.

ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, მანონი  
ხორავამ აღნიშნა, რომ რემო თაბუკაშვილი ჩემ-  
თვის იყო კაცი ლეგენდა, კაი ყმა, მისი მოგონე-  
ბა მედეას გარეშე არ შეიძლება ჩენ ასეთი წყვი-  
ლი სხვა არავინ გვინახავს. მან თხოვნით მიმარ-  
თა თბგ დირექტორს ქ-ნ ციალა კალმახელიძეს,  
ქალაქში რომელიმე ბიბლიოთეკას ეწოდოს ბ-  
ნ რემო თაბუკაშვილის სახელი.

ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინა ჩაგანავამ  
აღნიშნა, რომ ბაგონი რემო და ქნი მედეა ჩვენი ბიბლი-  
ოთეკის სტუმრები ხშირად იყვნენ, ჩვენი ბიბლიოთეკა ა.  
ჯაფარიძის სახელს ატარებდა მედეა კილიოში ჯაფარი-  
ძის ალალი დის შვილი იყო. ამიგომ იგი ყოველთვის დიდ  
ყურადღებას იჩენდა ამ ბიბლიოთეკის მიმართ. ახლა მის  
ვაჟიშვილს ვთხოვთ, ჩვენი ბიბლიოთეკის მიმართ გამო-  
იჩინოს ყურადღება და მშროუნველობა.

ბაგონი რემოს სონეგები წაიკითხეს პო-  
ეგმა ერეკლე სალიანმა, სტუდენტებმა ნათია  
მამისიკაშვილმა და მირანდა გოდერძიშვილმა.

პოეგმა ნონა გიორგაძემ დამსწრეთ წა-  
უკითხა ბაგონი რემოს 14 წლის ასაკში დაწერი-  
ლი ლექსი.

დასასრულს – ლამა თაბუკაშვილმა თავის  
სამაღლობელ სიგყვაში ნაწილობრივ აღნიშნა,  
რომ სამწუხაროდ მან არ იცოდა, ეს ბიბლიოთე-  
კა ა. ჯაფარიძის სახელით თუ იყო ცნობილი. ეს  
ბიბლიოთეკა არის ოაზისი, რომელიც გახლავთ  
უანგარო, იდეალური შეხვედრების ადგილი. მან  
დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამ-  
შრომლებსა და დამსწრე სამოგადოებას მისი  
მშობლების ასე თბილად მოგონებებისათვის 12  
ბობოქარი წლის გასვლის შემდეგ და აღნიშნა,  
რომ რემო და მედეა მართლაც თავის საქართვე-  
ლოზე უბოძოდ შეყვარებული ადამიანები იყ-  
ვნენ.

## იმ, სადაც სიყვარულია

ჩიტო კალანდარიშვილი

თბილისის წმინდა ანთიმოზ ივე-  
რიელის სახელობის 166-ე საშ.  
სკოლის პედაგოგი

საკოლა რომ ცოდნის გაძარია, უეჭველია.  
ამ გაძარის კელაპგარი მისი ბიბლიოთეკაა. ცოდ-  
ნის გაძარში თუ როგორ ანათებს ეს კელაპგა-  
რი, დიდადაა დამოკიდებული იმ ადამიანებზე,  
ვინც წიგნის სიყვარულს, ცოდნის ფასს, სწორად  
შერჩეულ გონების საზრდოს აწვდის ახალგაზ-  
რდობას, მოსწავლეებს, ფართოდ უღებს კარს  
სკოლის ყველა თანამშრომელს, მასწავლებ-  
ლებს, წიგნის მოყვარულთ. ყველა საქმეს, გო-  
ნიერებასთან ერთად, გულიც სჭირდება, სწორედ  
ამგვარი მუშაკია ამ სასიკეთო საქმის ერთგუ-  
ლი მსახური, ენერგიული ადამიანი, რესპუბლი-  
კის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ქალბატო-  
ნი ნათელა ლოლუა.

თითქმის ოთხი ათეული წელია იგი თა-  
ვის საყვარელ საქმეს ემსახურება. წლების გა-  
მოცდილებამ ისეთი თვისებები შესძინა, რომლე-  
ბიც გზას უხსნის ადამიანის გულებისაკენ. იგი მოს-

წავლეთა გულისხმიერი მრჩეველი – ნათელი  
მასწავლებელია, თანამშრომელთათვის ჭირისა  
და ლხინის გამზიარებელი ახლობელი ადამიანი.

ქალბატონ ნათელას მიერ ჩატარებული სას-  
კოლო ღონისძიებები თბილი, შინაარსიანი და მიზ-  
ნობრივია. დიდი სიხარულით, აქტიურად მონაწი-  
ლეობენ მასში სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები.

სითბო და სიყვარული აჩუქა ახლობლებ-  
სა და მშროუნველობამოკლებულ ადამიანებს ლი-

ტერატურის მასწავ-  
ლებლის ქალბატონ  
მერი ცეცხლაძისა და  
ნათელა ლოლუას მი-  
ერ ჩატარებულმა ღო-  
ნისძიებამ თემაზე:  
“უსიყვარულოდ მზე  
არ სუფევს ცის კამა-  
რაზე”. მათ მართლაც  
შესძლეს გაელამაბე-  
ბინათ სათნოების სახ-





ლის მობინადრეთა ყოფა. “ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ იმ ძირებს, რომელზეც თაობები იმრდებოდნენ. ბავშვმა უნდა შეიგრძნოს სიყვარული ჩვენი ენისა, მამულისა, განმგვიცდნენ რწმენაში”. – ასეთი შესავალი გაუკეთა ქალბატონმა ნათელა ლოლუამ თავის გამოსვლას სააქტო დარბაზში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც თეოლოგმა ბატონმა აკაკი მინდიაშვილმა წაიკითხა ლექცია – “დაფიქრდით მომავალზე”. სკოლის კოლექტივი მადლიერია ქალბატონ ნათელასი ამ მშვენიერი ღლისათვის.

დასამახსოვრებელი და საინტერესო იყო რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკასთან ერთად ჩატარებული პოეზიის საღამო.

ვუყურებ დაღებითი თვისებებით დამუხტულ ამ ენერგიულ ადამიანს და მიჩნდება სურვილი, ერთ ოჯახად შეკავშირებულ ჩვენი სკოლის კოლექტივში ქალბატონი ნათელა ლოლუა კვლავაც დიდხანს ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს.

### მამაშვილური საქმე

ბათუმის მოსახლეობას ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 ბიბლიოთეკა-ფილიალი ემსახურება. დღეს მათი საქმიანობა, აჭარის ავტ. რესპ. სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან ერთად, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკებისადმი კოორდინაციული მუშაობის ცენტრის ფუნქციების განხორციელებით განისაზღვრება. მიუხედავად დიდი მონდომებისა და გაწეული მუშაობისა, ზოგიერთი ბიბლიოთეკა-ფილიალი ვერ პასუხობს დღევანდელ თანამედროვე მოთხოვნებს. ასე იყო გაერთიანების შექმნის ფილიალიც – ავარიული შენობა, ჩამტვრეული

მამულიშვილობა, ერისკაცობა – გამოჩენულთა ხვედრია. სიკეთე და სიქველე სისხლში უნდა გქონდეს ადამიანს გამჯდარი, რომ დღევანდელ რთულ პერიოდში სულგრძელად აკეთო კეთილი საქმე. სულიერი ფასეულობები ჩვენი ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებებს თითქოს დაშორდა. ხალხი, “თავის გაგანის” პრობლემებით იძინებს და იღვიძებს და თუ რამე ისეთი კეთდება, რაც ელემენტარულ ჩარჩოებს გასცდება, გვაოცებს და გვიკვირს. ადამიანები გადავეჩვიეთ უსამზაუროდ სიკეთის გაცემას, თანაც უკანმოუხედავად. ხანდახან მოგვინდება ხოლმე კარგის გაკეთება, მაგრამ ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება და უცებ ხელს ჩავიქნევთ, შემდეგ კი ღინებას მივყვებით, ვითომც არაფერი.

ჩვენს სახელმწიფოში სამოგადოების ნახევარი მხოლოდ ენთუზიაზმით მიდის სამსახურში. გამონაკლისი არც მეექვსე ბიბლიოთეკა ფილიალი იყო, მაგრამ საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელობას იმედი და კარგული არ

ნების ხელმძღვანელობას იმედი და კარგული არ ჰქონდა, რადგანაც იცოდა, რა პიროვნება იყო მათი კულტურის მინისტრი. დიდხანს ლოდინიც არ დაგეჭირებია – აჭარის ავტ. რესპ. კულტურის მინისტრმა, თეიმურაზ კომახიძემ დიდებულმა ადამიანმა, ყველასათვის მისაბამმა პიროვნებამ, რომელსაც უანგაროდ, უშურველად უკეთებია ბევრი სხვადასხვა სასიკეთო, ხალხისათვის და ისგორიისათვის საჭირო საქმე – მეექვსე ბიბლიოთეკა-ფილიალი იხსნა დალუპვისაგან. დღეს ბათუმის გარეუბანში პაგარძალივით თეთრად მოწყობილი ლამაზი შენობა ბიბლიოთეკას ეკუთვნის. ჩვენ ვამაყობთ, რომ აჭარაში კულტურას ასეთი ჭირისუფალი ჰყავს. ქელს ვიხრით მისი ენთუზიაზმის, სიკეთისა და სიქველის წინაშე.

დიდი მადლობა ბიბლიოთეკის გადარჩენისათვის ქ. ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანების ღირექციის სახელით – მეექვსე ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგე ბუშლითაძემ ფარტინაძემ



მ. კასრაძე  
თბე-ს N9-ე ბიბლიო-  
თეკა-ფილიალის გამ-  
ბე

ჩვენი მივლინება ლიგვის რესპუბლიკაში საინგერესო და საქმიანი იყო. ჩვენი პროგრამის მიზანი იყო, გავცნობოდით ლიგვის, ბალტიისპირეთის ერთ-ერთი უღამაზესი სახელმწიფოს საბიბლიოთეკო სისტემას და მის თავისებურებებს. ეს რვა დღე მეგალ საინგერესო და დაუვიწყარი იქნება ჩემთვის.

სტაჟირების დროს ჯგუფის წევრებს ყველანაირი შესაძლებლობა მოგვეცა, გავცნობოდით ლიგვის ბიბლიოთეკების მართვის სისტემას, მათ მიღწევებს, მოგვესმინა საინგერესო ლექციებისათვის.

რვა დღის განმავლობაში ჩვენ მოვინახულეთ ლიგვის რესპუბლიკის თითქმის ყველა მსხვილი ქალაქისა და ოლქის ბიბლიოთეკები, გვექონდა შეხვედრები ამ ქალაქის ოფიციალურ

პირებთან, ჩვენს კოლეგებთან, რომლებმაც ამომწურავი ინფორმაცია მოგვეცეს ჩვენთვის საჭირო და საინგერესო ყველა საკითხზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც ხელისუფლება იჩენს ბიბლიოთეკების მიმართ. მათ ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი ვიზიტის მიმართაც, რაც კიდევ აისახა პრესაში.

ასევე გვექონდა საშუალება მცირე ექსკურსიები მოგვეწყო ლიგვის უძველეს ქალაქებში: ვილნიუსსა, კაუნასსა და კლაიპედაში, გავცნობოდით იქაური კულტურის ძეგლებს.

სტაჟირების დროს პირადად მე ბევრი რამ ახალი შევიძინე, რასაც, ვფიქრობ, დავენერგო ჩვენს ბიბლიოთეკაში კოლეგებთან შთაბეჭდილებების გაზიარების შემდეგ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი მასპინძელი მხარის დიდი მზრუნველობა, ყურადღება და სითბო ჩვენს მიმართ, რამაც განაპირობა ნაყოფიერი სტაჟირება და საინგერესო და სასიამოვნო გახდა ჩვენი ვიზიტი ლიგვის რესპუბლიკაში.

სვენეთელების სინარული და საწუხარი

დარეჯან მაყიშვილი-საათაშვილი  
გორის რ-ნის სვენეთის ბიბლიოთეკის გამგე

სვენეთი თავდაპირველად ერთი პატარა დასახლებული პუნქტი იყო. შემდგომში იგი სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც აქ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მასშტაბების გამრდას მოითხოვდა. სასოფლო ბიბლიოთეკა აქ პირველად 1954 წელს გაიხსნა. მაშინ სოფლად სულ 260 კომლი ცხოვრობდა. დღეს იმათ რიცხვმა 500-ს გადააჭარბა.

ბიბლიოთეკის გახსნას მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა. არაერთს გამოუცხადებია, რომ ეს სვენელების დიდი ხნის ოცნება იყო.

წიგნადი ფონდი გახსნის დღეს მხოლოდ 500 ერთეულს შეადგენდა. ეს, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გამრდილ მოთხოვნილებას. ამის გამო ბიბლიოთეკა იძულებული

იყო ხშირად მიემართა სხვა ბიბლიოთეკებისათვის, რამაც ბიძგი მისცა აქ ბზა-ს შედარებით გაძლიერებული მომსახურების ჩამოყალიბებას.

მკითხველები არასოდეს აკლდა ბიბლიოთეკას. ეს ადგილი მათთვის ყველაზე საყვარელი და მახლობელი იყო. არაერთი მაღლიერების სიგყვები მოგვისმენია მათგან.

ბიბლიოთეკამ თავისი არსებობის პერიოდში ორი ბინა გამოიცვალა. ბოლოს ის სოფლის უძველეს სკოლაში იქნა მოთავსებული, რომელიც სპეციალურად გაარემონტეს, მაგრამ შენობა იმდენად ძველი იყო, ისეთი ამორგიზებული, რომ 1995 წელს თავისით დაინგრა. წიგნების დაუყოვნებლად სხვა ადგილას გადაგანა შეუძლებელი იყო. თუნდაც იმის გამო, რომ შესაფერისი

სათავსი სოფლად არ არსებობდა. იძულებული გახდნენ, წიგნები, რომლებიც საკუთარ შვილებად მიმაჩნდა მუდამ, ჩემს ბინაში მომეთავსებინა. დღეისათვის მათი რაოდენობა 5210 ეგზემპლარს შეადგენს.

ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია მომსახურების დონის ამაღლებაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ იმედი გვასულდგმულებს, რომ მალე მოელოება ბოლო ბიბლიოთეკის ამგვარ შევიწროვებას. საკრებულოს მიერ გათვალისწინებულია ჩვენი ბიბლიოთეკისათვის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და დახმარების აღმოჩენა.

ჩემთვის პირადად, ვისაც ამ ბიბლიოთეკის გამგედ 48 წელი მიმუშავია, ძნელია შეგუება იმ ამრისა, რომ ჩვენს სოფელს, ყოველთვის გამორჩეულს თავისი მაღალკულტურული მოთხოვნებით, არ ჰქონდეს კარგი ბიბლიოთე-

კა შენობითა და სწორად ორგანიზებული საქმიანობით. მანამდე წიგნები ჩემთან ბინადრობენ, შვილებივით ვევლები თავს, მათ არაფერი უჭირთ, მაგრამ უჭირთ მკითხველებს, უჭირს ახალ თაობას, რომელიც დღეს სოფელში ასეთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის გარეშეა დარჩენილი.

იმედი მაქვს, მალე მოვა დრო, ბიბლიოთეკა კვლავ ჩაებმება ჩვენი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში და თავის სიგყვას იგყვის თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად.

რედაქციისაგან: იმედს, რომელსაც ქ-ნი დარეჯანი გამოთქვამს თავისი სტატიის დასასრულს, ჩვენც ვიზიარებთ. მივმართავთ თხოვნით სვენეთის სოფლის მესვეურთ, მეტი გულისყური და მონღომება გამოავლინონ ამ კეთილშობილური იმედის ახდენისათვის.

## სემინარი – “ბიბლიოთეკები საზღვარგარეთ”

გუგული ჯინჭარაძე

ლ. ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე.

საქართველოს ლალო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკაში გრადიციულად გარდება სემინარები ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის აქტიურ თემებზე.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა 2002 წლის 13 ნოემბერს ჩატარებული სემინარი – “ბიბლიოთეკები საზღვარგარეთ”. აქ წარმოდგენილი იყო ორი საკითხი:

“ბიბლიოთეკები ბავშვებისა და მოზარდებისათვის გერმანიაში” და “ბიბლიოთეკები გერმანიის გაერთიანების დროს”.

პირველი თემის გარშემო ისაუბრა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ გულნარა ფირცხალავამ, რომელმაც სრულყოფილად წარმოადგინა საქარტველოს კულტურის სამინისტროში 30-31 ოქტომბერსა და პირველ ნოემბერს ორგანიზებულ სადამოძვე საქართველოს კულტურის სამინისტროსა და გერმანული კულტურის ინსტიტუტის მიერ გერმანული დიპლომირებული ბიბლიოთეკარის ლიობა ბეტენის მიერ გაკეთებული მოხსენების შინაარსი. იგი შეეხო ბიბლიოთეკების მდებარეობას, მოწყობა-აღჭურ-

ვილობას; ბიბლიოთეკის ფონდს, და კომპლექტების კრიტერიუმებს, პრეზენტაციას, მომხმარებელთა მომზადებას. სემინართა მსმენელთათვის მეგად საყურადღებო იყო საუბარი სემინარის ბავშვების მიერ პაგარა წიგნის მომზადების შესახებ. მსმენელებს შესთავაზეს პრაქტიკულად ჩაეგარებინათ ეს სამუშაო და იმპროვიზებულად შეექმნათ წიგნი, იქვე მოეწყოთ ამ წიგნების გამოფენა, სემინარის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიბლიოთეკის იმ მუშაკებმა, რომლებიც ესწრებოდნენ ქალბატონ ლიობა ბეტენის მიერ ჩატარებულ სემინარს. ესენი იყვნენ: ბ.შ.ა.-ს განყოფილების გამგე ლამარა თორდია, სამუშალო და უფროსი ასაკის მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგე ეთერი ქამუშაძე, მეთოდური განყოფილების გამგე გუგული ჯინჭარაძე, წამყვანი ბიბლიოთეკარი ლია ნადიბაიძე და ბიბლიოგრაფიული განყოფილების სექტორის გამგე ნაირა ნუფარიძე.

შემდეგ თემაზე “ბიბლიოთეკები გერმანიის გაერთიანების დროს” ისაუბრა მეთოდური განყოფილების გამგემ გუგული ჯინჭარაძემ, რომელმაც თანამშრომლებს გააცნო 15-16 მაისს

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ სემინარზე ქალაქ დებდენის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პორსგ არენდ ფლემინგის მოხსენების შინაარსი.

მან აღნიშნა, რომ ფლემინგის მიერ ძირითად მოხსენებასთან ერთად, გათვალისწინებული იყო პასუხი მსმენელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე. ფლემინგმა პასუხი გასცა კითხვებზე – რამდენი ბიბლიოთეკაა ქალაქ დებდენში, არის თუ არა ტერიტორიულად ცალკე არსებული საბავშვო ბიბლიოთეკები, რა კრიტერიუმები გამოიყენეთ ბიბლიოთეკის შემცირებისათვის, გაქვთ თუ არა მეთოდური განყოფილება, როგორ ხდება დაკომპლექტება, მკითხველთა მომსახურებისათვის რა მეთოდებს იყენებთ, მომსახურება ფასიანია თუ უფასო, როგორია თქვენი შედგენილი გეგმა და ანგარიში და სხვ.

გუგული ჯინგარაძემ ყველა ამ შეკითხვა-

ზე მიღებული პასუხები დეტალურად გააცნო სემინარის მონაწილეებს.

სემინარის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მეთოდური განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნუნუ ლორიამ და დარეჯან მშვენიერაძემ, რომლებსაც მოსმენილი ჰქონდათ ფლემინგის მოხსენება.

სემინარის მუშაობა შეაჯამა ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა არგუცინსკაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილების გაცნობა საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის მეტად საინტერესო იყო, რომ ეს არის გერმანული კულტურის ინსტიტუტის კარგი წამოწყება. ჩვენი ბიბლიოთეკის ყველა მუშაკი იმედოვნებს რომ ჩვენი კონტაქტები გერმანიის კულტურის ინსტიტუტთან კვლავ გაგრძელდება, და იგი უფრო აქტიური და მრავალფეროვანი გახდება.

## ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკა



თამარ ოქრუაშვილი  
დუშეთის რ-ნი. სოფ. ყვავილის # 23 სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე

წიგნი უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის გონებრივ განვითარებაში. ეს სულიერი განძი კი, მოგვსენებათ, ბიბლიოთეკაშია განთავსებული. ბიბლიოთეკებს უდიდესი წვლილი შეაქვთ პიროვნების მულტიმედიური სწავლებასა და კულტურულ განვითარებაში. ისინი ხელს უწყობენ ინტელექტუალური თავისუფლების განვითარებას. ბიბლიოთეკის უპირველესი მოვალეობა მკითხველის მოზიდვა და დაინტერესებაა. სწორედ ამ საქმეს ემსახურება დუშეთის რაიონის სოფ. ყვავილის ბიბლიოთეკა, რომლის დაარსების თარიღი 1952 წელია. წიგნადი ფონდი 4700-ზე მეტია. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია როგორც მხატვრული, ისე დარგობრივი ლიტე-

რატურით. უკავია 30 კვ.მ. ფართის ერთი ოთახი საკრებულოს შენობაში. წიგნადი ფონდი მთლიანად დამუშავებულია ათწილადი კლასიფიკაციით. დამთავრებულია რეინვენტარიზაცია. ჩვენი ბიბლიოთეკა ემსახურება სამ სოფელს, რომლის მოსახლეობაც სამასამდეა, ხოლო მკითხველთა რაოდენობა 160-ია. აქედან 45 ბავშვია. ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიური მკითხველები სწორედ ისინი არიან.

ჩვენი სოფელიც, მთის სოფლების მსგავსად, ძირითადად მესაქონლეობით ცხოვრობს. სწორედ ამიგომაც ძალიან ეხმარება მოსახლეობას ბიბლიოთეკაში არსებული დარგობრივი ლიტერატურა.

ჩვენი ბიბლიოთეკის ძირითად პრობლემას წარმოადგენს პრესის უქონლობა. ბიბლიოთეკა არ იღებს არც ერთი დასახელების გაზეთს და ჟურნალს, რაც მკითხველს ძალიან აწუხებს. აგრეთვე არ შემოდის ახალი წიგნები. გასული ოთხი წლის მანძილზე მივიღეთ მხოლოდ 6 წიგნი. ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველის ძირითად მოთხოვნა ახალი წიგნი, ახალი პრესა, რი-

თაც ჩვენ მათ ვერ ვაკმაყოფილებთ და თავს ვგრძნობთ დამნაშავედ.

გასული წლის ბაზუხულში ჩვენი ბიბლიოთეკისა და სკოლის ბავშვების დახმარებით, ჩავაგარეთ ძალიან ლამაზი ღონისძიება ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით. აგრეთვე ღონისძიება დედის დღისადმი მიძღვნილი, სათა-

ურით “დედას”. ყოველ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით ვაწყობთ ღონისძიებებს ან გამოფენებს. ამჟამად გვაქვს გამოფენები: “აცხონე უფალო ერი შენი”, “ვინა სთქვა, თითქოს პაგარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი”, “ქრისტეშობიდან 2000 წელი” და სხვა.

## ბიბლიოთეკა – ინტელექტუალურ ფასეულობათა

### საუნჯე

პასაბერ ღონღაძე

ივლისის მიწურული იდგა, სოფლის კლუბი უჩვეულო გამოცოცხლებას მოეცვა.

წლების მანძილზე გამოკვირებულ შენობაში (სოფლის საერთო ნივთია რა ღის – მაგიდაჭურჭლეულის საწყობ ალაგად რომ იყო ქცეული), ლიტერატურული საღამოს სამზადისი მიმდინარეობდა.

ბიბლიოთეკის გამგის – ქალბატონ ლია დევადის თაოსნობითა და მკითხველთა მხარდაჭერით დამკვიდრებულ გრადიციას – სოფელში მოძიებული მხატვრული თვითშემოქმედების ნიმუშების და გაცნობა-გაზიარების საღამოებს, მრავალი გულშემატკივარი შესძენოდა და ამიგომაც, ღონისძიების ჩატარება ბიბლიოთეკის კლუბში განუმრავნა.

აფიშა საღამომე დასწრების მსურველებს სოფლიდან წლების უკან გადახვეწილი კაცის – თემურ ნოზაძის შემოქმედების გასაცნობად იწვევდა.

ასაკოვანთ ის დრო აგონდებოდათ, როცა ქალაქის შემოქმედებითი ჯგუფები სტუმრობდნენ სოფელს. სკეპტიკურად იყურებოდნენ “ნეგა ამათ რა ინდა გააკეთონო”, მიუხედავად ამისა, კლუბში მხატვრულ ღონისძიებაზე დასაწრებად წასვლა მაინც ერთ დიდ სიამოვნებად უღირდათ და სხვებთან ერთად მოუთმენლად ელოდნენ საღამოს გამართვას.

ამგვარ შეკრებულობას კი კლუბი უკვე მეორედ მასპინძლობდა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. ესეც ერთგვარ კეთილ სიახლედ, კლუბის დაკარგული მნიშვნელობის კვლავ აღდგენად და სოფლის ყოფაში ჯანსაღი საქმიანობის დამკვიდრებად აღიქმებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ წამოწყებას ქალბატონი ლია დევადისა და ბიბლიოთეკის მკითხველთა აქტივის მონაღმებითა და ძალისხმევით ეყრდნობოდა საფუძველი.

ამას მცირე ხნით წინ უსწრებდა ბიბლიოთეკისა და კლუბის ემო-მიდამოს მოსაწესრიგებელი სამუშაოები. ლია დევადისა და ლია გოგინაშვილის (კლუბის გამგე) მიერ საკრებულოდან გამოთხოვილი თანხით ეზო კაპიტალურად შემოღობეს, სოფლის ახალგაზრდების დახმარებით შენობა, მისი შემოგარეხი დაალაგეს, მედმეგ ნივთებს თავისი ადგილი მიუჩინეს, მშრუნველი ხელით ყვავილები დარგეს, ახარეს და კლუბს ჩვეული სამუშაო იერი დაუბრუნეს.

აპრილის თვეში საბიბლიოთეკო კვირეულის მიმდინარეობისას აღის თემის საკრებულო-

ში გამართულ საღამომე, ბიბლიოთეკებში შემოქმედებითი მუშაობის გაცნობას რომ ისახავდა მიზნად, სოფელ ბრილის ნორჩ მკითხველთა მიერ წარმოდგენილ ნამუშევარს მოწვეული სტუმრებისა და მაყურებლების განსაკუთრებული მოწონება ხვდა. ქიურის სამახსოვრო ჯილდოც მათ დაიმსახურეს. წარმატებით გახალისებულმა ახალგაზრდებმა წარმოდგენა შემდეგ უკვე თავისი თანასოფლელებისთვისაც დადგეს და კლუბში სიცოცხლის პირველი ნიშანი გაჩნდა.

“მივიწყებული ალბომი” – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომლის თემატური და მხატვრული მხარე საინტერესო და მიმზიდველად გადაწყვიტა ქალბატონმა მაია ჩუბინიძემ (ამავე სოფლის მკვიდრმა, ამჟამად ქ. ქუთაისში მცხოვრებმა, საბავშვო თეატრსტუდიის ხელმძღვანელმა).

თემურ ნოზაძის პიროვნულ პორტრეტს, განცხადებულს ლექსების სტრიქონებიდან, პედაგოგი ბეჟან ჩუბინიძე გამოსახავდა. პოეტის ლექსებს კითხულობდნენ სკოლის პედაგოგები: ლია დევადე, მაია ჩუბინიძე, ნინო მურმანიშვილი, კახაბერ ღონღაძე, მე-11-ე კლასის მოსწავლე ნინო დევადე, ნორჩი მკითხველები: დათო იმერლიშვილი და მარიამ ღონღაძე.

ლექსებს მეტ შთაბეჭდაობას სძენდა მათი მხატვრული განსცენირება. ამას შესანიშნავად ართმევდნენ თავს ახალგაზრდა შემსრულებლები – შორენა პავლიაშვილი (სამედიცინო კოლეჯის სტუდენტი) და ალიკა იმერლიშვილი (XI კლ. მოსწავლე), “წიქარას პაგარა მეგობარი” შესამეკლასელი თედო ჩუბინიძე.

პოეტისათვის დამახასიათებელ თვისებებზე დამსწრეთ მოუთხრობდნენ ზოლიაქოს “პაგარა ვარსკვლავები”: ნანა იმერლიშვილი, ნინო პავლიაშვილი, დარეჯან გოგალაძე, მარიამ ღონღაძე და თამთა იმერლიშვილი.

საღამოს გკბილსევიდან სითბოდ ჩაექარგა თემურ ნოზაძის მეუღლის დიდი ნუკრადის მიერ წაკითხული ლექსი, პოეტს რომ მიუძღვნიდა მისთვის. ქალბატონი ლილი ნოზაძე – თემურის დის – სკოლის არაერთი თაობის აღმზრდელის ლექსები, ძმისა და მშობლიური ქერის გკვილისა და მონაგრებაზე ღაღადებს.

“ალბომის” გაცნობამ ბევრ უპასუხო კითხვასა და ფიქრს უპოვა სამანი.

საღამოს დასასრულს სტუმრებს ნოდარ ღუმბაძის “მე, ბებია, ილიკო და ილარიონის” მიხედვით შესრულებული სცენები წარმოუდგინეს:

ბებამ – მაია ჩუბინიძემ, ბურიკელამ – ალიკა იმერლიშვილმა, მერიმ – შორენა პავლიაშვილი, ბურიკელას მეგობარმა – დათო იმერლიშვილმა დარბაზს ხალისი და მხიარულება მოჰგვარეს.

ასე გასრულდა ეს საღამო. იმედიანი, ლაღი განწყობით გოვებდნენ დარბაზს სკუმარნი თუ მასპინძელნი საკუთარი ძალებით მომზადებული მშვენიერი საღამო მათ თავიანთ ძალებში არწმუნებდა.

არ შეიძლება ერთი რამ არ ვთქვათ. მცირე ხნის წინ რაიონში ხმა აგორებულყო – სოფლებში ბიბლიოთეკების დახურვას აპირებენო, დაუჯე-

რებელია ასეთი რამ, ისიც ინგელექტუალური ფასეულობების საზოგადო შიმშილის პირობებში; ამგვარი მოთხოვნილება ხომ ყველაზე ადამიანურ სურვილთა რიგს ეკუთვნის.

ჩვენს მიერ აღწერილმა ერთმა ღონისძიებამ კარგად დაგვანახა, რა ღიღი მოთხოვნილებაა სოფლად კულტურულ ღონისძიებებზე, როგორ დაზარებულა მოსახლეობა ცოცხალ ურთიერთობას ინგელექტუალურ გარემოში. სხვა რომ არაფერი, მარტო ამ კუთხითაცაა დასაფასებელი ჩვენი ბიბლიოთეკები. ღმერთმა ნუ ქნას, ესეც მოეშალოს ხალხს. პირიქით, ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ მსგავსი ღონისძიებები კვლავ გაასარებენ ჩვენს მკითხველებს.

## გვესაუბრება შურნალისტი

წიგნს არ ედება არასოდეს ხავსი

ოთარ ცინარიძე  
შურნალისტი

უცხო გომელი ანადგურებდა, ანგრევდა, აჩანაგებდა, ცეცხლითა და მახვილით უსწორებდა საქართველოს ძირძველ მიწაზე, ქრისტიანობის აკვნის დამეწვე კუთხეში ზოგადქართულსა და ეროვნულს. ფრთა “მოაგებეს” სხალიის გაძარს, შეგრუსეს და შერუჯეს გაძრის ფრესკები, ჩამოაქციეს ვერნების, კალოთის, სამოლეთის, ვარჯანაულის, ჯაბნიეთის, მახალაკეთის, გამო-

უყვებოდნენ ქართულ ზღაპრებსა და თქმულებებს. სამ საუკუნეს არ მიივიწყა კუთხემ ენა დედისა, ადათი – პაპისა, კულტურა – ქვეყნისა. დღეს სხალთაში რომ ბარები რეკენ, გამონათლევში ეკლესიას რომ გუმბათს ადგამენ, ბვარეში ახლადაშენებულ ეკლესიაში სანთელს რომ ანთებენ, ხულოს ცენგრში ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში აქაურები რომ ინათლებიან, ჯვარს იწერენ, სასულიერო გიმნაზიასა და სასწავლებელში ცოდნას ეუფლებიან წინაპართა ღიღი გარჯის ნაყოფია, რომელიც ბევრჯერ სიცოცხლის ფასად ჯდებოდა. პოეგ ბურაბ გორგილაძის ნათქვამიც ხომ ამ გრძნობის გამოხატულებაა:

“ჩემი სისხლი სიყვარულით,  
ო, რა ხანი არ დამთვრალა.  
მეყო, – მგევნის წებო წვენში  
ჩემი სულის ორთქლში ღვანან,  
ყელზე შემომეფართქალა  
ვამის ლერწი ლოფორთქანა,  
სიმმარ-სიმმარ მიბრუნდება  
შაგბერდი და შორი ბანა,  
იქ სანთლები ჩემი სისხო  
ჯერეთ, კიდე არ ჩამქრალა,  
მეყო! – ქამმა ქანგნაფლეთმა,  
რაც დამფლა და რაც დამგმანა”.

მართლაცდა, ეყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წალკოგს – აჭარას მგრისაგან დარბევა და აწიოკება, 125 წლის წინათ ეს კუთხე დედსაქართველომ თავისი “ფრთის ქვეშ” შემოიერთა. მუხრან ბაგონის სასახლეში დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გამართულ ბანკეტზე, სადაც იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყი-



შურნალის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ნათლევის, დაჩიეთის, ნიგაბეულის, ფურგიოს, ნენიის, ელიაწმინდის, გბეთის, წაბლანის ეკლესიამონასტრების გუმბათები, ჩამოანგრის ციხე-კოშკები. მიწაში დამარხულ ქვევრებსაც არ გოვებდნენ, რომ ქართველს მის კერა-კუთხეში ვენახის აღორძინება აღარ ეფიქრა.

დღეები პაგარებს ნალიებსა და სათიბეებში მალულად უკითხავდნენ ქართულ ანბანს,

ფიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, შერიფ ხიმშიაშვილი, ხუსეინ აბაშიძე, ხასან ბეჟანიძე, სულიბეგ მაჭახელი, ახმედ ხალვაში, ნური ხიმშიაშვილი, ოსმან მაკრიალიელი და სხვები, აკაკი წერეთელმა ბრძანა: “დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და დავსძახოთ, რომ მათ ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?.. ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა!.. მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვაღვენოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერჯიას და ცოდნას, მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ”.

იმ დღიდან მოყოლებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა აჭარაში სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისათვის.

დღევანდელი შუახევის რაიონის გერიგორიაზე პირველი ბიბლიოთეკა გასული საუკუნის 20-იან წლებში გაიხსნა. ეს ის სოფელია, რომელსაც 1891 წელს თავისი ხურჯინით სტუმრობდა მაქარია ჭიჭინაძე. პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში ამ ამბავს ასე გადმოგვცემს ლექსში “მაქარია ჭიჭინაძე”:

“ჭვანის მეჩეთთან, გემო აჭარას,  
მოღლილი კაცი შედგა ხურჯინით.  
– მაქარია ვარ, – უთხრა ეფენდის,  
მუსლიმანი ვარ, მაგრამ გურჯი ვარ.  
მოსულმა გვირთი რომ ჩამოიხსნა,  
ძელს მიასვენა ისე აზიზად,  
ვითომ დალექილ აბგაში ედო,  
ამ შემდეგეთის მთელი ხაზინა.  
ეს “დედა ენა” იყო, დამეში  
მოახლოებულ დღეთა გამშლელი,  
მოლა გაოცდა – “ქითაბს” დააცხრენ  
მოწყურებული მისი ბავშვები...”

ჭვანში გახსნილ ბიბლიოთეკას სათავეში ედგა თავის კუთხესა და საქმეზე შეყვარებული ქალი აიშე ჭაღალიძე. მას სოფელ-სოფელ კარდაკარ დაჰქონდა წიგნები, აგარებდა მათ გან-

ხილვებს, ლიგერაგურულ საღამოებს, მხვედრებს ქვეყნის, კუთხის წარმოქმნილ ადამიანებთან.

1953 წლამდე შუახევის რაიონი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული არ იყო. მისი ცალკე რაიონად გამოყოფის შემდეგ მეტი ყურადღება ბიბლიოთეკის დირექტორი: მერი თურმანთეკო ქსელის განვითარებას. რაიონულ ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა ფელიქს მაჭავარიანი. სოფლებში იხსნებოდა ბიბლიოთეკები. ისინი მაშინ სულ 17 იყო.

რაიონის ეკონომიკის, განათლების, სოციალური სფეროს განვითარების პარალელურად ვითარდებოდა კულტურა და ბიბლიოთეკების ქსელი. 1972 წლისათვის მთიანი აჭარის პატარა რაიონში ერთი რაიონცენტრალური, ერთი საბავშვო, ერთი ავტომობილური ბიბლიოთეკა არსებობდა, რომელთა წიგნადი ფონდი ნახევარ მილიონს უგოლდებოდა. დღეს რაიონულ ბიბლიოთეკას უკვე სათავეში პროფესიონალი პეციალისტი, შუახევის რაიონის მკვიდრი მერი თურმანიძე უდგას.

30 წელზე მეტია ქალბატონი მერი თავისი ცოდნასა და გამოცდილებას მთაში საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებას ახმარს. მისი უშუალო ინიციატივით რაიონული ბიბლიოთეკისათვის აიგო ორსართულიანი შენობა. გაფართოვდა წიგნთსაცავი, გაიხსნა სამკითხველო დარბაზი, წიგნების დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილებას დაეთმო სათავესოები, გაგარდა ცენტრალიზაცია, უფრო მობილური და მიზნობრივი გახდა საბიბლიოთეკო ქსელი, ბიბლიოთეკები შეიქმნა ახალი ლიგერაგურით, ინვენტარ-დანადგარებით, ტექნიკური საშუალებებით. 1970-1980 წლებში რაიონულ ფონდს 120 ათასზე მეტი ახალი წიგნი შეემატა.

მთელი საბიბლიოთეკო ქსელის ერთ-ერთ ბირთვში მოქცევამ გზა გაუხსნა სიახლეებს. რაიონში საბიბლიოთეკო ქსელში გაჩნდა ახალი სახელები. დაკისრებულ მოვალეობას ჩინებულად



ბიბლიოთეკის დირექტორი: მერი თურმანთეკო ქსელის განვითარებას.

უძღვებოდნენ მიხეილ აბაშიძე, გურამ მიქელაძე, ოთარ ფევაძე, გულვარდი ბერიძე, მერი დავითაძე, ეთერ შუაფანაძე, შადიმან ქარცივაძე, ნუნუ მიქელაძე, ავთანდილ ყიფიანი, თემურ დავითაძე, მზია ღარჩიძე, ნერიმან ღიასაშიძე, გულიკო ჭალაღიძე, ნათელა ბერიძე.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, ცალკეულ ღირებულებათა გადაფასებამ თითქმის ყველაფერს უარყოფითი კვალი დააჩნია. ყველაზე მტკივნეულად ეს პროცესები კულტურის სფეროს შეეხო: ცარიელდებოდა ბიბლიოთეკები, იძარცვებოდა წიგნადი ფონდი. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საგრძნობლად გამოსწორდა მდგომარეობა. ბიბლიოთეკები ისევ ივსება წიგნადი ფონდებით, იხსნება კულტურის ახალი კერები. ბოლო ათწლეულში შუახევეში – ფოლადაურსა და კვიახიძეებში მხარეთმცოდნეობის და ეთნოგრაფიული მუზეუმებიც გაიხსნა, ყველა სოფელში მოქმედებს ბიბლიოთეკა.

ქვეყნის ერთიანი საბიბლიოტეკო ქსელის მოშლის მიუხედავად, შუახევეში მაინც ხერხდება ბიბლიოთეკების ახალი ლიგერაგურით შევსება, რაც მეტწილად ცალკეული ქველმოქმედების ხარჯზე ხდება. რაიონის ბიბლიოთეკების ფონდს შეემატა პროფესორების: თეიმურაზ კომახიძის, შუშანა ფუტკარიძის, რამაზ სურმანიძის, პოეგების ფრიდონ ხალვაშის, ბურაბ გორგილაძის, მამია ვარშანიძის, ცისანა ანთაძის, შოთა ზოიძის, ჯემალ ჯაყელის, ემენ დავითაძის, ვახტანგ ახვლედიანის, ვახტანგ ზოიძის წიგნები.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ გოგიტიძე გვერდით უდგას ბიბლიოთეკებს. იგივე ითქმის საგამომცემლო სააქციო საზოგადოების “აჭარის” ღირექტორ დავით თელორაძემ.

ქალბატონი მერი თურმანიძე, როგორც ვთქვით, თავის საქმის დიდი ენთუზიასტია. მის სახელს უკავშირდება ათეულობით ღონისძიება, რომელიც რაიონცენტრალურ ბიბლიოთეკაში იმართება. ბოლო პერიოდში განხილული აქვთ ემენ დავითაძის რომანი “სოფლის აღმშენებელი”, ვახტანგ ზოიძის “გამართლება”, თეიმურაზ კომახიძის “მემედ აბაშიძე”, მერაბ კოსტავას “ფიქრები საქართველოს მისიაზე” და სხვა. შეხვედრები გაუმართეს პოეტებს ჯემალ ქათამაძეს, ფრიდონ ხალვაშს, ბურაბ გორგილაძეს, ცისანა ანთაძეს, ჯემალ ჯაყელს, რამაზ სურმანიძეს, პროფესორებს

შუშანა ფუტკარიძეს, ნანა გუგუნავას.

თემაგური, ლიგერაგურული საღამოები მიუძღვნეს გბელ აბუსერისძეს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, გალაქციონ გაბიძეს, გიციან გაბიძეს, აჭაროს დედა სამშობლოსთან დაბრუნების, ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლის იუბილეებს. ყოველწლიურად მაღალ დონეზე აღინიშნება საერო და საღვთო ღვთაებაწაულები. მნახველებს არ ავიწყდებათ 1994 წელს მარიამობის ღვთაება მარტოული ლიგერაგურულ-მხაგრული კომპოზიცია თემაზე: “იმედი ჩემი, ძალა ჩემი და რწმენა ჩემი”.

რაიონულ ბიბლიოთეკებში ნახავთ დროის მაჯისცემის შესაგყვის გამოფენებს. აი, ზოგიერთი მათგანიც: “ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო”; “ღირსეული მამულიშვილები”; “ენა დედაა ერისა”; “ო, საქართველოვ, დედამიწის მარგალიტო და სამკაულო”; “პოეზია, უპირველეს ყოვლისა!”

უთქვამთ: მარგო კაცი სუფრასთანაც ცოლვანო. შუახევის რაიონული ბიბლიოთეკის კოლექტივი მარგო არაა. მას გვერდით უდგანან საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროები. აჭარის კულტურის სამინისტრომ კიდეც განაზოგადა მათი მუშაობა. შუახეველებს ხშირად სგუმრობდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ლალო ასათიანისა და მირზა გელოვანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო და ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი მუშაკები. დაუფასებელია ისეთი მოღვაწის დახმარება, როგორიც იყო ქ-ნ გუია ბერულავა, როგორებიც არიან: გრიშა კიპაროიძე, სერგო პულუზაშვილი, მარინა მოღებაძე, იზა დემეტრაშვილი, ინგა არგუტინსკაია, ალექსანდრე ლორია, გურამ თაყნიაშვილი, ქეთინო ნიკურაძე.

დრო ყველაფერს და ყოველთვის თავის გასაღებს მოარგებს. ჩვენს ეპოქაში წიგნმა ფასი დაკარგაო, – ამბობენ ერთნი. ვინც ამას ფიქრობს, თავადაა დაკარგული წუთისოფლისათვის. ბრძენისა არ იყოს:

“წიგნს არ ედება არასდროს ხავსი, მსგავსად სახნისის განაკაწრისა, წიგნის ყოველი ლაქი და ხაზი უტყვი მოწმეა დიდი ღვაწლისა”.

მიმდინარე წელს შუახევის რაიონული



ცენტრალური ბიბლიოთეკა თავის იუბილეს აღნიშნავს. ეს კიდეც ერთი იმპულსი იქნება მუშაობის გააქტიურებისა და ახალი მიღწევებისა.

რედაქციისაგან: ჩვენი ჟურნალი ხალხისთვის უთმობს თავის ფურცლებს ჟურნალისგ. ცინარიძეს და მიესალმება შუახვევის რაიონული ბიბლიოთეკის ამგვარ ნაყოფიერ საქმიანობას. ო. ცინარიძე 25 წელზე მეტია აჭარის მთანეთში მოღვაწეობს, ავგორია ორი წიგნის, მრავალი სტატიის, არის გაზეთ “აჭარის” საკუთარი კორესპონდენტი. მისი ეს სტატია აღსავსეა ჟურნალისგური მგზნებარებით და არაა გასაკვირი, რომ პროფე-

სიული თვალსაზრისით არ უდგება ბიბლიოთეკის საქმიანობას. ალბათ ამის გამო სტატიაში არაა მოცემული ის სპეციფიკური მომენტები, რაც დამახასიათებელია დღევანდელი საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის, არაა ნაჩვენები, რა ახალი საწყისები ინერგება აქ, როგორ ხდება სიახლეთა დაწერვა, მეთოდოლოგიური ცვლილებები, გექნიკურ-ინფორმაციული უზრუნველყოფა და ა.შ. ვიმედოვნებთ, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა უფრო თვითკრიტიკულად შეაფასებს თავის საქმიანობას და დაისახავს გარდაქმნისა და განახლების ამოცანებს.

## რეცენზია

### თბილისი – პირველი სამეცნიერო ენციკლოპედია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ მეტად საჭირო წიგნი გვიძღვნა. მასში, როგორც ვაზის რქაზე წყვილ-წყვილად აჭრილი მგევენები, მოხდენილადაა აკინძული დამოუკიდებელი საქართველოს ჭაღარა, მაგრამ ახალგაზრდულად შემართული თბილისის წარსუ-



ფრიდონ სისარულიძე პროფესორი

ლის თუ თანამედროვეობის სურათები – ძველი თუ ახალი უბნების, საცხოვრებელი სახლების, დაწესებულებების, ბაზრების, გამზირების, მოედნების, ქუჩების, ეკლესიების, ციხე-სიმაგრეების, მემორიალური ადგილების, პანთეონების, ხილების, ძეგლების, მომხიბლავი ხელების მაღალხარისხოვანი ფოტოები: გადმოცემულია მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები და ფაქტები, ასახულია გამოჩენილ ადამიანთა ღვაწლი, ნაჩვენებია ჩვენი დედაქალაქი მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით. ნათლად გამოსჭვივის მისი დღევანდელი სიდიადის დაუცხრომელი მაჯისცემა.

ამ დიდი წიგნის (1140 გვ.) უბრალო დათვალიერებაც გაგრძნობინებს, რა მიძიმე გზა გან-

ვლო ქალაქმა – უამრავი ბრძოლები, სიღუბნე, სტიქიური უბედურებები, მგერთა თარეში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვა მაგრამ მშვიდობიანი, აღმშენებლობითი დღეებიც ბევრი ახსოვს, მრავალი სახელოვანი სტუმარი და მოგზაური, ეპოქალური მოვლენები, დიადი გარდაქმნები, მეცნიერების, განათლების, კულტურის, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის აღორძინება... ყოველივე ამის თავმოყრა, დოკუმენტური აღწერა, მეცნიერული ანალიზი და მისი გათვალსაზრისით ადვილი გადასაჭრელი საქმე არ იყო.

კულტურის ამ ძეგლს პირველივე გვერდებიდან იგრძნობა ქალაქის ხიბლი, გამოჩენილი კოლორიტი. ამ საშვილიშვილო სამემკვიდრეო გამოცემაში ავგორებს, რედაქციას, მხატვარს, ფოტოგრაფს, ყოველ გექნიკურ მუშაკს – დამკაბადონებელს, მბეჭდავს, მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანება “მეცნიერების” თანამშრომლებს – ყველას დიდი სიყვარული ჩაუქსოვია მკითხველებისათვის მშვენიერი საჩუქრის შესაქმნელად.

ამგვარი გამოცემის იღვა აღრე არსებობდა, მაგრამ მისი აღსრულების სურვილი პირველად საქვეყნოდ 1979 წელს გაცხადდა “თბილისობის” დროს საპაგიო მოქალაქის წოდების შემოღებისას. 1998 წელს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია,

კვლევით ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირში, შეუდგა ამ წიგნის გამოცემას.

“ენციკლოპედია “თბილისი”, — ვკითხულობთ სარედაქციო წერილში, — არსებითად განსხვავდება უნივერსალური ენციკლოპედიებისაგან როგორც სტრუქტურით, ისე გერმინთა შერჩევის პრინციპებით”.

წიგნი იხსნება დედაქალაქის გეგმით. მხაგრული თვალსაზრისით, ეს გამოსახულება მრავალგან გეხვდება.

გამოცემის პირველ თავში მოთავსებულ სტატიებში დახასიათებულია ქალაქისა და შემოგარენის ბუნება, ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, შორეულ წარსულში ქალაქის გიპის დასახლების ჩამოყალიბება-განვითარება, აქ ლაპარაკია თბილისისათვის დედაქალაქის სტატუსის მიღებაზე, ეკონომიკაზე, მოსახლეობის შემადგენლობაზე, აღმსარებლობასა და ყოფა-ცხოვრებით გრადიციებზე — მოყოლებული ვახტანგ გორგასლიდან დღემდე.

საინტერესოა თბილისით მოხიბლულ უცხოელთა შთაბეჭდილებებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, ძველი თბილისის გეგმები, ჩანახატები, თბილისის გორამე შეფენილი საცხოვრებელი უბნების, მოედნების, განჯისკარის, გოგირდის აბანოების აღწერა. გონებას იგაცებს ჭერემელი ეპისკოპოსის ძველთაძველი რეზიდენცია (მეგოქი, მეგეხი), სასახლეთა და სალოცავთა შე-



სახებ თხრობა, წამებულ აბოს მემორიალი, საგოდებელი, დიდებული სიონი, სტამბა, ბაზრობა — “სავაჭრო რიგით”, “ქარავანსარაი”, სხვადასხვა აღმსარებელთა სალოცავები, აივნიანი სახლები, ნაირ-ნაირად მორთული მოსეირნე თბილისელები, მრავალგვარი გასართობები — ბერიკაობა, ყაბახი...

მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ღრმად დახასიათებულია განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ხელოსნობა, მწერლობა, კულტურა. ლაპარაკია ქუჩებსა და გამზირებზე, მოედნებზე, ხიდებზე, ძველ და ახალ ქანდაკებებზე, აგრეთვე მემორიალურ ადგილებზე, მასმედიაზე, ახალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, ბანკებსა და კომერციულ დაწესებულებებზე, სასწავლებლებზე, ჯანმრთელობის კერებზე, კავშირებზე, პარტიებზე, ბაზრებზე, სააქციო საზოგადოებებზე, ასოციაციებზე და სხვა

ახალ ორგანიზაციებზე.


თბილისი — დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ცენტრი, როგორც საგრანსპორტო კვანძი, უმნიშვნელოვანეს ობიექტად გადაიქცა მთელ მსოფლიოში. სწორედ ამაზე მეტყველებს აქ მომრავლებული სამთავრობო თუ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკანონმდებლო, სასამართლო ორგანოებს, პრეზიდენტს, სახელმწიფო კანცელარიას, არასამთავრობო პოლიტიკურ ეროვნულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ასევე დიდ ინტერესს იწვევს თბილისთან დაკავშირებულ მოღვაწეებზე აქ დასტამბული სტატიები. ბევრი პოლიტიკოსი, მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ადამიანი ენციკლოპედია “თბილისში” პირველად შეფასებული ჯეროვნად.

კრებულში სხვადასხვა ადგილას კარგადაა წარმოდგენილი ძველი და ახალი თბილისის კულტურული ვითარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო კერები, მდიდარი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები.

კარგადაა დამუშავებული წიგნის ყდა. ყდის გედა ნაწილს ამშვენებს მოხდენილი წარწერა, ხოლო ყუას — ლ. გრიგოლიას ოსტატურად შესრულებული ქართული ენციკლოპედიის ემბლემა.

ასეთი მრავალფეროვანი ფაქტებისა და მოვლენების შემცველი, პოლიგრაფიულად ბრწყინვალედ გამოცემული ენციკლოპედია უდავოდ მშვენება იქნება ყველა ოჯახისათვის, ხოლო ჩვენს ბიბლიოთეკებს მისი არსებობა გაამდიდრებს.




იქნებ საჭიროა მეტი ვიცოდეთ ...

იოსებ კაკანაძე

თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნმცოდნეობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

არიან ადამიანები, რომლებიც უჩინრად გოვებენ წუთისოფელს, მაგრამ მათი ადვილად დავიწყება არ შეიძლება. აქვთ რაღაც ისეთი დიდი, განუმეორებელი, მომხიბლავი, რაც განსაკუთრებული სითბოთი განგაწყობს მათი ხსოვნისა და სახელის მიმართ. სწორედ ამგვარ ადამიანს წარმოადგენდა თავადი ილიკო ნიქარაძე. წარმოშობით ქუთაისელი, საჩხერეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბეჟან წერეთლის სახლის კარის ბიბლიოთეკარად.

უაღრესად განათლებული, უშუალო, თავმდაბალი, საქმის მოყვარული და პროფესიონალი ადამიანი, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა წერეთლების ოჯახში. იგი დაახლოებული ყოფილა ცნობილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან, გამოჩენილ მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებიც ხშირად სგუმრობდნენ თავად ბეჟან



წერეთლისა და მისი მეუღლის – ნიცა (ნუცა) ბაგრატიონ-დავითაშვილის ოჯახს – მარჯორი უორლროპი, ალექსანდრე ლევის ძე გოლსგოი, ივანე მაჩაბელი, გრიგოლ რობაქიძე, ხოლო დიდაკაკის აქ თავისი ოთახიც ჰქონდა გამოყოფილი, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ საპატიო სგუმრები, ინგელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები და ერთმანეთთან მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობდნენ, საქვეყნო პრობლემებზე ბჭობდნენ.

ცნობები ილიკო ნიქარაძეზე ძირითადად შემორჩენილია ბეჟან წერეთლის ოჯახის ძიძის, კესარია სუთიძისა და მისი მეუღლის ლევან კაციგაძის ოჯახში, სადაც ილიკოს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებდნენ ხოლმე, როგორც წერეთლებისა და მათი ოჯახების ერთგულ მეგობარსა და კეთილშობილ ადამიანს.

კაციგაძეების ოჯახში დღესაც ინახება ილიკო ნიქარაძის რამდენიმე ფოტოსურათი, როგორც ძვირფასი რელიქვია. ერთ-ერთ მათგანზე

უკან წარწერილია: “ვუძღვნი ჩემს სურათს ძვირფას დას კესოს და ჩემს ძმას ლევან კაციტაძეს, სახსოვრად – ილიკო ნიქარაძე. 1903წ. 8 ივლისი, დაბა საჩხერე”.

აქვე მინდა მოვიყვანო ილიკოს წერილი თავის ძმისადმი, რომელიც მას სურათის უკან წაწერია: “ვუძღვნი კნიაზ არჩილს. სახსოვრად. რადგან, ბატონო არჩილ, ჩვენი ცხოვრება მიეწერება ფორმას ანუ ჩესგობას, რომ შესაბამისი ხმა ცხოვრების არ მესმოდეს, რადგან მასში ბევრი სხვადასხვა მოვლინება ხდება და ადამიანს ... ყოველივე სიყვარულს და სიწმინდეს უკარგავს ... ჩვენი სურათი იგივე სარკეა სულის და მეტი არაფერი. სანამ ვცოცხლობთ, სულით არ უნდა დავეცეთ. ჩვენივე ძალამ ჩვენივე უნდა გაგვადონიეროს, რომ უფრო კარგად მოვაწყოთ ჩვენივე თავი. მაშინ ნუ შედრკებით, არავითარმა მწუნარებამ წარბი არ შეგახვრევინოსთ. იშრომეთ გულით და იშხიარულეთ ისე, როგორც თავდაპირველად ...”

საინგერესოა მისი 1902წ. 19 ნოემბრით დათარიღებული წერილი სავიზიტო ბარათზე ბექან წერეთლის ვაჟების – დათიკოსა და ნიკოსადმი მიწერილი. გულთბილი მოკითხვის შემდეგ აღნიშნავს, რომ მუშაობას იწყებს თარგმანზე. “... თარგმანს ვუნდები, გრიგოროვიჩის წიგნიდან ვწერ, ეგების ამ საახაწლოდ დამიბეჭდონ წიგნათ ან რომელიმე გამეთში ...”

საერთოდ, სამწერლო სარბიელი მისთვის უცხო არ ყოფილა. პოეზიისადმი სამსახური ნათლად ჩანს მის კუთვნილ ალბომიდან, რომელიც გადაესვებულია როგორც მისი საყვარელი პოეტების, განსაკუთრებით აკაკის ლექსებით, ასევე მისი საკუთარი ლექსებითაც. აი, ერთი მათგანი:

ძუნწ კაცს რად უნდა ძალ-ღონე?

ანუ ქონება დიდია?

როდესაც მოძმეს არ შეველის,

თვით სისხლიც გაუყიდნია!

და ველარ ძღება მოხვეჭით,

გირის უბრალოდ ცრემლსა ღერის

და ერთი გრომის გულისთვის

თვითსულს დახორცა გადაცვლის

ბექან წერეთლის შვილიშვილის, ქ-ნ რუსუდან კახიძის ცნობით, ილიკო ნიქარაძეს მიუძღვნია ლექსი მისი ღელის – თამუნია წერეთლისთვის (სამწუხაროდ არ არის დაცული).

როგორც ჩანს, ილიკო ნიქარაძე მრავალმხრივი ადამიანი ყოფილა. წიგნსა და ბიბლიოთეკასთან დაახლოებული. ცოგა რამ ვიცით მის შესახებ, არადა ბევრი საინგერესო რამ შეიძლება გამოძეღანდეს. სწორედ ამ სურვილმა აღმიძრა ინგერესი, იქნებ ზოგი რამ გავიგო მის შესახებ. მე, როგორც ბექან წერეთლის შვილების ძიძის – კესარიას შვილთაშვილი, დიდი გულწრფელობით ველი ილიკო ნიქარაძის ახლობლებისაგან გამოხმაურებას, მისი ცხოვრების საინგერესო ღეგალების გამოსავლენად.

## იუბილე

### ღვაწლმოსილი მწიგნობარი და პედაგოგი

75 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ბიბლიოთეკათმცოდნეს, საბიბლიოთეკო საქმის კარგ ორგანიზატორსა და პედაგოგს დოც. ოთარ ოსაძეს. 50 წელზე მეტია, იგი პირნათლად მოღვაწეობს საბიბლიოთეკო პრაქტიკის ასპარეზზე და კეთილსინდისიერად ემსახურება კადრების მომზადების საქმესაც. არის ავტორი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, მრავალი სამეცნიერო სტატიის; წარმატებით მოღვაწეობს პუბლიცისტიკის დარგში, ათეული წლებია აგროვეს და აქვეყნებს მსოფლიოს ცნობილ მოღვაწეთა ბრძნულ ამრებსა და გამონათქვამებს. მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი პედაგოგიურ სარბიელზე. რამდენიმე ათეული წელია, ასწავლის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ და კულტურისა და ხე-

ლოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტებში. სწორედ აქ გამოვლინდა მისი პროფესიული და პიროვნული თვისებების, მისი საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომის უნარი და აღმზრდელის ძვირფასი ღირსებები.

ო. ოსაძეს საქმიანი ურთიერთობის დამყარება მოუხდა სხვადასხვა დროის ისეთ გამოჩენილ სპეციალისტებთან, როგორებიც იყვნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი გიორგიძე, გიორგი ბაქრაძე, დევი აბაშიძე, ვლადიმერ უმნაძე, ფილიმონ ყურაშვილი, გუია ბერულავა და



სხვანი. ისინი იყვნენ მისი წინამორბედები, მას-  
წავლებლები, გზის გამკვალავნი და მანაც ღირ-  
სეულად განაგრძო მათი საქმე და დღემდე მათ-  
გან შთაგონებული, პრინციპულად და სიყვარუ-  
ლით უძღვება თავის საქმეს. იგი დღესაც ახალ-  
გამზრდული ენერგიით, დაუღალავად, შემოქმე-  
დებითი პოზიციებიდან, სიახლის განცლით განაგრ-  
ძობს თავის საყვარელ საქმეს.

ყოველივე ამის შესახებ ჩვენს ჟურნალ-

ში დაწვრილებით გვექონდა ლაპარაკი; დღეს კი  
გვინდა შევეუერთეთ პედაგოგიური და კულტურ-  
ისა და ხელოვნების უნივერსიტეტების კოლექ-  
ტივებს, კოლეგებს, ნაცნობ-მეგობრებს, სგულენგ  
ახალგამზრდობას, და მივულოცოთ ბატონოთარს  
დაბადების 75 წლისთავი და ვუსურვოთ, კვლავ  
ასეთი შემართებით, დაუღალავად ეღვაწოს  
დიდხანს, ნუ მოაკლდება ჯანმრთელობა, ცხოვ-  
რებისეული ხალისი და პირადი ბედნიერება.

## ინფორმაცია

### ქართული ლექსის აღიარება ამერიკაში

მსოფლიო პოეტთა კონკურსს, რომელიც  
ამერიკაში ეწყობა, ბატონი ჰ. ელი მენჯერობს,  
კონკურსში ყოველთვიურად 100 000-მდე პოე-  
ტის შემოქმედება განიხილება და წლის ბოლოს  
ორმოცდაათ საუკეთესო ავგორს ირჩევენ, ამათ-  
გან კიდევ ბოლო დასკვნით კონკურსზე (აუდიო  
კასეტებზე გადასაგანად) 33, ეგრეთწოდებულ  
“შეღვევს” არჩევენ. რაოდენ საამაყო და სასი-  
ა



მომნობა, რომ ერთ-ერთი ასეთი “შეღვევის” ავ-  
გორად დასახელდა ჩვენი თანამემამულე, ქარ-

თველი ქალბატონი – ლეილა ბერძენიშვილი,  
ისიც სათქმელია, რომ ქ-ნი ლეილა ამ პრესტი-  
ჟიული კონკურსის პირველი ქართველი ავგორია.  
მისი ლექსი “არფა” შევიდა წიგნში “სულის წე-  
რილები”. ეს წიგნი კი სამარადქამოდ დაიდებს  
ბინას აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში, ხოლო  
აუდიო კასეტებზე, მუსიკის თანხლებით მას ამე-  
რიკის ცნობილი მსახიობები წაიკითხავენ.

ლეილა ბერძენიშვილმა დაამთავრა ვ. სა-  
რაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერ-  
ვატორია, შემდეგ საქართველოს საგარეო საქ-  
მეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატი-  
ური აკადემია, საერთაშორისო კონკურსის დიპ-  
ლომანტი, სამეცნიერო ნაშრომების, პოეტური  
კრებულების, ლირიკული სიმღერების ალბომე-  
ბის და 5 კინო სცენარის ავგორია. ბოლო სცენა-  
რი აშშ-ში მომხდარ (11 სექტემბრის) გერაქეს ებ-  
ღვნება. ქ-ნი ლეილას შემოქმედება თარგმნი-  
ლია ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ჩვენი ჟურ-  
ნალი ულოცავს ქ-ნ ლეილას ამ დიდ გამარჯვე-  
ბას.

ნინო ქორჩილაძე

## THE HARP

You ornamented my life and my dream,  
You have adorned my soul and my dwelling

With slight perfume...  
old mystery is unveiled!  
Here you stay alone, hoping  
and expecting,

By sudden touch annoyed  
and perplexed...

I have to give you back  
your lost perfection;  
Giving light strokes to your  
slender nerves,

I will award you afresh  
your original face...  
Why to reproach me for having  
austere heart?

You see how life is harsh,  
how dreadfully it hurts!

Soon I will adorn you  
with magic velvet tunes,

We will have our time,  
our sacred honey-moon...

Faithful for so many day;  
you have yet never  
failed...

Promise, to mourn for me,  
when I am dead,

Keep memory, for Christ's sake!

ლეილა ბარკანიშვილი

არზა

როგორ ამშვენებს ჩემს სულს,  
ცხოვრებას,

ბინას, რომელსაც სუნი აქვს ჩემი.  
დგებარ და ჩუმად იგროვებ გულში  
ყველა საგკივარს, წყენას.

რამდენჯერ უცხო ხელის შეხება  
შეგაკროთბს, შეგძრავს, შეგაზრიანებს,  
ვიცი, რომ მეღი.

მოვალ, დაგისვამ თხელ ნერვებზე პაწია  
თითებს

და ამით გშველი.

როცა პირისპირ დავრჩებით ერთად,  
ო, რამდენ რამეს ვიგონებთ მაშინ,

შენა ხარ ჩემი ბავშვიც და ღელაც,  
შენა ხარ ჩემი ღელაც და ბავშვიც.

ნუ მეტყვი, დიდხანს რად მიგატოვებ,  
რად მინდა ასე... თითონაც იცი!

სულ ცოგა ხანში გაგალამაზებ,  
წავალთ ერთად და ჩვენს სიგყვას ვიგ-  
ყვით.

ჩემთვის არასდროს გიღალაგნია,  
უერთგულესი ხარ, რაღაც მტკიცე.  
მე რომ მოვკვდები, ნუ წახვალ სხვაგან,  
ჩემს თავს გაფიცებ.

როგორ ამშვენებს სულს და ცხოვრებას,  
თვით მშვენიერო, ღვთიურო არუფა,

რაც დავშეგობრდით, რა არ მითხარი,  
და ალბათ სათქმელს რამდენს მინახავ.

გკოცნი და გკოცნი თითოეულ სიმზე,  
თითოეულ ღეტალს ვეხები გუჩით,

გთხოვ მაპაგიო, თუკი ხანდახან  
ვიყავი მართლაც მარმაცი, ურჩი.

მე და შენ ისევ ვიგყვით ჩვენს სიგყვას,  
შენ რაღაც სათუთ გრძნობით ხარ სავესე,

თვით გულცივ ხალხსაც გულს მოუნახავთ  
და თავს დაუკრავთ სავესე დარბაზებს.


## წიგნები სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის

გამომცემლობა "ლიგერამ" გამოსცა "ცივილიზაციათა დიალოგის" სერიის პირველი 10 წიგნი. ეს გამოცემები სპეციალურად ქართული მოსწავლეებისთვის შეიქმნა და მათი მეშვეობით ქართველი ყმაწვილები გაეცნობიან მსოფლიო ლიტერატურას, კულტურის ისტორიას, გეოგრაფიას. მიეცემათ საშუალება, თავისი სამშობლოს ისტორიას შეუდარონ სხვა ქვეყნების ისტორიას. წიგნები აღჭურვილია მრავალფეროვანი სავაჯიშოებით და მცირე ლექსიკონით.

◆ "ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ წიგნების მნიშვნელობა ჩვენი მოზარდი თაობის სულიერი ფორმირებისა და გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების საქმეში..."

ბაჩანა ბრეგვაძე

◆ "ლიგერას" სერია "ცივილიზაციათა დიალოგი" უნივერსალურისა და უნიკალურის სინთეზს გვთავაზობს: ბავშვი სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კულტურაში მოგზაურობს და ხელახლად იმას, რაც საერთო აქვს კულტურებს და რაც ერთმანეთისგან განასხვავებს. ხელახლად



იმას, რაც საერთო გვაქვს ჩვენ მათთან – მეფე აიეგის, როლანის, საბრალო ჰაინრიჰის ეპოქებთან და, რაც გამოგვარჩევს.

პროფესორ **ზურაბ კიკნაძის** თქმით: “ეს-ლა განათლების სამინისტროში არის რეფორმა ინტეგრალური სწავლების შესახებ – საქართველოს ისტორიისა მსოფლიო ისტორიის ფონზე, ქართული ლიტერატურისა, ასევე მსოფლიო ლიტერატურის ფონზე. იმით არის მნიშვნელოვანი ეს წიგნები, რომ აქ არა მარტო ისტორიის მომენტებია შეთავაზებული, არამედ ლიტერატურულიც... “ბავშვის ცოდნას ამღიდრებს ეს ევროპული მაგალითი იმიტომ, რომ გიპოლოგიურად ეს ერთიდაიგივია. აქედან ჩანს, რომ ჩვენი ისტორია არ ყოფილა იზოლირებული, რომ ჩვენთან ხდებოდა იგივე მომენტები, რაც ევროპაში...”

**რადიო “თავისუფლება”**  
11 აგვისტო, 2002

“დიდი ხნის წინ, მაშინ, როცა კარგი წიგნი, კარგი გამოცემა იშვიათობას წარმოადგენდა და თუკი ასეთი რამ არსებობდა, ხელიდან ხელში გადადიოდა, ერთი დიდებული ალბომი მაქვს ნანახი. “მეფეთა მეფეთ წიგნი” ერქვა.

ეს იყო მეფეთა წიგნის “შაჰ-ნამეს” მართლაც სამეფო გამოცემა, ბრწყინვალე სპარსული მინიატურებით ილუსტრირებული და ლიტერატურულ გექსტთან ერთად, თემატური ინფორმაციით უხვად შემკული.

როდესაც “ლიტერას” პირველი წიგნები ვნახე, რაგომდაც სწორედ შაჰ-ნამე გამახსენდა. მცირე ფორმაგისა თუ მოკრძალებული პოლიგრაფიის მიუხედავად, თავისი მნიშვნელობითა და არსით, “კროსისი, ყველაზე მდიდარი მეფე”, “სიმღერა როლანზე”, “შაკუნგალა”, “საბრალო ჰაინრიჰი”, “ბოშა ქალი”, “ალექსანდრე მაკედონელი”, “მეფეთა მეფეთ წიგნი” ამკარად არ ჩამოუვარდება.

**“რემონანსი”**  
22 აპრილი, 2002

◆ ამ აღამიანებს გულწრფელი მადლობის მეტი არაფერი შემიძლია ვუთხრა – ხელთ მაქვს მათ მიერ მომზადებული და გამოცემული ორი წიგნი: “სიმღერა როლანზე” და “შაკუნგალა” და, მართალი გითხრათ, თან მიხარია და თან მიკვირს – როგორ მოახერხეს ასეთ, არაჩვეულებრივად მაღალ დონეზე მოემზადებინათ და გამოეცათ ეს მშვენიერი წიგნები, რომლებიც არა მხოლოდ ბავშვებისათვის იქნება შესანიშ-

ნავი საკითხავი, არამედ დარწმუნებული ვარ, მათ მშობლებსაც და აღმზრდელებსაც ბევრს მისცემს (ამას ვაცხადებ როგორც ისტორიის მასწავლებელი)... და სწორედ ამიტომ, საგანგებო მადლობა მინდა მოვასხენო აგრეთვე იმას, ვინც კლასგარეშე საკითხავის სტატუსი მიანიჭა მათ, რაც მათ სკოლაში, ბავშვებისკენ მისასვლელ გზას უხსნის. **განსაკუთრებული მადლობის ღირსია “ღია საზოგადოება – საქართველო” ანუ სოროსის ფონდი, რომელიც აფინანსებს ამ გამოცემას.**

**“ჩვენი მწერლობა”**  
8-15 თებერვალი, 2002

◆ საგამომცემლო ჯგუფმა ლიტერამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მსოფლიო ლიტერატურის გმირთა ამბები თანამედროვე ბავშვებისათვისაც ისეთივე საინტერესო ყოფილიყო, როგორც მათი წინამორბედებისათვის.

**“დილის გამეთი”**  
20 აპრილი, 2002

“ცივილიზაციათა დიალოგის” სერიით წიგნების გამოცემა ბავშვებისთვის იყო მშვენიერი იდეა და მას უკეთ შეესხა ხორცი, ვიდრე ეს წარმოდგინათ თვით ავტორებს და დამფინანსებლებს. ამ წიგნებში ცივილიზაციათა დიალოგი მიდის როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ ჭრილში, იქ არის როგორც ისტორია, ასევე თანამედროვეობა, ისინი იმეორებენ სამეცნიერო წიგნების სტრუქტურას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ყმაწვილთათვის სრულიად მისაღები ფორმით, რაც მათ საშუალებას აძლევს ეზიარონ ჰუმანიტარული ამროვნების საფუძვლებს... წიგნები არაჩვეულებრივად მიმზიდველია ვიზუალურად, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს დაემთხვა ავტორებისა და დამფინანსებლების კონცეფციები, საქართველო იყო, არის და იქნება ღია მსოფლიოს კულტურის საუკეთესო ნიმუშების აღსაქმელად და გასააზრებლად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩვენს ბავშვებს ვუთხრათ... ეს ღიაობა არ გახლავთ მოცემულობა, მას სჭირდება მომზადება, ბავშვობიდანვე საფუძვლის ჩაყრა... ძალიან ბევრ ორგანიზაციას აქვს ფული, მაგრამ ღრმად კანონზომიერი, რომ ეს პროექტი დააფინანსა ფონდმა “ღია საზოგადოება – საქართველო.”

გასულ წელს, თბილისის წიგნის ფესტივალზე ეს წიგნები წლის საუკეთესო საბავშვო

გამოცემად დასახელდა:

1. სიმღერა როლანზე (ფრანგული საგმირო პოემის მიხედვით) – საფრანგეთი – საგმირო ეპოსი – კაროლინგების ეპოქა – არაბობა საქართველოში.
2. კროსოსი – ყველაზე მდიდარი მეფე (პეროლოგეს მიხედვით) – თურქეთი – ჰეროდოტე, ისტორიის მამა – პერიკლეს ეპოქა – უძველესი ქართული სამარხები.
3. ალექსანდრე მაკედონელი (პლუტარქეს მიხედვით) – მაკედონია – პლუტარქე – მამისა და შვილის იმპერია – ფარნავაზ მეფე.
4. საბრალო ჰაინრიჰი (ჰარტმან ფონ აუეს მიხედვით) – გერმანია – სარაინდო ლიტერატურა – შუა საუკუნეების გერმანია – თამარ მეფე.
5. თქმულება კუხულაინზე – (ირლანდიური საგების მიხედვით) – ირლანდია – რას ნიშნავს საგა? – კელტური კულტურა – წმინდა ნინო – საქართველოს განმანათლებელი.

6. ბომა ქალი (სერვანტესის მიხედვით) – ესპანეთი – სერვანტესი – ალორძინების პერიოდის ესპანეთი – საქართველო XVI-XVII საუკუნეების გასაყარბე.
7. შაკუნტალა (ინდური თქმულების მიხედვით) – ინდოეთი – დიდი ინდოელი მწერალი კალიდასა – ინდური კულტურის ოქროს ხანა – ვახტანგ გორგასალი.
8. თეკლა ბატონიშვილი (ალექსანდრე ორბელიანის მიხედვით) – საქართველო – მეფეთა შთამომავალი და რომანტიკოსი – ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსეთთან.
9. მეფე აიეტი, მედეა და არგონავტები (ბერძნული მითების მიხედვით) – საბერძნეთი – ბერძენ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ.
10. ოკასენ და ნიკოლეტი (ფრანგული სარაინდო რომანის მიხედვით) – სერია “პაგარა მკითხველის ბიბლიოთეკა” – IV-V კლასელთათვის – შესავლითა და მცირე ბოლოსიტყვაობით.

## ბრძნულ აზრთა დამაუნჯებელი

ბატონი ოთარი ჭაბუკობიდანვე ემიარა წიგნის სიბრძნეს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს არ იყო უბრალო გაგაცება ან ინტერესი. ეს დაადასტურა მისმა სულიერმა სწრაფვამ – შესულიყო წიგნის უკიდვანი სამყაროში და იქიდან სიბრძნის მარგალიტები ამოეკრიბა. ასე გახდა წიგნი ბატონი ოთარისათვის ცხოვრების თანამგზავრი, მეგობარი, მეგობური, მის სულიერსამყაროსთან დაახლოებული თუ განუყოფელი საგანი, წყარო საიდანაც იგი უხვად სამრდობდა, იწრთობდა, იზრდებოდა და სრულდებოდა, სიბრძნე ემაგებოდა.

სწორედ წიგნისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ბატონი ოთარის პროფესიული კრედო. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის უფაქიბესი სპეციალობის დაუფლებამ ხელფეხი გახსნა მას, გონება გაუნათა და ახლა უკვე, წიგნის სამყაროში წვდომის ხელოვნებას დაუფლებულმა, გაბედულად შესცურა ამ ოკეანეში და ჯერაც არ გასულა წყალგაღმა – ისევ ჩვეული გულმოდგინებით კრებს სიბრძნეს, კრებს ეძებს არჩევს...

ცნობილი ფაქტია: ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები მხოლოდ თავიანთთვის არ კითხულობენ. ისინი სხვისთვის, მკითხველთათვის კითხულობენ და ამ სპეციალობაში წარმატებაც სწორედ ნაკითხ, განათლებულ, წიგნმცოდნე ადამიანებს აქვთ. გზადაგზა ბატონმა ოთარმა სცადა გარკვეული წესრიგი შეეგანა სიბრძნის საუნჯეში, მოეწესრიგებინა უამრავ ავტორთა შრომებიდან ამონაკრები აზრები. ასე კითხულობს იგი არა მარტო მსოფლიო კლასიკოსებს... კითხულობს, ეძებს, ინიშნავს, იწერს, ფიქრობს. ეს დიდი გონებრივი, ინტელექტუალური შრომაა, რომელიც დიდ ღროს, მონღომებას, თავდადებას, შეფასების უნარსა და ნებისყოფას მოითხოვს. მხოლოდ ასეთი შრომით შექმნა ბატონმა ოთარმა სიბრძნის დიდი საღარო, რომლის გასაღებს მხოლოდ თვითონ ფლობს.

წიგნებში გაბნეული სიბრძნე აღმოჩნდა ბატონი ოთარისათვის საკუთარი მორალური ცხოვრების საფუძველი. ბრძნული აზრების შეჩრევა მის მაღალ გემოვნებასა და ესთეტიკურ დახვეწილობაზე მეტყველებს. ბრძნული აზრების





სამყარო მეგად რთული და ნაირფეროვანი აღმოჩნდა. სიბრძნის შერჩევა, წიგნად შეკვრა და მკითხველისათვის შეთავაზება პიროვნების მორალური ქმედების გოლფასია. ბაგონმა ოთარმა კარგად უწყის, რომ სიბრძნე ცხოვრებაში უნდა გადმოიღვაროს როგორც ცოცხალი ქმედითი ძალა. ეს პროცესი ამავე დროს მოითხოვს გულისყურს, სიყვარულსა და ავგორისადმი პატი-


ვისცემას. ბაგონ ოთარს აღმოაჩნდა ძალა აელაგმა პირადული დამოკიდებულება სიბრძნისადმი, მისი შერჩევის კრიტერიუმი ერთია – პატივისცემა ავგორისა და მკითხველის ინტერესისადმი. სიბრძნის სალარო ივსება, ბაგონი ოთარი კითხულობს, ეძებს, იხილავს, აკვირდება, აწესრიგებს...

8. თაყნიაშვილი

## სიამაყის ბრძნობით აღვსებული წიგნი



გამომცემლობა “ქართლმა” 2002 წელს გამოსცა დარეჯან საათაშვილის წიგნი “მძიმე ბარი”. დ.საათაშვილი პროფესიით ბიბლიოთეკარია. მუშაობს გორის რაიონის სოფ. სვენეთის ბიბლიოთეკის გამგედ. ამ თანამდებობაზე იგი ბიბლიოთეკის დაარსებიდან (1954წ.) და დღემდე ენერგიულად შრომობს მაღალპროფესიონალურად და შემართებით. მიღებული აქვს მთავრობის არაერთი ჯილდო, არის საპატიო წოდების მუშაკი. როგორც ჩანს, ის ლიგერაგურული საქმიანობითაცაა დაინტერესებული. მისი წიგნი “მძიმე ბარი” წარმოადგენს ცხოვრებისეული სინამდვილის ხაგონად გამოცემას. აქ ვხვდებით სოფელ სვენეთიდან წასულ ჭაბუკების ცხოვრების ასახვას, იმ ჭაბუკებისა, რომლებიც ვერ დაუბრუნდნენ ოჯახს. შინმოუსვლელთა შესახებ ცნობების ამგვარად შეკრება და გამოცემა უდავოდ მამულიშვილური საქმეა. 65 ვაჟკაცის გახსენება და მათი სახელების გამომზეურება დიდ სამადლო საქმეს წარმოადგენს. უმეტესი მათგა-



დარეჯან საათაშვილი

ნის სურათიც არის გამოქვეყნებული. წიგნის ბოლო ნაწილში გამოქვეყნებულია დოკუმენტური მოთხრობები. ავგორი მხაგვრული ხერხების გამოყენებით ცდილობს გულწრფელად მოგვითხროს მის მიერ განცდილი, ნანახი და გაგონილი. მართალია, აქ მოცემული ამბები დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული ცხოვრებას შეეხება, მაგრამ ისინი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ისგორიული, არამედ მხაგვრული თვალსაზრისითაც. ავგორი ცოცხალი, სასაუბრო ენით გადმოგვცემს მეგად საინტერესო ამბებს, რაც მოკლებული არ არის არც ჰეროიკას და არც რომანტიკას. ის თითქოს სიამაყით წელგამართული საუბრობს ადამიანებზე, რომლებმაც თავიანთი თავდადებით, გმირული შემართებით დასდეს თავი სამშობლოსათვის.

მარიკა კალანდარიშვილი  
ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათ  
მკვლევების ცენტრის თანამშრომელი

დარეჯან კოტიანი  
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და  
ბიბლიოგრაფიის კათედრის უფ.  
მასწავლებელი

ჩვენს პროფესიონალურ ლიგერაგურაში იშვიათად თუ გამოჩნდება რაიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო, განსაკუთრებით ეს ბიბლიოგრაფიას ეხება. ამდენად, დიდი ინტერესით შევეგებეთ ციური ბერიძის მიერ შედგენილ და გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელს, რომელიც მე-19 საუკუნის ნახევრის უთვალსაჩინოეს ქართველ მოღვაწეს ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილს ეძღვნება.

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი უაღრესად კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. თითქოს განუსაზღვრელი იყო ის სფერო, რომელშიც ის მოღვაწეობდა – სახელმძღვანელოებისა და საანბანო წიგნების ავტორი, გამომცემელი ქართული ზღაპრებისა. საინტერესოა ის ფაქტი რომ ლადო აღნიაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები უთარგმნია მარჯორი სკოგ უორდროპს ქართულიდან ინგლისურ ენაზე 1894 წელს და გამოუქვეყნებია ლონდონის ქურნალ “Saturday Revium”-ში.

ის იყო წარმატებული ქურნალისტი, რომელიც თავისი მოღვაწეობით ქართული საზოგადოების გულისყურს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრობლემაზე აპყრობდა.

პედაგოგი – ნოვატორი, მოსწავლეთა რუსული და ქართული ენის საყვარელი მასწავლებელი, თეატრალი, მოგზაური, ვინაც ერთ-ერთმა პირველმა შედგა ფეხი ფერეიდნის მიწაზე და იქაური ქართველები ჩვენებურებს დაუკავშირა, კოპერაგორი ამხანაგობა “შუამავლი”-ს შემქმნელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, საყმაწვილო ყოველთვიური ქურნალ “ჯეჯილის” სარედაქციო საქმეებში დაუღალავი მონაწილე.

ქართული ფოლკლორის დიდი სიყვარულის გამო, საფუძველი ჩაუყარა ქართულ სასიმღერო გუნდს (“ხოროს”) ლოგბარად კი მოიწვია გამოჩენილი ჩეხი მომღერალი, კომპოზი-

ტორი იომეფ ნავრაგილი (შემდგომში საქართველოში ცნობილი როგორც იოსებ რაგილი) იოსებ რაგილთან ერთად ლადო აღნიაშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული საგუნდო სიმღერების განვითარების ისტორიაში, დადიოდა ძველ ქართულ სამოსში, რაც ყოველთვის ხაზს უსვამდა მის ეროვნულ სულის კვეთებას და შთამბეჭდავ გაელენას ახდენდა ირგვლივ მყოფთა შორის.

ქართული წიგნის, ქართული ქურნალისტიკის დიდი ამაგდარი, ბიბლიოფილი იოსებ იმედაშვილი თავის ნაშრომში “ლადო აღნიაშვილი” (1925 წ.) ლალოს შესახებ ასეთ სტრიქონებს გვთავაზობს: – “ეს იყო უკეთილშობილესი საზოგადო მოღვაწე მაღალი იდეალებით გატაცებული, გარეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი”.

ქართველი ხალხისათვის ასეთი მოღვაწის მემკვიდრეობის გამოვლენას, თავმოყრას აღწერას და დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია კარგ საქმედ ამ თავდადებული მამულიშვილის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის გამოცემა.

ნაშრომი გამოცემულია ქართულ-რუსულ ენებზე პარალელურად და 82 გვერდს შეიცავს. დართული აქვს აღნიაშვილების ოჯახის გენეოლოგიური სქემა და მრავალი საინტერესო ფოტოსურათი, რომლებიც ავტორს აღნიაშვილების გვარის წარმომადგენელთა ოჯახებში მოუპოვებია.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომელიც 20 წლის მანძილზე გამოცემულ ლიგერაგურას შეიცავს (1883-1904), შედგენილია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საინტერნო არქივის, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერაგურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნა-



ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი

ბ ი ბ ლ ი ბ რ ა შ ი ა

წერთა განყოფილების დოკუმენტურ მასალებზე დაფუძნებით, გამოყენებულია აგრეთვე წიგნებსა და ჟურნალ-გამეთებში ლალო აღნიაშვილის შესახებ არსებული მასალა, ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ამასთან, ავგორის მიერ ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, სადაც მოპოვებული იქნა ფოტოები.

წიგნის რედაქტორია ციური ხეთერელი, რეცენზენტები: ბ. ნემსაძე და ლ. ფრუიძე.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი იძლევა ლალო აღნიაშვილის მოღვაწეობის თითქმის სრულ სურათს. სხვადასხვა თავეების მიხედვით მოცემულია ლ. აღნიაშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი თარიღები, პედაგოგიური მემკვიდრეობა, შრომების სია, მასალები ლ. აღნიაშვილის ბიოგრაფიისათვის (ცალკე – წიგნებში, ცალკე – ჟურნალებსა და გამეთებში). ნაჩვენებია, თუ რო-

მელი პერიოდული ორგანოები ათავსებენ მის ნაშრომებს და გადმოებჭლილია მნიშვნელოვანი ამონარიდები პერიოდულ ორგანოებიდან, რომლებიც ლ. აღნიაშვილის ღვაწლს შეეხება.

ვფიქრობთ, მოცემული ბიობიბლიოგრაფიული მაჩვენებელი დაინტერესებს სპეციალისტებს. იმდენად, რამდენადაც ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, მეთოდური თვალსაზრისით, არ არის მოკლებული ნაკლოვანებებს, მოსალოდნელია, გამოიწვიოს შენიშვნებიც: ეს კი უკვე ნაშრომის რეცენზირების ამოცანებში შედის, რაც ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად. გვსურს მხოლოდ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს ერთი მეგად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნის გამოცემის შესახებ.

\* ვლადიმერ (ლალო) აღნიაშვილი: ბიბლიოგრაფია შეადგინა, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა დაურთო ციური ბერიძემ. – თბ.: მეცნიერება, 2002. – 82 გვ; პარალელურად ქართულ-რუსულ ენებზე.

## პოლემიკა

ლია წერილი ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” რედაქციას

მოხარული ვარ, რომ დღის სინათლე იხილა ქართულ ენაზე ჟურნალმა “საქართველოს ბიბლიოთეკამ”, პროფესიული ჟურნალის დაარსება ჩვენი დარგის უდიდესი მიღწევაა.

დღევანდელი ჟურნალი პირდაპირი გამოძახილია სასკოლო ბიბლიოთეკებში მიმდინარე საბიბლიოთეკო ფონდების რეორგანიზაციის პროცესებისა.

მიუხედავად ჩემი ღრმა პაგივისციემისა, გვიან, მაგრამ მაინც (ჩემი ავადმყოფობის გამო), უნდა გამოვეხმაურო ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” 2001 წლის № 3 (4)-ში დაბეჭდილ წერილს: “სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები” (პროფ. ფ. ყურაშვილი)

აწ გარდაცვლილ ბაგონ ფილიმონს დიდი ხნის წინ გაუჩნდა სურვილი სასკოლო ბიბლიო-

თეკარების კვალიფიკაციის ამალღების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისა, რაც კარგა ხანია რეალობად იქცა.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი დაარსდა 1975 წელს. იგი წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ეხმარება პედაგოგებსა და სასკოლო ბიბლიოთეკარებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია თავიანთ სპეციალობაში და მეტ წარმატებებს მიაღწიონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

1997 წლის განათლების სისტემაში ჩატარებული რესტრუქტურისაციის შემდეგ ინსტიტუტმა სახე იცვალა. კაბინეტური სისტემა შეიცვალა ლაბორატორიული სისტემით.

დღეისათვის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლაბორატორიის მისიას წარმოადგენს:

• სასკოლო ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამალღება;

- არასპეციალისტ ბიბლიოთეკარების პროფესიული დაოსტატება სემინარ-თრეინინგული მუშაობით;
- ბიბლიოთეკარისა და კლასის ხელმძღვანელის ერთობლივი მუშაობა;
- კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ბიბლიოთეკართა სახელმძღვანელო დოკუმენტების გაცნობა და რელაიზაცია.

ლაბორატორიამ შეიმუშავა ქალაქის სასკოლო ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური უზრუნველყოფის პროგრამა.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლაბორატორია წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, განსაზღვრული დანიშნულებითა და ფუნქციებით. ლაბორატორია წლიური გეგმის შესაბამისად კვალიფიკაციას უმაღლებს 50-60 ბიბლიოთეკარს, აწყობს სემინარების ციკლს, რომელშიც დაკავებულინი არიან კვალიფიციური სპეციალისტები,

**რედაქციისაზან**

ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლაბორატორიის გამგის ხათუნა რამიშვილის ღია წერილი ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ჟურნალის 2001 წლის № 3-ში აწ განსვენებული პროფ. ფ. ყურაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხის სკოლის ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დანერგვის მოთხოვნის შესახებ, თითქოს უკვე გადაწყვეტილია, ერთგან ის კიდეც აცხადებს: “აწ გარდაცვლილ ბაგონ ფილიმონს დიდი ხნის წინ გაუჩნდა სურვილი სასკოლო ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისა, რაც კარგა ხანია რეალობად იქცაო”.

ჩვენ ვერაფერს ვიგყვით ხსენებული ინსტიტუტისა და ლაბორატორიის საქმიანობაზე კარგის მეტს, მაგრამ რომ მთლიანად მოგვარებული იყოს თითქოს საქმე თანამედრო-

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის დოცენტები: ინგა ფილაური, ალექსანდრე ლორია, ოთარ ოსაძე, პარლამენგის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნიაშვილი, ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე მანონ ხორავა და სხვ.

ლაბორატორიას ინტერნეტში გახსნილი აქვს ვებ გვერდი, სადაც ჩამოყალიბებულია ჩვენი მუშაობის მიმართულებანი.

**უღრმესი პატივისცემით ხათუნა რამიშვილი**

ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე.

ვე მოთხოვნილებათა დონეზე, არა გვეგონია. ბევრი რამაა კიდეც გასაკეთებელი და ლაბორატორია მრუნავს ამაზე. იმ ფონზე, რომელიც სასკოლო ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით გვაქვს, რა მნიშვნელოვან მოღვაწეობასაც არ უნდა ეწეოდეს ხსენებული ლაბორატორია, ძნელია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ამოცანები რეალიზებულია. ესეც რომ არ იყოს, განა მარგო თბილისის მაგალითი საკმარისია, რომ ვთქვათ, საქართველოში ამ მხრივ “კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება კარგა ხანია, რაც რეალიზებულიაო?”

თბილისის გარდა, არც ერთ დიდ თუ პატარა ქალაქში ამგვარი რამის ხსენებაც კი არ არის, რომ არაფერი ვთქვათ რაიონულ ცენტრებსა და სოფლებზე. სწორედ ამიტომ მიიჩნია რედაქციამ, რომ ფ. ყურაშვილის კარგა ხნის წინ დაწერილი წერილი დღესაც აქტუალურია, და გამოაქვეყნა ის ავტორის გარდაცვალების შემდეგ, თუნდაც მისი გახსენებისა და პატივისცემის ნიშნად.



ქურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” რედაქციას,  
ქურნალის თანამდგომთა საბჭოს!

პირველ რიგში, ქურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკას” ვულოცავთ ასპარეზზე გამოსვლას, ვლოცავთ მის პირველ ნაბიჯებს. ვუსურვებთ, ეს ქურნალი ყოფილიყოს ქართველი ბიბლიოთეკარების მუშაობის მეგობრი, ვამაყობთ, რომ ჩვენ, ქართველ ბიბლიოთეკარებს გვაქვს ჩვენი ქურნალი.

პატივცემულო რედაქცია! ჩვენ, ჭიათურელ ბიბლიოთეკარებს კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული საქართველოს მძიმე ეკონომიკური პირობები, მაგრამ მაინც გვაქვს ოპტიმისტური განწყობილება, ველით უკეთეს დროს. სამწუხაროა, რომ გავიდა 12 წელი და ჩვენი რაიონის არცერთ ბიბლიოთეკას არ შეუქმნია არც ერთი ახალი წიგნი თუ ქურნალ-გაზეთი, არა და, ქურნალ-გაზეთის და წიგნის გარეშე ბიბლიოთეკა გავს უთოფო კარისკაცს.

ხელფასი გვაქვს 38 ლარი, ხელზე გვეძლევა 33, რაც მინიმუმის მინიმუმიც არ არის.

საინტერესოა, რაგომ დაავიწყდა მთავრობას, ან კულტურის სამინისტროს ამდენი ბიბლიოთეკა, ამდენი უნიკალური წიგნი და ფონდები?

მხოლოდ პედაგოგების სოცია და მათი პირობების გაუმჯობესება, მე მგონი, კარგს არ მოუტანს არც მთავრობას და არც თვით პედაგოგებს. ინტელიგენცია მძიმე დღეშია და მარგო პედაგოგებს.

დაგოგების ხელფასების მომატებით მთავრობა იმიჯს ვერ შეიქმნის.

ნუთუ პარლამენტში ერთი გულშემატკივარი არ ჰყავს წიგნს და მის შესწავლას? ნუთუ არავის აინტერესებს საქართველოს ბიბლიოთეკების ბედი?

პატივცემულო რედაქცია! ჭიათურის ზოგიერთი სოფელი მიაკუთვნეს მთიან რეგიონს, იყო ჩამოთვლილი ცოცხა რაღაც პრივილეგიები. აქაც მხოლოდ პედაგოგების პენსიის მიცემით დაკმაყოფილდნენ. ჩვენ კი ამ მცირე ხელფასიან ხალხს უარი გვითხრეს. რაგომ? ჩვენ ხომ მოზარდებსა და აღზრდილებს ვემსახურებით? თანაც ისე შეგვამცირეს, თითზე დასათვლელეები ვართ. გთხოვთ, ჩვენი გულისგკივილი მიიგანოთ გულთან და გააცნოთ ჩვენი საყვედურები მათ, ვისაც ეს ეხება. ველით ოპტიმისტურ პასუხს.

ჭიათურის ბიბლიოთეკარების სახელით  
ნ. გურაბანიძე

ამ წერილს ხელს აწერს 80 ბიბლიოთეკარი. თუ საჭირო გახდება, ხელმოწერებსაც მოგაწვდით.

ჩემი მისამართია: ქ. ჭიათურა, სოფ. პარევისი?

სას. ბიბლ. გამგე: ნუნუ გურაბანიძე  
რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი

...მძიმე დღეშია და მარგო პედაგოგებს. ინტელიგენცია მძიმე დღეშია და მარგო პედაგოგებს.

...რედაქციას, ქურნალის თანამდგომთა საბჭოს!

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები.

9 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. განიხილეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებისა და თბილისის მეაბრეშუმეობის სახლის ბიბლიოთეკების მუშაობა. აგრეთვე მოისმინეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაცია ИФЛА-ს კონგრესის მუშაობაში მისი მონაწილეობის შესახებ.

14-17 ოქტომბერი აშშ-ს მასაჩუსეტის შტატის ქ. ამჰერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტის პროფესორი სტივენ ჯონსი და ამავე ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ჯული ჰუქს ღვეისის საქართველოში იმყოფებოდნენ სპეციალური მისიით – მათ უნდა დაეკომპლექტებინათ ქართველ სპეციალისტ-ბიბლიოთეკართა ჯგუფი, რომლებიც სპეციალური პროგრამით მიწვეულნი არიან აშშ-ში 2003 წლის იანვრისათვის. სტუმრებმა კანდიდატურების მუშაობა შეისწავლეს თბილისში, ქუთაისში, ბუგდილში, ფოთში, გორსა და თელავში.

ოქტომბრის ბოლოს საქართველოს კულტურის სამინისტროში სემინარი ჩაატარა საბიბლიოთეკო დარგის ცნობილმა სპეციალისტმა გერმანიი-

დან ლიობა ბეგენმა. სემინარის თემა იყო ბავშვთა და ახალგაზრდათა საბიბლიოთეკო მომსახურება; გერმანული გამოცდილება. ლიობა ბეგენი იმავე დროს ხელმძღვანელობს პროექტს “წიგნი ყველასათვის”.

26 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე ლიგვაში სპეციალური პროგრამით იმყოფებოდა ქართველ სპეციალისტ-ბიბლიოთეკართა 14 კაციანი ჯგუფი. მოვლენების მიზანი შეადგენდა ლიგვის საბიბლიოთეკო დარგის მუშაობის გამოცდილების გაცნობა. ამ დელეგაციის იქ ყოფნის მოკლე ანგარიში წარმოადგენილია ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში.


10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ადამიანის უფლებათა დაცვის ამსახველი ფოტოების გამოფენა. გამოფენა მოაწყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. მოისმინეს ინფორმაციები საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდული ბიბლიოთეკის მუშაობისა და ლიგვაში ქართველ სპეციალისტთა მივლინების შედეგების შესახებ.

## ვინ მართავდა ქ. ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას

1951 წლიდან 1991 წლამდე ქ. ფოთის სა-  
ბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად მუ-  
შაობდა ნიკოლოზ გუჯაბიძე.

თავისი საქმის დიდი მცოდნე, პროფესი-  
ონალი, უღალატო, თავდადებული, შრომის მოყ-  
ვარე, გულისხმიერი, დახვეწილი გემოვნების პი-



როვნება. იგი, როგორც აქტიური სპეციალისტი,  
ყოველთვის იდგა სამოგადობრივი მოვლენების  
ცენტრში. იყო ქ. ფოთის საპაგო მოქალაქე, დამ-  
სახურებული ბიბლიოთეკარი, კაცი, რომელსაც  
უყვარდა წიგნი, იყო მისი მეგობარი.

სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებუ-  
ლი ქ. ფოთში ფონდის რეკლასიფიკაციის, რეინ-  
ვენგარიზაციის, რეკაგალოგიზაციისა და აფასე

ბის საქმე, რომელიც ასე დროულად და  
წარმატებით შესრულდა ქ. ფოთში.

კაცი, რომელსაც ცოცხალი ენციკლოპე-  
დია უწოდეს, 50 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა  
საყვარელ საქმეს, მიღებული ჰქონდა უამრავი  
ჯილდო და სიგელები, მაგრამ ვერც ერთი ჯილ-  
დო ვერ შეედრება იმ დიდ სიყვარულს, რომელ-  
საც იგი ჩვენგან, მისი ყოფილი თანამშრომელ-  
ბისა და მკითხველებისაგან იმსახურებდა. ჩვენი  
მრავალრიცხოვანი კოლექტივის მეხსიერებაში  
მუდამ დარჩება ბ-ნი ნიკოლოზი, როგორც ბნეო-  
ბის ჭეშმარიტი განსახიერება.

მისი განვლილი გზა კარგი მაგალითია, თუ  
როგორ უნდა იცხოვრო და იღვაწო. ქედს ვიხ-  
რით მისი ხსოვნის წინაშე, დიდი მადლიერებითა  
და სიყვარულით ვიგონებთ მას.

თინა სალუაია  
რესპუბლიკის საპაგო  
ბიბლიოთეკარი.



მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე არაერთხელ გვეკონდა საუბარი ჩეჩილია ბარტოლიზე, მისი ბოლო ალბომი ნამდვილად ვერ დარჩება ყურადღების მიღმა. აქვე ვისაუბრებთ მაგდალენა კოჟენაზე, რომლის სახელიც სულ ახალია ჩვენი მუსიკის მოყვარულთათვის, თუმცა ვერცხულ სცენაზე მან უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი. ასე რომ, გვაქვს ორი მეცო-სოპრანოს ორი ალბომი, თითქმის ერთდროულად გამოსვებული ორი უდიდესი ევროპული მუსიკის ჩამწერი კომპანიების მიერ. ორივე წარმოგვიდგენს დიამეტრალურად საწინააღმდეგო საშემსრულებლო სტილს და რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ჩვენმა 'ნაცნობმა' ბარტოლიმ აირჩია პიონერული გზა, კოჟენა კი წარსდგა ტრადიციულ მანერაში, სადაც მომღერლის სახე წინ არის წამოწეული და ჩრდილშია მოქცეული ინტერპრეტაცია. ბარტოლის დისკმა პირველი მოსმენის შემდეგ შეიძლება არ დატოვოს დიდი შთაბეჭდილება: ეს არ არის ვივალდის უბრწყინვალესი სოლო ინსტრუმენტალური ორნამენტურა (საუბარია ბარტოლის წინა ალბომზე), აქ უკვე ოდნავ ნაღვლიანი მე-18 საუკუნის მუსიკაა, რაც მსმენელის ერთგვარ განხილვასაც კი იწვევს. მაგრამ შემდგომი მოსმენები ნელნელა ცვლის განწყობას და გლუკის საოცარი განცდები საბოლოოდ გვატყვევებს. ბრწყინვალე ვოკალურ ფორმაში მყოფი ვირტუოზი დეტალურად აანალიზებს პარ-

ტიას და სრულად გადმოგვცემს გმირის დრამატურგიულ სახეს. ამას თან ერთვის ორკესტრის უზადო ჰარმონიულობა (აღსანიშნავია ბრწყინვალე კოლექტივი), რასაც ინტერპრეტაციისა და დრამატურგიული გადმოცემის არნახულ საფეხურამდე აყვავართ. ორივე კონცერტს აერთიანებს გლუკის ცნობილი სექსტუსის არია 'La Clemenza di Tito'-ს II აქტიდან. თუ ყურს მიადევნებთ გერმანელ ჰობოისტს (სამწუხაროდ არ არის მითითებული სოლისტი), თქვენ უთუოდ მოექცევით ჰაერში მოლივლივ (რაც მოცარტმა ასე გენიალურად დახვეწა და უკვე მის ხელწერად ითვლება) მუსიკის ჯადოს ქვეშ. გენიალურია! ეს გააზრება და აგრეთვე თანამედროვე სინთეზი აკლია კოჟენას ალბომს. მაგრამ ბარტოლის ეგზალტირებულობა და გლუკის მუსიკის რეფორმატულობა ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთს და შედეგად მსმენელმა მიიღო ერთი დაუფიქარი კონცერტი.

კოჟენა იმედის მომცემი მომღერალი ჩანს. მისი სუფთა, წკრიალა ხმა მის სასარგებლოდ განაწყობს მუსიკის მოყვარულთ. ასევე ნამდვილად მომგებიანია ალბომში შესრულებული XVIII საუკუნის ჩეხი კომპოზიტორის იოზეფ მისლივეჩეკის ნაწარმოებების ჩართვა, მათ შორის გამოყვოფდი ოპერა 'ოლიმპიადა-ს/' 'ლიმპიადე'. კოჟენა, ჩემი აზრით, მეტად მომგებიანი იქნება კამერულ მუსიკაშიც, თუ სწორად შეირჩევა ქვედა რე-



ვისტრის ზომიერება, (მისი ჭარბად გამოყენება მომდერლის ნაკლია).

ჭეშმარიტ კინოს მოყვარულთათვის უსათუოდ ნაცნობია ბასტერ კიტონის სახელი. მაგრამ ამ პოპულარობის მიუხედავად, ჩემს თაობას პრაქტიკულად არა აქვს ნანახი მისი საუკეთესო მუნიჯი პერიოდის ფილმები, თუ არ ჩავთვლით სტენლი კრამერის უბრწყინვალეს სატირულ კომედიას 'ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო/It's Mad Mad Mad World (1963)', სადაც მან თავი დაგვამახსოვრა ერთ-ერთ ეპიზოდურ როლში. ამერიკულმა კომპანია Catcon-მა წარმოადგინა კრიტიკოსების მიერ საუკეთესოდ აღიარებული მისი შემოქმედების მუნიჯი პერიოდის ორი ფილმი – 'გენერალი/The General (1927)' და 'კოლეჯი/College (1927)'. მაგრამ ორივე ერთი დონის როდია. ფილმი 'კოლეჯი' ერთი ჩვეულებრივი სურათის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც ბასტერ კიტონი ცნობილ კლიშეს იყენებს: მთავარი გმირი - მორიდებული და მოუხერხებელი ახალგაზრდა ვერა და ვერ ჯდება საზოგადოებისათვის მოსაწონ (უფრო მეტად მანდილოსნებისათვის მისაღებ) სტანდარტში. მაგრამ სატრფოსთან დადებული პირობა კიტონის გმირს ადგმევენებს "«ვაჟაკურ» ნაბიჯებს, რის შედეგადაც იგი მოიპოვებს სატრფოს გულსა და ხელს. ფილმი შეიცავს მრავალ კომიკურ მომენტს, რასაც მსახიობი ბრწყინვალედ ასრულებს ჩვეუ-

ლი აუღელვებელი სახით. მეორე ფილმი – 'გენერალი' უკვე სულ სხვა მასშტაბის სურათია – უზარმაზარ კინემატოგრაფიულად დიდი ოსტატობით შესრულებულ ტილოს გადაყვავართ ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში. მთავარი გმირი, ჩრდილოელი ჯონი გრეი, არის ლოკომოტივის მემანქანე (სახელად 'გენერალი'). აქაც მისი სიყვარულის ობიექტია ერთი ქალიშვილი და თამაშდება მსგავსი სიტუაცია, როგორც წინა ფილმში. გმირის თავგადასავალი სავსეა დაუჯერებელი და მოულოდნელი ეპიზოდებით, იმდენად, რომ მთლიანი სიუჟეტის გადმოცემა შეუძლებელია და კინოს მოყვარულებმა თავად უნდა ნახონ ეს სურათი. ფილმი ბრწყინვალეა მონტაჟით, დიზაინით და ოპერატორული ნამუშევართ, ამიტომ გაუძლო მან დროის გამოცდას და დღესაც დიდ ინტერესს იწვევს იგი მაყურებელში ისეთი კოლოსების გვერდითაც კი, როგორცაა 'გლადიატორი/Gladiator (2000)!' ასე რომ აღნიშნული ფილმი კინოს ისტორიის ერთ-ერთი დაუვიწყარი ფურცელია.

ფილმები გადაყვანილია რაიმე განსაკუთრებული ტექნიკური დამუშავების გარეშე, რადგანაც ორიგინალები უხარვეზო იყო.

ავტორი და გვერდის რედაქტორი - დავით გიგინეიშვილი

## ზომი რამ ვიბნზე

### ცენზურა

მრავალი ფაქტია ცნობილი წიგნების დევნისა. ამ მოვლენას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ვხვდებით. მაგალითად, ათენელი ტირანი კრიტოსი სასტიკად კრძალავდა არქილოქეს (ძვ. წ. VII ს.) შემოქმე-

დებას. უმოწყალოდ სჯიდა მათ, ვინც მის ბრძანებას არ ასრულებდა. კალიგულამ (ჩვ. წ. I ს.) ბრძანება გასცა, ყველა საზოგადოებრივი საგებლობის ბიბლიოთეკიდან ამოეღოთ ტიტუს ლივიუსის ნაწერები,

ხოლო პაპმა გრიგოლ პირველმა (VI ს.) მისი შრომები ცეცხლს მიაცემინა რელიგიური მოზარებით – კერპების თაყვანისცემის ნიშნით არიან დანერილიო.

აქედან მოყოლებული, თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა წიგნების აკრძალვისა და დევნის ტრადიცია, რაც ორგანიზებულ ცენზურად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით ევროპაში სტამბის შემოღების შემდეგ.



წიგნის დევნის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა საბჭოთა საცენზურო საქმიანობა, რაც ახალი სახელმწიფოს გარიჟრაჟზე დაიწყო. მაგალითად, როგორც „Российский литературоведческий журнал“-ი გვამცნობს (1994, N4), 1924 წელს რუსეთში საიდუმლოდ გამოვიდა ე.წ. „Руководящий каталог к изъятию всех видов литературы из библиотек, читален и книжного рынка“. ამოღებული უნდა ყოფილიყო: პლა-

ტონი, რ. დეკარტი, ი. კანტი, გ. სპენსერი, ა. შოპენჰაუერი, მ. მეტერლინკი, ფ. ნიცშე, ნ. ლოსკი და სხვა მრავალი რუსი ფილოსოფოსი. ამოღებას ექვემდებარებოდა ლ. ტოლსტოის ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებებიც. აგრეთვე იკრძალებოდა მაშინდელი ბევრი პოეტისა და პროზაიკოსის წიგნები.

ამის ინიციატორი და მოთავე იყო საბჭოური საბიბლიოთეკო საქმის იდეოლოგი ნადეჟდა კრუპსკაია.

სამწუხაროდ, წიგნების დევნა დღემდე გრძელდება ამა თუ იმ ქვეყანაში და არამც თუ აკრძალვის გზით, ფიზიკური მოსპობითაც, უმეტესად საჯაროდ დაწვით. ეს ვანდალური აქტი ჩვენშიც არაერთხელ მომხდარა, რაც, მოსალოდნელია, სამარცხვინო ლაქად შეიძლება დარჩეს საქართველოს წიგნის ისტორიას.





ლიტერატიული მოტივები

